ამირან არაბული ეთერ თათარაიძე

# შენდობით მომიხსენიეთ

ბაკმი
2007

2000 წლის 25 აპრილს ზურაბ ქვანიას ინიციატივით დაფუძნდა არასამთავრობო ორგანიზაცია „ხალხური ხელოვნების დაცვის და აღორძინების ცენტრი“, რომელმაც, გარდა იმისა, რომ ჩაატარა რამდენიმე ფოლკლორული საღამო თუ ღონისძიება, თავის ერთ-ერთ უმთავრეს მიზნად ქართული მემორიალური კულტურის გამომზეურება და პოპულარიზაციაც დაისახა.

წიგნი ეძღვნება ზურაბ ქვანიას ხსოვნას


გამოიცა

სულიერების, კულტურის და მეცნიერების აღორძინების და განვითარების სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის

პროკრედიტ ბანკის

ფინანსური მხარდაჭერით

მომზადდა

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქველმოქმედო ფონდის

ვითიბი ბანკი ჯორჯიას

ფინანსური მხარდაჭერით

ამირან არაბული ეთერ თათარაიძე

# შენდობით მომიხსენიეთ



დამარხეს, კარი საფლავთა
დახურეს ქვითა დიდითა...

დავით გურამიშვილი

ხალხური ხელოვნების
დაცვის და აღორძინების ცენტრი

ლაპიდარული ტექსტით და შთამბეჭდავი ბარელიეფით თუ ჰორელიეფით შემკული სადა საფლავის ქვა ქართული კულტურული მემკვიდრეობის უაღრესად საჩინო, საგულისხმო, თავისთავადი ნაწილია.

ეპიგრაფიკული ძეგლების მოძიება და შესწავლა კარგახანია მიმდინარეობს საქართველოში. ამისდა მიუხედავად, არცთუ ისე დიდი აღმოჩნდა ცნობილ მეცნიერთა თუ ხელოვნების აღიარებულ მუშაკთა მიერ მიკვლეული და აღნუსხული, მხატვრული თვალსაზრისით უნიკალური ძველი ქართული სამარის ლოდების რაოდენობა.

გამომდინარე აქედან, ბუნებრივად დაიბადა სურვილი ანონიმურად მოღვაწე ეპიტაფისტებისა და ასევე უსახელო ქვითხუროების ნახელავის კიდევ უფრო ახლოს, ღრმად და საფუძვლიანად გაცნობისა, რასაც ვიზუალური და წერილობითი მასალის  ფიქსაცია და მოწესრიგება მოჰყვა.

ეთნოკულტურის რჩეული ნიმუშების ეროვნული სახის, შინაარსისა და სახვითი თავისებურებების სრულყოფილად გააზრება დღის წესრიგში აყენებს მათი კომპლექსური კვლევის აუცილებლობას.

ვიმედოვნებთ, რომ წინამდებარე წიგნი შეძლებისამებრ წაადგება უძველესი ქართული კულტურის დღემდე თვალსმიფარებული ფენებისა თუ დანაშრევების პროფესიონალური შესწავლის საშეილთაშეილო საქმეს

პროექტის განხორციელების პროცესში გაწეული
მეგზურობისთვის და თანამოაზრეობისთვის
ავტორები მადლობას უხდიან:

გელა დიაკონიძეს, კარლო აქიმიძეს, შალვა აბულაძეს, გოგი იჩუაიძეს, ირაკლი ჩიქავას,
ფარნაოზ ლალიაშვილს, ლევან თედიაშვილს, თამარ ახობაძეს, გურამ გაბაშვილს, სოფო ტაბაღუას,
ავთანდილ ფანჩულიძეს, რომა სტეპანიანს, გიორგი ლობჟანიძეს, თემურ შავლაძეს, დათო აბალოიძეს,
როინ კომლაძეს, ლევან ბრეგაძეს, გოვი ბოლქვაძეს, პაატა გიგაურს, ვაჟა სულხანიშვილს

რედაქტორი და მხატვარი თენგიზ მირზაშვილი

გამომცემლობა-ბაკმი

© ამირან არაბული ეთერ თათარაიძე

ხალხური ხელოვნების დაცვის და აღორძინების ცენტრი

ISBN 978-99940-27-34-7

თბილისი, 2007

# წინათქმა

ესეოდენის დიდების პატრონი ამ მცირეს
საფლავს დავემკვიდრე. შეძრვად ჴელს ნუ მყოფთ,
შენდობას მიბრძანებდეთ, გევედრებით

საფლავის ქვის წარწერა. ფიტარეთი

ეპიტაფია, ტრადიციული გაგებით, საფლავის ქვაზე ამოკვეთილი უსამკაულო ლაპიდარული ლექსია, რომელიც, ჟანრული თვალსაზრისით, წინაპრის ძველთაძველეს კულტთან გენეტიკურად დაკავშირებულ სამგლოვიარო პოეზიას განეკუთვნება.

ეფრემ მცირის სანიმუშოდ სადა და ძალზე ლაკონიური განმარტებით, ეპიტაფია „სასაფლაოზედ წარწერილი სიტყვანია...“

ეპიტაფია (ბერძნ. epitaphios – საფლავი) ძველ საბერძნეთში თავდაპირველად საფლავზე წარმოთქმულ მწუხარების სიტყვას აღნიშნავდა, ხოლო შემდგომ ამ სიტყვამ საფლავის ლოდზე შესრულებული მოკლე წარწერის მნიშვნელობა შეიძინა... და გაჩნდა უგრძნობი ქვის ურჩ ზედაპირზე გოდების გამხმოვანებელ სიტყვათა ამოკვეთის საყოველთაო პრაქტიკა...

ქართული ეპიტაფიური შემოქმედების საწყისი ხანა, სულ ცოტა, თხუთმეტი საუკუნის მიღმაა საგულვებელი.

ამ დებულებას თვალნათლივ ემხრობა, მოწმობს და ამყარებს ეპიგრაფიკული ძეგლებისა თუ სტელების წყება, აღმოჩენილი საქართველოს ტერიტორიაზე ძირითადად XIX ს-ის ბოლოს და XX ს-ის პირველ ნახევარში...

ძველი საქართველოს სინამდვილეში ისტორიკოსმა შოთა მესხიამ ცალკე გამოყო საგანგებო პროფესია, ქვაზე წერის ხელოვნებაში გაწაფვასა და დაოსტატებას რომ გულისხმობს. პირებს, რომელნიც ხელოსნური საქმიანობის ამ სფეროში სათანადო ცოდნას, გემოვნებას და გამოცდილებას ფლობდნენ, „წამწერელნი“ ეწოდებოდათ. მათი ხელრთვის შთამბეჭდავი ნიმუშები ჩვენამდეა შემონახული. განსაკუთრებით ხშირია „დაქსელვის“ ულამაზესი მანერით ამოტვიფრული ეპიტაფიები XVI-XVII სს. ქვებზე...

ქრისტიანული ღვთისმსახურების მორალით და ესქატოლოგიური მრწამსით გაჯერებულ ეპიტაფიათა შინაარსი და „მხატვრული დონე ნასაზრდოებია იმ კულტურული მემკვიდრეობით, რომელსაც აყალიბებს საერო და სასულიერო ლიტერატურა, ხალხური სიტყვიერება“ (ე. ნადირაძე)...

ზეპირსიტყვიერების დარგში ყველაზე ნაკლები ყურადღება ეპიტაფიას ეთმობოდა და ეთმობა დღესაც. ვახტანგ კოტეტიშვილის გულისტკივილი „პოეტური ფოლკლორის ამ ხელშეუხებელი ქვეყნის“ გამო, გამოთქმული



მაქართა (გუდამაყარი)

მის მიერვე შედგენილ და გამოცემულ „ხალხურ პოეზიაზე“ (ქუთ., 1934) დართულ შენიშვნებში, გულისტკივილად რჩება.

„ის მცირეოდენი მასალაც კი, რომელიც ჩვენს განკარგულებაში არის, ძალიან საინტერესო პერსპექტივებსა შლის“, — წერს მკვლევარი და იქვე შენიშნავს, რომ მოპოვებული ტექსტების რაოდენობრივი სიმცირე საშუალებას არ აძლევს, შედარება მოახდინოს „სხვადასხვა მოდგმათა ანალოგიურ ძეგლებთან“. ამისდა მიუხედავად, მაინც მიუთითებს ქართული ეპიტაფიის შორეულ ანალოგზე შუა სამეფოს ხანის ეგვიპტურ ეპიტაფიურ ლექსთან: „ეს არის ნომარქოს ამენემხეთის საფლავის წარწერა, რომელიც მოგვითხრობს: „არა ყოფილა უბირი კაცის ქალი, რომ წყენა მიმეყენებინოს, არც ქვრივი, რომ შემევიწროვებინოს, არც გლეხი, რომ ხელი მეკრას, არც მწყემსი, რომ გამეგდოს, არც ათისთავი, რომ მუშები წამერთმიოს; ჩემს დროს არა ყოფილა უბედური და მშიერი. როდესაც შიმშილობა ჩამოვარდა, მე მოვახვნევინე ნომის ყველა მინდორი, სამხრეთ და ჩრდილო საზღვრებამდე და ხალხი შევინახე, გამოვკვებე...“

ვ. კოტეტიშვილი სტილურ სიახლოვეს ხედავს, ზოგადად, ქართულ ეპიტაფიასა და აქ მოტანილ ეპიგრაფიკულ ძეგლს შორის; იმასაც აღნიშნავს, რომ „ეპიტაფიების პირველი პირით თქმა ახასიათებდა ძველი აღმოსავლეთის კულტურას“.

უცხოენოვან ეპიტაფიებთან შედარების გარეშე ქვაში ალბეჭდილი ქართული „სიტყვანის“ შესახებ მწყობრი თვალსაზრისის შემუშავებას ვახტანგ კოტეტიშვილი შეუძლებლად თვლიდა. ზედაპირული ცნობა თუ ფრაგმენტული ფაქტობრივი მასალა მას არ აკმაყოფილებდა. ეპიტაფიური ხასიათის პოეტურ ნიმუშზე „ნეფის მონადირე ვიყავ“ გაკეთებული შენიშვნები, შეიძლება ითქვას, პირველი საფუძვლიანი ცდაა სამამულო ფოლკლორისტიკაში ეპიტაფიის ჟანრულ თავისებურებათა განსჯისა და გარკვევისა. თვით ის ფაქტი, რომ არაორდინარული ნიჭის, ხედვისა და ინტუიციის მქონე მკვლევარს ერთობ საშურ საქმედ მიაჩნდა ეპიტაფიების მოძიება-შეკრება და კლასიფიკაცია, დიდად საგულისხმოა (1930 წელს ვახტანგ კოტეტიშვილის ხელმძღვანელობით ჩატარებული მესხეთ-ჯავახეთის ფოლკლორული ექსპედიციის ერთ-ერთი წევრი ელენე გოგოძე იგონებს: „...ახალციხეში ჯგუფმა დაჰყო 5-6 დღე. გასცდნენ ქალაქს. შეისწავლეს ახალციხის ძველი ნაწილი – რაბათი. ვახტანგი შემთხვევას არ კარგავდა, რათა საფლავის ქვებზე გამოსახული ვერძების ან ჩუქურთმების სურათი გადაეღო და მათი პირი აეღო...“).

„ვინ იცის, რა ხნიდან მომდინარეობენ ის მეამიტი სტრიქონები, რომელთაც ჩვენი სოფლის საფლავის ქვებზე ვკითხულობთ? — სვამს სავსებით ლოგიკურ კითხვას წარსულის ნახმევზე მიყურადებული მეცნიერი და, მართლაც, ძნელია თქმა, სად და როდის გაჩნდა პირველი ქართულენოვანი ეპიტაფია; ვისი – დიდგვაროვნისა თუ მდაბიოს – სამარის ქვაზე ამოკვეთეს წინაპირველი სამგლოვიარო ლექსი!..

ხალხის მეხსიერება საოცარი სიცხადით იცავს და ინახავს ზეპირსიტყვიერების რჩეულ, უმჯობეს ნიმუშებს, რასაც ვერ ვიტყვით ეპიტაფიების თაობაზე. ხალხური ლექსის ამ თავისთავად, სპეციფიკურნაირსახეობას გავრცელების ზეპირი გზა თითქმის არ ჰქონია, რის გამო ბევრი ეპიტაფია სამუდამოდ არის გამქრალი და გადავიწყებული. ძველისძველი საფლავის ქვებს ხავსი, სურო და მიწა ფარავს. ისპობა შესაძლებლობა მათზე დატანილი მომცრო ლექსების ამოკითხვისა და გადმოწერისა. მიტოვებულ სამაროვნებთან ერთად მკვრივი ნისლით იბურება უსახელო მელექსეთა ნაღვური შემოქმედება...

მიზეზი იმისა, რომ ეპიტაფია ზეპირად არ ანდა ვერ ვრცელდებოდა, ალბათ, მის კამერულობაშიც უნდა ვეძიოთ. კონკრეტულ პიროვნებაზე ნათქვამი თუ დაკვეთით შექმნილი და მისი სამარის ლოდზე ამოკვეთილი ლექსი, მხატვრული სახეების უაღრესი ზოგადობისა და, ხშირ შემთხვევაში, აშკარა „სტანდარტულობის“ გამო, ამა თუ იმ სოფლის სამანებიდან ვრცელ ასპარეზზე ვერ გადის, გაჩენის ადგილზევე რჩება და დროთა სვლაში მისი ადრესატის ხსოვნის კვალდაკვალ მკრთალდება და ეფარება თვალს...

დასაშვებია იშვიათი გამონაკლისიც, ანუ ისეთი შემთხვევა, როცა ქვის წარწერა წამკითხველთა გულისყურს იპყრობს. არაა გამორიცხული, ამგვარმა ეპიტაფიამ ვარიანტებიც გაიჩინოს. სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია, ცალკეულ ფოლკლორულ კრებულებში შეტანილი ხალხური ეპიტაფიის თითზე ჩამოსათვლელი ნიმუშები მთქმელ-მთხრობელთა შორისაა მოპოვებული

თუ მათ „დედნებს“ სამარის ქვები ინახავენ. ამიტომაც ჭირს თქმა, ეს თითო-ოროლა ნიმუში ძირითადი ტექსტებია თუ ვარიანტები...

ეპიტაფიას აქვს სრულიად გარკვეული შინაარსობრივი დატვირთვა და „პრაგმატული“ დანიშნულება: ძალზე შეკუმშულად, არსებითი შტრიხების გამოკვეთით გვამცნოს გარდაცვლილის ამქვეყნიური ღვაწლი და მისი აღსასრულის გამომწვევი მიზეზი. ასევე, ის შეიძლება მოიცავდეს რაიმეს შეთვლას საკუთარი ოჯახის წევრებისადმი და შენდობით მოხსენიების თხოვნას ახლობლებისა თუ თანატოლებისადმი.

ტრადიციული ეპიტაფიური ნაწარმოები ვერ გუობს სიუჟეტურ გაშლა-განვითარებას, სათქმელის ვრცლად გადმოცემას, მომხდარი ამბის განზოგადებასა და დეტალიზაციას. სიტყვამომჭირნეობით გამორჩეული ძველი ქართული ეპიტაფიების აბსოლუტური უმრავლესობა, როგორც წესი, მაქსიმალური ლაკონიზმით გამოირჩევა...

ეპიტაფია „კოლექტიური“ აზროვნების თვალსაჩინო გამოვლინებაა, უფრო ზუსტად, მისი აზრობრივი განზომილება თუ სახეობრივი სისტემა ხალხის წიგნიერების, ინტელექტუალური დონისა და მხატვრულ-ესთეტიკური გემოვნების შესატყვისია.

ინდივიდუალური ხალხური მელექსე, განსხვავებით პროფესიონალი პოეტისაგან, მთელი თავისი არსებით არის დაკავშირებული და „მიბმული“ მასასთან, მისი ცხოვრების წესთან, ყოველდღიურობასთან, მსოფლხედვასა და ფსიქიკურ წყობასთან. იგი, ასე ვთქვათ, ნებაყოფლობითი ტყვე და „მძევალია“ იმ სოციალური ფენის გემოვნებისა, რომელსაც ეკუთვნის. მისი მოვალეობაა, ტრადიცია იმეგზუროს, იწინამძღვროს, წინამორბედთა ზეპირი შემოქმედების თემატურსა თუ იდეურ არეალში იტრიალოს, მათთვის მისაღებ სადინარში მოაქციოს სათქმელი, კარგად ნაცნობ, ნაცად, „აპრობირებულ“ გზაზე გამოსცადოს თავისი პოეტური ნიჭი და პოტენციალი...

პოეტური ფოლკლორის კანონიკური სტრუქტურის უარყოფა, სტაბილური ტროპული ქსოვილის დარღვევა და იგნორირება „შუმ“ ხალხურ მელექსეს არ ძალუძს. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი შემოქმედება აღარ იქნება ფოლკლორული, ამ სიტყვა-ტერმინის სწორი, ადეკვატური გაგებით. გეზი, რომელიც მას ღვთით აქვს ნარგები და მიკუთვნებული, ასწლეულების მიღმა იღებს სათავეს. ტრაფარეტული პოეტური ფორმულებით აპელირება, სტერეოტიპული ფრაზეოლოგიის ერთგულება, გამოყენება თუ მკაცრად განსაზღვრული ვერსიფიკაციის ჩარჩოში „ჯდომა“ მელექსისათვის იმგვარივე იმანენტური მახასიათებლებია, როგორიც პროფესიონალი კალმოსნისთვის – სიახლის მოუწყინარი წყურვილი, ნოვატორობის დაუოკებელი შინაგანი მოთხოვნილება, განსახოვნების ახალ-ახალი მხატვრული ხერხების ძიება და მუდმივი სწრაფვა თავისთავადობისკენ...

იბადება კითხვა: რამდენად, ანდა, საერთოდ, არის თუ არა საფლავის ქვაზე ამოკვეთილი წარწერა ზეპირსიტყვიერი შემოქმედების ნიმუში?

ვინაიდან თვითეული ეპიტაფიის უკან ცნობილი თუ უცნობი ინდივიდუალური ავტორი დგას და ამ ეპიტაფიების შექმნასა და სრულყოფაში კოლექტივის არანაირი მონაწილეობა არ ივარაუდება, ის კერძო შემოქმედებითი შრომა-შთაგონების ნაყოფია, რაც, ერთი შეხედვით, ეჭვქვეშ აყენებს მის ფოლკლორულობას...

ეპიტაფიის ავტორობის უფლებით სარგებლობს ერთი პირი, ვისი ვინაობაც, საერთოდ, სამარის ლოდებზე დაფიქსირებული არაა.

ავტორის ვინაობა-სადაურობის მოუხსენიებლობას, ალბათ, ისიც განაპირობებს, რომ ეპიტაფია, უპირატესად, გარდაცვლილის პირით გველაპარაკება. ანონიმი ავტორი სამარის ბინადარს მიაწერს თავის ნათქვამს და „იძულებულია“ შეგნებულად გაიუჩინაროს თავი.

იმისდა მიუხედავად, რომ ფოლკლორიზმისთვის საჭირო და სავალდებულო ყველა უმთავრეს მოთხოვნას (კოლექტიურობა, ანონიმურობა, შექმნა-გავრცელების ზეპირი გზა, ვარიანტულობა...) ვერ აკმაყოფილებს, შეიძლება ითქვას: ქართული სოფლებისა თუ ქალაქების სამარის ქვათა სიტყვიერი სამკაულების დიდზე-დიდი ნაწილი ფოლკლორულია; ფოლკლორულია იმდენად, რამდენადაც მასში უცხადესად ჩანს, იცნობა და იკითხება ყოფნა-არყოფნის „პრიმიტიული“ ხალხური კონცეფცია, სიკვდილისადმი ის ბუნებრივი, ადამიანური დამოკიდებულება, რაც პოეტური ფოლკლორისთვის არის თანმდევი და ნიშანდობლივი. არქიტექტონიკა და სტე-

რეოტიპადქცეულ მხატვრულ სახეთა ინტენსიური განმეორებადობაც ტრადიციული ხალხური ლექსის ერცელ საუფლოში მიუჩენს ადგილს საფლავის ლოდზე ამეტყველებულ არაერთ „სიტყვანს“

ეპიტაფია, წარმომავლობის მიხედვით, ორგვარია: ფოლკლორული და ლიტერატურული.

ფოლკლორული ეპიტაფიის ტიპიური ნიმუშებია ვ. კოტეტიშვილის „ხალხურ პოეზიაში“ გამოქვეყნებული „ცა გამირისხდა“ და „ამ უბედურმა სიკვდილმა“ რაც შეეხება „თამარის ეპიტაფიას“ და „თამარ დედოფალი ვიყავ“, მათი ხალხურობა დიდად საეჭვოა. ეს უკანასკნელნი მეტ მსგავსებას, ვთქვათ, არსენ იყალთოელის „დავით აღმაშენებლის ეპიტაფიასთან“ ავლენენ, ვიდრე ხალხურთან. მათ აკლიათ წრფელი ხმიერების ის ხაო, ხორკლი და უბრალოება, შეხავსულ სამარის ქვათა წარწერებს რომ ახასიათებს...

ამ მხრივ სიმპტომურია ის გარემოება, რომ არსენ იყალთოელის ზემოხსენებული ლექსი 1920 წლამდე ანონიმურად ქვეყნდებოდა, „რადგან არავინ იცოდა მისი ავტორი“ (ი. ლოლაშვილი). ასევე, ხალხური პოეზიის ნიმუშად ცხადდებოდა და იბეჭდებოდა უცნობი ავტორის ნაწარმოები „გიამბობ სიფრიადესა“, რომელიც დავით აღმაშენებლის „ქველთა საქმეთა“ შესახებ გვაწვდის საგულისხმო ცნობებს და რომლის მწიგნობრულობა (ლექსიკა, სტილი, გრამატიკული ფორმები), მითითებული და ხაზგასმული ვახტანგ კოტეტიშვილის მიერ, უთუმცაო და უტყუარია.

არსენ იყალთოელის ავტორობით ცნობილი ეპიტაფიის ირგვლივ სხვა რიგის გაუგებრობაც არსებობდა „ხელმწიფის კარის გარიგების“ აღმოჩენამდე. ვინაიდან მასში გვირგვინოსნის ღვაწლი იყო აქცენტირებული და ნაჭარმაგევი იხსენიებოდა, „შეცდომით თამარის ეპიტაფიად გამოცხადდა“ (ი. მეგრელიძე). ნაჭარმაგევი ქართველ მეფეთა საზაფხულო რეზიდენციად („სადგური მეფეთა“) იყო ცნობილი, სადაც თამარ მეფე მართლაც იმყოფებოდა ზაფხულობით. ეპიტაფიაში ნაჭარმაგევის ხსენებამ თამარისთვის მისი მიკუთვნება, „თამარ მეფის თქმულად“ მიჩნევა განაპირობა.

მწიგნობრულ ეპიტაფიას „მელექსეთა კარგთა სწორი“ პროფესიონალი ავტორის ხანგრძლივი პოეტური გამოცდილების მკაფიო ბეჭედი აზის. სტილი ლიტერატურული ეპიტაფიისა გაცილებით რთული და, ამასთან, დახვეწილია; ლექსიკა – მდიდარი და ერთგვარად მაღალფარდოვანი.

მწიგნობრული ეპიტაფიის კლასიკური ნიმუშია დავით გურამიშვილის ლექსი „საფლავის ქვაზედ დასაწერი“

სამშობლოს მოშორებული, ყოველდღიური ურვით შეჭირვებული პოეტი ჩვეული ოსტატობით გვაცნობს „ცრუ საწუთროს“ მუხანათობით ნაწნევ განსაცდელს და, ბოლოს, ხალხური ეპიტაფიის ტრადიციისამებრ, შენდობის თქმას სთხოვს თავისი ძვალშესალაგის მნახველს...

ეპიტაფიას, მწუხარებით გაჯერებულ „სიტყვანს“, არაა აუცილებელი, მაინცდამაინც ლექსის გრაფიკული სახე ჰქონდეს. პირველ პირში „წარმოთხრობილი“ ამბავი, რომელიც გარდაცვლილის ძუნწ ბიოგრაფიულ ცნობებს გვაწვდის და მისი სიკვდილის მიზეზზეც მიანიშნებს, ეპიტაფიაა. სათქმელი ლექსად გაფორმდება თუ პროზად, ამას, როგორც ჩანს, არ უნდა ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა. მთავარია, წარწერამ მხილველის ყურადღება მიიპყროს და შენდობა აღირსოს „ამა ლოდსა ქვეშ“ მდებარე ადამიანს...

ეპიტაფიის ერთი არსებითი ნიშანთაგანია ავტობიოგრაფიულობა.

ლექსის ლირიკული გმირი ანუ მიცვალებული თავისი გაუხარელი ცხოვრების შესახებ მოთქვამს. აქცენტი საწუთროს დაუნდობლობაზეა დასმული. ხშირად მოისმის გულსაკლავი ჩივილი კაცთა სიცოცხლის სიმოკლეზე.

ძირეული მოტივები ეპიტაფიური შემოქმედებისა უცვლელია: სამდურავი მუხთალი ბედისა და უხანო სოფლისა, გმობა „უწყალო“ სიკვდილისა, წუხილი უსასოოდ მიტოვებული ოჯახის წევრების, განსაკუთრებით, უწლოვანი შვილების გამო, შიშნარევი განცდა შავ მიწაში სამუდამო დაბინავებისა...

ეპიტაფიურ ლექსში თითქმის არ რჩება ადგილი პოეტური პირობითობისთვის, ფანტაზიისმიერი წარმოსახვისთვის, მხატვრული გამონაგონისთვის, თუმცა ზოგიერთ ნიმუშში საცნაურია გარდაცვლილის ამქვეყნიური ღვაწლის ერთგვარი უტრირება და „გალამაზება“ ეპიტაფიის თვითეული ფრაზა თუ ტაეპი, შეიძლება ითქვას, მკაცრად დოკუმენტურია და მომხდარის ობიექ-



ტურ დასურათხატებას წარმოადგენს...

სამარის ქვაზე წარწერილი ეპიტაფია და ზედვე ამოკვეთილი ადამიანის გამოსახულება ერთმანეთს ავსებენ, ეთანადებიან და, ზოგ შემთხვევაში, სავსებით ცხად ინფორმაციას გვაწვდიან განსვენებულის ვინაობაზე, იმ ხელობასა თუ პროფესიაზე, რასაც ის ფლობდა და ემსახურებოდა.

ძველ ქვათა მორთულობას, ეპიტაფიასთან და ადამიანებთან ერთად, შეადგენს მრავალნაირი ორნამენტი, საგანი, ნივთი, იარაღი და ცხოველთა თუ მცენარეთა ხატწერილი: ბორჯღალი, სახლის თალი და სვეტები, ჯვარი, სკამი, მაგიდა, დოქი, ჭიქა, ბოთლი, ყანწი, ჩაქუჩი, მაკრატელი, გუთანი, საკერავი მანქანა, გარმონი, ურემი, თოფი, ხანჯალი, ვაზნები, ცხვარი, ცხენი, ხარი, ჯიხვი, მტრედი, თევზი, ყვავილი, ყურძნის მტევანი...

თითოეული მათგანი საქართველოს ამა თუ იმ კუთხის მკვიდრთა სამეურნეო პრაქტიკას, საქმიანობის სფეროს და ზოგადქართულ კოსმოგონიურ შეხედულებებს უკავშირდება...

ეპიტაფიათა ერთი ნაწილი ამჟღავნებს და ახმოვანებს გარდაცვლილთა სურვილს, იმ ქვეყნად გამგზავრებულებმა სამოთხე დაიმკვიდრონ და ღვთის შეწევნით, ასევე, თავიანთი „სიალნის" (სიმართლის და სიალალის) წყალობით, საუკუნო ნათელში მოხვდნენ. „შურითა ეშმაკისათა" სოფლად „შთამომხდარი" სიკვდილი, ხალხის თვალთახედვით, ყოვლის ბოლოს მომღები მაინც ვერაა და მისი სისასტიკისგან განრიდება სულეთის სანატრელ სივრცეში დამკვიდრებით არის შესაძლებელი: „ღმერთო, მეც ღირსი გამხადე, სადაც სამოთხე შენია, იქ მაინც ნათლად მამყოფე, რადგან სიკვდილი ძნელია, მიწა, შენი ვარ, უფალო, სიკვდილი სულის მტერია..."

ქვათა ზედწერილების თანახმად, სიკვდილი „მუხთალი" და „გაუკითხავია" ის, როგორც თავად გვამცნობს, ღვთისგან მინდობილ თუ დაკისრებულ მისიას ასრულებს და დარწმუნებული თავისი ნამოქმედარის სისწორესა და სამართლიანობაში, არ აბედნებს არც მდიდარს, მქონებელს და არც „ღარიბს შეწუხებულსა" ეპიტაფიებში კაცთა ბედის მიმართ გულცივი სიკვდილი წარმოსახულია პერსონიფიცირებულ არსებად, რომელსაც ხელჩავლებული მსხვერპლი „შავს მიწაში" მიჰყავს. მის წინაშე უმწეო-უნიათონი არიან ჭირისუფალნი. დაუცადებელი ცდისა თუ მონდომების მიუხედავად ისინი ვერას შველიან და „ხელს იღებენ" თავიანთ ახლობელზე...

„ამა სოფლით გასული" და „ვიწრო სამარეში" ჩამყუდროებული მორწმუნე კაცი იხტიბარს მაინც არ იტეხს, ურჩობს, ბედის მწარე განაჩენს არ ემორჩილება და იმედოვნებს, რომ „თითო შენდობის" შეთვლა მის სულს ზეცად – უსხეულო ძალების სამყოფელში აიყვანს...

არც მკვდრეთით აღდგომისა თუ მეორმოსვლის ქრისტიანული დოგმატია უცხო და უცნობი ქართული ეპიტაფიისთვის: „ამა ლოდსა ქვეშ დანერგულ ვარო ნერგი მიწისა ამომცქერალი..."

ოთხკუთხედი ქვების გაცრეცილ ზედაპირსა და გვერდით მხარეებზე ჯერ კიდევ ხერხდება გარჩევა და ამოკითხვა ეპიტაფიებისა, რომელთა შინაარსი ქვეყნის აებედითი მდგომარეობის ამსახველი ვრცელი თუ ლოკალური ისტორიული მოვლენების ანარეკლითაა გაჯერებული.

შილდის შუაგულში, „ბულვარდად" წოდებულ მომცრო მინდორზე, ძევს დიდრონი საფლა-

ვის ქვა ამგვარი წარწერით: „რა შამოვიდა კახეთს შამილი იგი უსჯულო ურწმუნო მტერი და მოაოხრა გამოღმა მხარე გაღმა გაგზავნა ცხენით სპა ბევრი იავარი ქმნა და ტყვე დიდ ძალი და მეც მათ შორის ვიქმენ ნაწერი გულს განგმირული თავ მოკვეთილი მეცა მახვილი მათ ხელთ ნაჭერი და ამ უწყალოთ მკვდარსა შენდობა გთხოვთ რომ მიბრძანოთ მე შესაფერი“ და იქვე, ქვის მეორე მხარეს: „წელსა ჩყნდ (1854)სა ივლისის დ(4)სა აწ ვმდებარეობ შავსა მიწასა და ამა დიდსა ლოდსა ძირსა მე დარეჯანი ცოლი მერაბის გვაროვნობით გამყრელი ძისა გამგის ყმამამულთა მის დავითისა თავადობით ჭავჭავაძისა“

ოჟურეშის ეკლესიის ეზოში მდებარე სამარის ლოდზე მარი ბროსეს შემდეგი წარწერა ამოუკითხავს: „ეჰა მხილველნო და აღმკითხველნო, ლოდსა ამას ქვეშე მათის უგანათლებულესობის დადიანის ლეონის სამფლობელოს ყმა მოურავი მანდარია გრიგოლი, მათის ბრძანებით წარვლენილი ვიქმენ ორგულთა აფხაზთა ზედა და თოფთა მიერ მოვიკალ, ორ-მოც და ათისა წლისა განმელეველ-მან, დაუტევე საწუთო ესე და საყვარელი მეუღლე და თ სი ჩემი, და დავეფალ იწროსა საფლავსა შინა. წელსა ქრისტეს აქეთ ჩყლგ (1833), თთვესა თებერვალსა კე (25)“

ეპიტაფია, გარდა იმისა, რომ გააჩნია თვითკმარი მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულება, წარმოადგენს უტყუარ, უმნიშვნელოვანეს საისტორიო წყაროს, რომლის წყალობით იოლად შეიძლება დადგენა, ვის ეკუთვნოდა ასწლეულების წინათ დღეისთვის სადავოდ ქცეული ტერიტორიები თუ სასაზღვრო ზონები საქართველოს ე. წ. „ცხელ წერტილებში“

ქართულ ენაზე შესრულებული წარწერა და, მითუფრო, ტექსტი ეპიტაფიისა, უეჭველი არგუმენტია იმისა, რომ ლიახვის ხეობის არაერთ სოფელში, ჯავახეთში და, ვთქვათ, გუდაუთის რაიონში ძალზე ღრმა და თვალნათლივია კვალი ქართველების იქ ოდინდელი ყოფა-ცხოვრებისა. სანდო, სარწმუნო და ყურმისაგდებია ღაღადი ქვათა. აბსოლუტურად მართებული და მისაღებია აზრი იმის თაობაზე, რომ „...სწორედ საფლავის ძეგლებია თავიანთი ადგილ-სამყოფელის, ე. ი. საქართველოს ისტორიული ტერიტორიის საუკეთესო დამცველები. მათთვის უცხოა უპრინციპობა და კომპრომისი, რომელიც ჩვენ, — დღევანდელ ცოცხლებს, — გვახასიათებს. უცხოები მათ ანადგურებენ, რადგან მათში გრძნობენ შეურიგებელ მოწინაალმდეგეს, ჩვენთან კი, ამა თუ იმ ფორმით გარიგებას ახერხებენ, მაგრამ მათ ვერ გაურიგდები. ამდენად, მამა-პაპის საფლავის ქვები ფარია საქართველოსი“ (ირ. სურგულაძე).

ძველი დროის ქართული ხალხური ეპიტაფია სამგლოვიარო ჟანრისთვის კანონიკური კომპოზიციური აღნაგობით, მეტი შინაგანი სიმტკიცით, ლაპიდარულობით, დინამიზმით და დახვეწილობით გამოირჩევა. ყოველი სიტყვა სათქმელის სრულყოფილად გამოხატვას, არსებითის გადმოცემას ემსახურება, რასაც ვერ ვიტყვით გვიანდელი, ამ ბოლო ათწლეულების ეპიტაფიური პოეზიის შესახებ. უახლოესი წარსულის თუ ახლანდელ ავტორთა მიერ შეთხზული ეპიტაფიები ვერ პასუხობენ იმ სალექსო ნორმებსა თუ მოთხოვნებს, რომელთაც გაუქმებულ, სამანებმორღვეულ სამაროვნებზე მიკვლეული წარწერები იცავენ და ექვემდებარებიან...

ეპიტაფიებში მეტად, ვიდრე ხალხური პოეზიის რომელიმე სხვა ჟანრის ნიმუშებში, თავს იჩენს ერთგვარი ლექსიკური კონსერვატიზმი, ხატოვანი აზროვნებისნაირსახეობათა აშკარა სიმცირე და ტროპულ სახეთა ერთგვაროვნება. თითქმის თანაგვარია მათი ვერსიფიკაცია და რიტმულ-ინტონაციური ხმოვანება. ეპიტაფიის მთხზველი, როგორც უკვე აღინიშნა, ტრადიციას იცავს და ნაკლებად ამჟღავნებს სწრაფვას ნოვატორული ფერებისა თუ ფორმებისაკენ. ამ ტიპის ლექსებში „უბორკილო“ პოეტურ გაქანებას სიცოცხლის საზრისის დაჟინებული, კატეგორიული განსჯა ცვლის, რაც, თავისწილ, გამოხატვის ადეკვატურ ყალიბს და შესატყვის ბგერწერულობას განაპირობებს...

ქართველი ერის ფოლკლორული შემოქმედებით დაინტერესებულ მკითხველთა წიგნის დღევანდელ თაროს აშკარად ესაკლისება კრებული, რომელიც ამერ-იმერის ისევ მოქმედ თუ აწ მივიწყებულ სამაროვნებზე აღმოჩენილ იმ ნედლ სიტყვიერ საუნჯეს გააერთიანებდა, მდუმარების ფსკერზე დამირულ უბრალო ლოდებზე რომ დაუტანიათ და აუმეტყველებიათ ჩვენს ანონიმ,

უცნობ „წამწერლებს“

ათასობით ანალოგიური ანდა მეტ-ნაკლებად მსგავსი ტექსტის მოძიებას, ამოკითხვას, ფურცელზე გადმოღებას და მათგან საუკეთესოების შერჩევას ორი-სამი პირის თავგამოდება და ძალისხმევა, რასაკვირველია, ვერასდიდებით ვერ აუვიდოდა. ეს გახლავთ დინჯი ჩაბეჯითებით საკეთებელი ძალზე შრომატევადი და, ამასთან, დიდად საშური საქმე, რაც, იმედი უნდა ვიქონიოთ, მომავალში განხორციელდება...

რაც შეეხება წინამდებარე წიგნში ჭაშნიკად შეტანილ ეპიტაფიის რამოდენიმე ათეულ ნიმუშს, მათი უმეტესი ნაწილი, ფოტომასალასთან ერთად, ჩვენ მიერაა მოპოვებული და, ეფიქრობთ, საკმაოდ სრულ წარმოდგენას გვიქმნის ქართული ხალხური ეპიტაფიური შემოქმედების ზოგადი პოეტური პრინციპებისა თუ არსებითი შინაარსობრივი თავისებურებების შესახებ...

ლაპიდარული წარწერების შემწეობით ცხოვრების გრძელი გზით დაღლილი და დანიღრებული თუ საწუთროს სიმოკლით გულმოკლული გარდაცვლილები გველაპარაკებიან. მათ სულებს ისევე სურთ სამზეოელებთან მუდმივი კავშირი და მისტიკური სიახლოვე, „ვითარცა სურინ ირემსა წყაროთა მიმართ წყალთასა“ საიქიოს მწყვდეულთა სევდით აღსავსე საჩივარის („ჭირთა გიჩივლებ, ბატონო...“) მოსმენა და გათავისება კი, მეტი რომ არ ვთქვათ, უკვე თავისთავად მადლიანი, ღვთივკურთხეული, კეთილშობილური აქტია.



პაცარა გომარეთი (დმანისის რ-ნი)

# Vorwort

Inhaber so viel Pracht und Größe
Habe ich mich in diesem kleinen Grab niedergelassen.
Lasst mich in Ruhe,
Vergebt mir meine Sünden,
Darum bitte ich euch.

Grabschrift aus Pitareti

Epitaph nennt man in den Grabstein eingraviertes lapidares Gedicht, das nach dem Genre zur Trauerpoesie gehört und mit dem uralten Kult des Vorfahren eng verbunden ist.

In altem Griechenland hieß Epitaph (griechisch - epitaphios) zuerst die zum Begräbnis gehaltene Rede, später bekam es die Bedeutung einer kurzen Grabinschrift und es entstand sich die allgemeine Praxis, in die raue gefühllose Oberfläche eines Steins Trauer ausdruckende Worte zu gravieren.

Die Anfänge dieser Kunst in Georgien sind mindestens vor 15 Jahrhunderten zu suchen. Ein Beweis dafür ist eine Reihe von epigraphischen Denkmälern bzw. Stelen, die Ende des 19. und in der ersten Hälfte des 20. Jahrhunderts in Georgien entdeckt worden sind.



Gudaleti (Rayon von Kaspi)

In altem Georgien gab es die Menschen (so Historiker Schota Meschia), die das Gravieren der Grabinschriften zum Beruf hatten und in diesem Bereich besondere Kenntnisse, Geschmack und Erfahrung an den Tag legten. Die Menschen von diesem Beruf nannte man „Tsamtserelni" (die Anschreiber), d. h. die Leute, die Grabinschriften schreiben (gravieren) konnten. Die eindrucksvollen Beispiele ihrer Schreibkunst faszinieren uns noch heute.

„Der Inhalt und das künstlerische Niveau der Epitaphe sind von dem kulturellen Erbe sowohl der geistlichen (kirchlichen) und weltlichen Literaturen als auch der Volksdichtung geprägt" (E. Nadiradse).

Der bekannte Literaturhistoriker und Folkloreforscher Wachtang Kotetischwili (1893-1937) in seinem Buch „Volkspoesie" (1934) bedauerte, dass „dieser Bereich der Volksdichtung unerforscht war" Daran hat sich bis heute kaum etwas geändert. „Wer weiß, aus welchen Zeiten stammen die naiven Zeilen auf den Grabsteinen unserer Dörfer?" – fragt er und versucht die Stimmen aus der Vergangenheit zu erkennen. Der Forscher sieht einige Ähnlichkeiten zwischen georgischen und altägyptischen Epitaphen.



Taschiskari (Rayon von Chaschuri)

Es ist in der Tat nicht leicht zu bestimmen, wo und wann das erste georgische Epitaph erschien, auf wessen Grabstein – eines reichen oder eines armen Menschen?

Erstaunlich deutlich bewahrt das Volksgedächtnis Texte der Volksdichtung auf; dasselbe kann man aber nicht von Epitaphen sagen, da sie einem schriftlichen Genre angehören und eine Menge von ihnen zusammen mit den Grabsteinen auf ewig verschwunden und in Vergessenheit geraten ist. Ein Teil von ihnen, der bis heute erhalten geblieben ist, kann man nicht mehr lesen, weil die uralten Grabsteine mit Efeu, Moos und Erde bedeckt sind.

Die Ursache dafür, das die Epitaphe sich mündlich nicht verbreiten, ist darin zu suchen, das sie eng an den konkreten Personen gebunden sind, selten die Grenzen eines Dorfes verlassen, und mit dem Andenken an die Verstorbenen auch sie der Vergessenheit anheimfallen.

Epitaph hat ganz bestimmte pragmatische Funktion: lakonisch, durch die Hervorhebung der wesentlichsten Eigenschaften des/der Verstorbenen von seiner/ihrer Tätigkeit und Todesursache zu berichten. Außerdem kann es auch ein Ansuchen an die Familienmitglieder und/oder eine Bitte um Vergebung zum Inhalt haben. Das herkömmliche Epitaph darf keine Ausschweifungen enthalten. Die meisten altgeorgischen Epitaphe sind äußerst kurz gefasst.

Das Epitaph ist ein klarer Ausdruck des kollektiven Denkens einer Nation, es entspricht ihrem Bildungsstand, ihrem intellektuellen Niveau und ästhetischem Geschmack.

Der Volksdichter, im Unterschied zum Berufsschriftsteller, ist mit den Volksmassen, ihrer Lebensweise, ihrem Alltag, ihrer Weltanschauung zu eng verbunden. Er ist, so zu sagen, ein freiwilliger „Geisel" des Geschmacks derjenigen sozialen Schicht, der er angehört. Seine Pflicht, sein innerer Drang ist, den mündlich überlieferten Traditionen zu folgen. Der Verstoss gegen die kanonische Struktur des Genres ist in der Volksdichtung streng verboten, denn wenn das der Fall ist, dann gehört der Text nicht mehr der Folklore. Der traditionellen Schreibweise treu zu bleiben, ist genauso charakteristisch für den Volksdichter, wie für den Berufsschriftsteller – unermüdliches Streben nach Novationen.

Es fragt sich: Darf man das Epitaph überhaupt der Folklore zurechnen?

Die Tatsache, dass hinter jedem Epitaph ein einziger bekannter oder unbekannter Autor steht, und keinerlei Teilnahme eines Kollektivs bei der Entstehung des Textes zu vermuten ist, stellt auf den ersten Blick die Angehörigkeit des Epitaphs zur Folklore unter dem Zweifel.

Der Autor des Epitaphs ist auf keinem Grabstein erwähnt, was teilweise dadurch zu erklären ist, dass die Grabschrift vorwiegend im Namen des/der Verstorbenen spricht. Der Verfasser des Epitaphs lässt den „Bewohner" des Grabes reden, und ist „gezwungen", selber hinter den „Kulissen" zu bleiben.

Zwar kann das Epitaph alle Hauptforderungen, die der Volksdichtung gestellt wird, nicht erfüllen, trotzdem darf man sagen, dass der größte Teil der georgischen Grabinschriften folkloristischer Herkunft ist. Folkloristisch sind ihre stereotype Ausdrucksweise und die naive Auffassung des Lebens und des Todes.



Sephe (Mtiuleti)

Aber neben der folkloristischen gibt es auch literarische Epitaphe. Man darf nicht „Epitaph der Königin Tamar“, „Königin Tamar war ich“ oder „Epitaph David des Erbauers“ der Folklore zurechnen, weil sie offensichtlich literarischer Herkunft sind. Der Stil der literarischen Epitaphe, im Vergleich zu folkloristischen, ist ziemlich kompliziert und gepflegt, der Wortschatz – reich und gewissermaßen gehoben.

Ein typisches Beispiel des literarischen Epitaphs ist das Gedicht von David Guramischwili (1705-1792) „Für Grabinschrift“ Weit von der Heimat entfernt, jammert der Dichter in diesem Vers über seine Leiden, die ihm „das böse Diesseits“ zugefügt hat, und am Ende, ähnlich dem folkloristischen Epitaph, um die Vergebung der Sünden bittet.

Das Epitaph kann sowohl in Vers als auch in Prosa geschrieben sein; die Hauptsache ist, es wirkt auf dem Leser, dem Betrachter des Grabsteins, beeindruckend und ihn zur Vergebung bewegt.

Eines der wesentlichsten Zeichen des Epitaphs ist sein autobiographischer Charakter. Es soll eine kurze Auskunft über den Lebenslauf des/der Verstorbenen geben. Oft beklagt sich der/die Verstorbene über die Unerbittlichkeit des Daseins. Häufig hört man auch herzzerreißende Klagen wegen des Schicksals der hinterlassenen Familienmitglieder, besonders der hilflosen minderjährigen Kinder; deutlich zu spüren ist auch das Angstgefühl vor der finsteren Grabstätte.

Grabinschrift und in Stein gemeißeltes Bildnis des/der Verstorbenen geben meistens zuverlässige Informationen über seine/ihre Personalien und Beschäftigung. Alte Grabsteine sind nicht nur mit Epitaphen und Bildnissen ausgestattet, sondern sieht man auf denen auch verschiedene Ornamente, Dinge, Werkzeuge, Tiere und Pflanzen, darunter: Kreuze, Stühle, Tische, Tonkrüge, Gläser, Flaschen, Trinkhörner, Hämmer, Scheren, Pflüge, Nähmaschinen, Ziehharmonikas, Karren, Flinten, Dolche, Patronen, Schafe, Pferde, Ochsen, Steinböcke, Tauben, Fische, Blumen, Weintrauben...

Ein jedes von obengenannten Dingen und Lebewesen geben Informationen von der Tätigkeit und manchmal auch der Weltanschauung der alten Georgier.

Manche Epitaphe drücken den sehnlichsten Wunsch der Verstorbenen aus: Sie bitten den Herrn Gott ums Paradies. Die Georgier finden: Nicht alles ist des Todes, der liebe Gott ist barmherzig, er kann Verstorbene an ewig hellen Ort schicken: „Mach auch mich, Gott, würdig Deines Paradieses, lass mich wenigstens da im hellen Licht weilen, denn der Tod ist schwierig, ich bin Deine Erde, Herr, der Tod ist Feind der Seele...“

Laut der Grabinschriften ist der Tod lügnerisch und grausam. Er zwingt sein Opfer in die dunkle Erde, ihm gegenüber sind die Leidtragenden kraftlos. Trotzdem verliert der/die Verstorbene die Hoff-

nung nicht, will sich dem bitteren Schicksalsschlag nicht unterwerfen, hofft um die Vergebung der Sünden, was die Voraussetzung dazu ist, dass die Seele zum Himmel fährt.

Auch das Thema der Auferstehung und des Jüngsten Gerichts ist nicht fremd dem georgischen Epitaph: „Unter diesem Stein bin ich eingepflanzt, bin ein Setzling, der seinen Blick aus der Erde nach oben richtet"

Die Epitaphe berichten manchmal auch von historischen Ereignissen, von den Überfällen der Feinde usw. Außerdem sind sie zuverlässige historische Quellen, klare Beweise dafür, wem das streitig gewordene Territorium (z. B. in den „heißen Punkten" des heutigen Georgiens) vor den Jahrhunderten gehörte. „Gerade die Grabdenkmale sind die besten Verteidiger des Territoriums, wo sie sich befinden" (I. Surguladse).

Die meisten Epitaphe im vorliegenden Buch sind von uns entdeckt und fotografiert worden. Wir denken, sie zeigen alle wesentlichen Merkmale der georgischen Grabinschriften auf. Durch diese lapidaren Texte wollen die ins ewige Leben Eingegangenen die Verbindung mit uns aufrechterhalten. Wehmütigen Klagen eines blutenden Herzens sein Ohr zu leihen, ist doch sowieso eine edle, gutmütige, von Gott gesegnete Tat.



Muguda (Mtiuleti)

ქართული მემორიალური კულტურა, მთელი მისი წიბო-წახნაგით, ფუნდამენტურად გამოიკვლია ცნობილმა ეთნოლოგმა ელდარ ნადირაძემ.

მის მრავლისმომცველ მონოგრაფიაში სანიმუშო პროფესიული სიღრმით არის განხილული და შეჯამებული ის სამეცნიერო სამუშაო, საფლავის ძეგლთა მოკვლევა-მოძიებას, შესწავლას და კლასიფიკაციას რომ მიეძღვნა საქართველოში. ეს სამუშაო, შეიძლება ითქვას, აქამდე მაინც სპორადულ ხასიათს ატარებდა და კომპლექსურად „განსაჩხრეკი" საკითხების მხოლოდ ნაწილობრივი გაშუქებით შემოიფარგლებოდა...

„საქართველოს მემორიალური კულტურის" (თბ., 2001) მკითხველი სრულიად მკაფიო წარმოდგენას შეიქმნის სისადავის ნიშანდებული ქართული მემორიალური ძეგლების შესახებ; თვალს გაადევნებს და მიიღებს სანდო, სრულყოფილ ინფორმაციას, რის საფუძველზეც ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის მანამდე სათანადოდ შეუფასებელი (და დაუფასებელი), ერთობ მდიდარი და თავისთავადი სფერო იკვეთება.

ელდარ ნადირაძის საეტაპო მნიშვნელობის სოლიდური ნაშრომი ცხადლივ ათვალსაჩინოებს ძველი საფლავების გემოვნებით „ალკაზმულ" ქვათა უდიდეს ისტორიულ ღირებულებას და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, წარმოადგენს იმ გარდაცვლილთა სულების სალხენად და საოხად შექმნილ დიდებულ ძეგლს, რომელნიც რახანია მშობლიურ მიწაში წვანან და „დაქსელვით" შესრულებული მიამიტური ეპიტაფიების მეშვეობით გვემუდარებიან შენდობით მოხსენიებას...



ოძისიცი (ატენის ხეობა)

# „ვინ იყო ძვათა ამათა მკვეთი...



„ჭირისუფალი"

გარდაცვლილის ოჯახის წევრი, ნათესავი, მეგობარი, ახლობელი და მოკეთე - „მაკიდული"

არაორდინარული სიტყვაა, შნოიანი და შინაარსიანი.

ყველაფერს და, მათ შორის, ჭირსაც, ჭირვებია თავისი უფალი!

„ჭირისპატრონსაც" იტყვიან.

ამ ცნებაშიც ცხადად ცნაურდება ცხოვრებისეულ ჭირსახდელთან მოკვდავთა დამოკიდებლების ხასიათი.

ისეთ მდგომარეობაზეც მიუთითებს, როცა, დიდი უბედურებისდა მიუხედავად, ადამიანი მარტო არაა. მას ჭირი ანუ დიდი განსაცდელი ახლავს თან და, ამდენად, „ღარიბად არ იხსენება" ის ჭირის უფალია (არჩილი: „დამტირებელთა ვიტირებ ჭირისა მე უფალია").

ულმობლობის ძნელად თავდასაღწევი ციხის საშხვერიდან ცოტა სხვანაირი მოჩანს ცხოვრების აზრი და მიზანი, წუთისოფლის უცვალებელი წესი და „ულმრთო" კანონი, სახე, სასო და სიცოცხლის საზრისი, საერთოდ, ყოფნა-არყოფნის ამოუხსნელი დილემის მასშტაბურობა...

ჭირისუფალი, ვისთვისაც გადატანილ გოდების დღეს, ცრემლსა და ვარამს დღე და ღამე გაუერთიანებია და გაუერთფეროვნებია, მოვალეა, შეძლებისამებრ აღასრულოს თავისი საკალდებულო მისია: მიცვალებულს არ მოაკლოს, არც სადაგ და არც სადღესასწაულო დღეებში, ტაბლა და ლოცვა-კურთხევა, მოხსენიება და შენდობის შეთვლა, უფლისმიერი ულუფა.

საიქიოში საკუთენო ალაგას „დაბინავებულ" სულიწმიდათ ისევე ესაჭიროებათ ამქვეყნიურ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით გასამეტებელი ნივთი და იარაღი, პურ-წყალი და სამოსსაფერხე, როგორც ცოცხალთ, ამა სოფლის მკვიდრთ.

გულით „გაქჩერებული" სასმელ-საჭმელი ღვთის ნებით მიუდით ნიადაგ თავისიანთა შეხმიანების „მოიმედე" გარდაცვლილებს და ცხრათვალა კოშკის შესაბამის სართულზე მყოფნი დიდად იშვებენ და ხარობენ, ლაღობენ და მხიარულობენ სამზეოელთა ძღვენის ხილვისას...



„ობლის საფლავის ქვებურა" (ვაჟა) გულს დაწოლილი ჯანღი რომ მოიშოროს, ცოცხალი კაცი მთელი რიგი ყოფითი წეს-ჩვეულებების პრაქტიკული ხორცშესხმით ცდილობს სააქაო-საიქიოს შორის არსებული მანძილის („მცხეთა შორს არის, საიქიო – ახლოს", ვკითხულობთ ერთ ორიგინალურ საფლავის ქვაზე დიდუბის პანთეონში) მაქსიმალურად შემცირებას, იმის ილუზიის შექმნას, რომ „ისინი" ისევ ჩვენთან არიან, მათ მხოლოდ იერსახე იცვალეს ანუ გარდა-იცვალ-ნენ და ახალ, უკეთეს სივრცით განზომილებაში გადავიდნენ.

ჭირისუფალს სჯერა, რომ უხილავი, მოუხელთებელი სიკვდილი უმწეოა ხსოვნის წი-

ნაშე. მას არ ძალუძს მწუხარე გულის იდუმალი სანახიდან ძვირფას სახეთა ამოშლა და გაცამტვერება. და ეს რომ არ მოხდეს, მუდმივად რომ იარსებოს მცნობთა წარმოსახვაში, მათ მხედველობით ხსოვნაში მიცვალებულის ვიზუალურმა ხატმა, საფლავის ქვათა ხატწერილები კეთდება. ქვაში ამოკვეთილი გამოსახულება, გამომდინარე მასალის გამძლეობიდან, სულ ცოტა, ორი-სამი ასწლეულით „გაუკვდავების" იმედს მაინც იძლევა და ამ შესაძლებლობის, ამ „შანსის" გამოუყენებლობა დიდი ცოდვა და დანაშაული იქნებოდა, ჩადენილი მიწადქცეულთა მართალი სულების მიმართ...



ნისტე (კასპის რ-ნი)

მოვუსმინოთ მიხეილ ჯავახიშვილს: „ჭირისუფალს წყურვილი ახრჩობს, როგორმე მკვდრის ხსოვნა მაინც დაიჭიროს, დაიბას, ჩაიბეჭდოს. მშიერი დარჩება, მაგრამ საფლავის ქვას იყიდის. აღარ ჩაიცვამს, ოღონდ იმ საფლავს ყვავილები ჩააცვას. უკანასკნელს გაჰყიდის, ოღონდ ძეგლი უყიდოს. იქაურობა ცრემლით მორწყოს და თავის თავთან ერთად სხვებიც აატიროს..."

„ჭირისუფალი" — მართლაც რა უცნაურად ერცელი, მომცველი და შთამბეჭდავი სიტყვაა, შემომწერი ორი არსებითად სხვადასხვა სფეროსა თუ სამყაროს სამანებისა; მათი მედიუმი და მომრიგებელი; კეთილი მეგზური, მეკავშირე და შუამავალი, აუწონელი დარდისა და მწუხარების მტვირთველი, მიცვალებულთა სუფთა სულების სარგოდ ამქვეყნიურ რიტუალურ ქმედებათა გამრიგე და წარმმართველი.

ჭირისუფალი.

ჭირისპატრონი...

ბოლოს და ბოლოს ყოველივე ხატოვან სიტყვად, პოეზიად, ხელოვნების ნიმუშად გარდაისახება; გარდაიქმნება და გარდაისახება, რათა ღია ჭრილობიდან მეწამული სისხლის დენა შეწყდეს და ადამიანმა საწუთროს მუხანათობისა და ხელთუქმნელი სილამაზის ანუ მისი ორგემაგეობის უცვლელი სიმართლე დაინამდვილოს.



წინარეხი (კასპის რ-ნი)



[illegible] (დუშეთის რ-ნი)

მეენის ანუ მესულთანის პირით საიქიოდან საშზეოზე ცოცხლებთან „მოლაპარაკე" განსვენებულის უმთავრეს სურვილთა შორის, რომელთა ასრულება მისი მშვიდი და უშფოთველი იმქვეყნიური ყოფის გარანტია, იხსენიება ხოლმე ქვა, დაკრძალვის შემდგომ გულზე რომ უნდა დაადონ და ამით საბოლოო ლაზათი დაადევნონ ჭირისუფლებმა.

„მწუხარე დედის ცრემლებით" პირდაბანილი სამარის საჩინო სამკაული ქვის ძეგლია, ზედ ამოკვეთილი ბარელიეფებით, პორელიეფებით და მოკლე, მაგრამ მრავლისმეტყველი საეპიტაფიო წარწერებით...

მთაში, სადაც უტრანსპორტობის გამო (და არც საამისო სახსარი მოეძევებოდათ) ჭირდა შორი გზით მძიმე ლოდების მიტანა, მიცვალებულის საფლავზე მშრალად აშენებდნენ სიპი ქვის ოთხკუთხა კოშკებს – დედამიწაზე ზეციური სამყაროს განმასახიერებელ სულთა საცხოვრებელ ადგილს (ე. ნადირაძე). მზის ამოსახედის მხარეს ჯდებოდა წარწერიანი ფილა ან რკინის ფირფიტა, ხოლო სიღრმეში კეთდებოდა კვადრატულად შეჭრილი „შუკუმი", ოთხკუთხედი თარო, სადაც სასმისი თავსდებოდა და მკვდართა ხსენების დღეებში თაფლის სანთელი იღვენთებოდა.



არდოტი (ხევსურეთი)

ეს კოშკი იყო უხმო, უენო მატერიალური განსახოვნება ერთურთისაგან გაყრილ გარდაცვლილსა და მის „გულგამოკლულ" ჭირისუფლებს შორის ფიზიკური კავშირისა.

კოშკი, იმავდროულად, საფიცარსაც წარმოადგენდა, რომლის სიახლოვე ემოციურ მოტირალში დროებით მიყუჩებულ მწვავე განცდებს აღვიძებდა, აღრმავებდა და ჩვეულებრივი „სოფლისაგანიდან" უმაღლესი რანგის პოეზიის ენაზე მეტყველ საკვირველ სუბიექტად აქცევდა მას.



შენაქო (თუშეთი)

აგიგო კოშკი ჯვართ თაევსაო
ოთ-ოთხი ქალის საფიცრადაო,
მეხუთის ხოშექაისადაო...

კიდეებმორჩუქურთმებული ქვის დამზადება და საფლავზე დადება ქართულ სამგლოვიარო წეს-ჩვეულებათა განუყოფელ ატრიბუტად მოიაზრება.

რაც უფრო ხელმარჯვედ გათლილი, თავ-ბოლო გამოყვანილი, დახვეწილი და ხატულა ორნამენტე-ბით მორთული იქნება ეს ქვა, მით მეტ კმაყოფილე-ბასა და მადლიერებას განიცდის უსიხარულო შავე-თის სამუდამო ტყვე-ტუსაღი...

გოდების ლექსი, ქვასთან ერთად, არც იმ სამეურნეო იარაღსა და გამწევ ძალას ივიწყებს, რომელთა გამოსახულება არაიშვიათად ამშვენებს სამიწათმოქმედო რეგიონების ძველი სასა-ფლაოების მოკაზმულობას:

კარგი მიყიდეთ გულის ქვა,
დამიხატვინეთ ჯვარია,
მიყორდა კარგი გუთანი,
ოთხი შანბული ხარია...



ზიმონიკე (თეთრიწყაროს რ-ნი)

სოფლებში განსაკუთრებით ფასობდა „ქალაქ-ში" დამზადებული და იქიდან მოტანილი, გრძელ გზაგამოტარებული ქვა: ძვირიც ჯდებოდა და, რაც მთავარია, ცივილიზებული სივრცის ერთგვარი ხიბ-ლიც თან სდევდა.

ნაკურთხი ქვის დანიშნულებას ცრემლის კელაპ-ტრით ჩანათებული საიქიოდან მახვეწარი თვალით სააქაოსკენ მზირალი მიცვალებულის გვარ-სახელის განდიდება და გაუკვდავება შეადგენდა... იგულისხმება, რომ უქვოდ დარჩენილი, ყურადღებამოკლებული „მოშავეთე", როგორც უშეილ-ძიროდ გადაგებული „ცოდვილა-უპატრონო", მალე დავიწყებისთვის იყო განწირული...

ქვის შერჩევისას მის „ჯიშს" ენიჭებოდა უპირატესობა. ის, ერთდროულად, გამძლეც უნდა ყო-ფილიყო, დამყოლიც და მზერის მიმზიდველიც. მასზე ნატურალისტური მანერით „გამოხატული" სახმარი საგანი თუ საომარი იარაღიც უფრო ლამაზად და გამოკვეთილად გამოჩნდებოდა...



კარკუჩა (ხევი)

მარმარილოს ქვა გათალე,
გულზე დამადეო,
ჩემი თოფი და ხანჯალი
ზედ გამოხატეო...

მცხეთის მიწას მიბარებული არსენა ოძელაშვი-ლის სამარის სამკაულიც ხომ მარმარილოს ქვაა. ლექსის ფინალი გვაუწყებს:

მარმარილოს ქვა დასწერეს, დასწერეს და დაადვესა:
აქაც კაი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგესა!

მოსაგონარში, ანუ, როგორც მთიულეთში ეძა-ხიან, „მკვდრის ლექსში", ვინმე კოხტა ნინას თხოვნით ბრძანებითი ინტონაციით წარმოთქმული სიტყვების მიხედვით, საფლავის ქვა მის ქვეშ „მდებარე" ქალის მოხდენილი გარეგნობის აღმნიშვნელი ეპითეტის სემანტიკური შინაარ-

სის შესაბამისია. ნინას სურვილის გამხმოვანებელ მოსაგონარის ანონიმ ავტორს ზედმიწევნით ზუსტად ესმის „გაკუთხული ქვის" ფუნქციური დატვირთვა და დანიშნულება. ახლობლისადმი მიცვალებულის ლაკონიურ მიმართვაში ეპიტაფიური წარწერისთვის სავალდებულო უმთავრესი დეტალია დაფიქსირებული:

ორშაბათს გაკუთხული ქვა
გულზე დამადეო,
ჩემი გვარი და სახელი
ზედ წააწერეო...



არის რამდენიმე ისეთი სამგლოვიარო ლექსი, ქვის ესთეტიკურ მხარეს არანაირ მნიშვნელობას რომ არ ანიჭებს და წარმოგვიდგენს მას, როგორც „შავი კლდის ნამტვრევ" უბრალო ლოდს, რომელიც პირით-პირამდე კეტავს ისედაც შავ-ბნელ სამარის კარს და იქ მწოლიარე ვაჟკაცს მზის შუქის ნახვის ნებას არ აძლევს...



ურბნისი (ქარელის რ-ნი)

რაც უნდა მსუბუქი „საბურავით" („ბრალია, ნიათ მიხაო, მიწას გითხრიდან გრილსაო, საბურავ ეფარებოდას ანგელოზივით პირსაო" ანდა: „ავხჭდიდი სიპსა, საბურავსა, ზედ დედა ჩავეხურებოდი...") ფარონ და ემპირიული სინამდვილის ნაჭდევებით ალამაზონ უცნობმა მელექსეებმა (ასევე, ეპიტაფისტებმა) და ფიროსმანის სულიერმა მემკვიდრეებმა უდროოდ წასულ ქალ-ვაჟთა სამარეები, მათთან მაინც ის შავი, პირქუში წერტილი ასოცირდება, ადამიანის სიცოცხლის ნარეკლიანი გზის ბოლოში რომ ზის და, საპირისპიროდ კაცთა სურვილისა, მისი არც გადაგორება შეიძლება და, მითუფრო, არც მეორმოსელის მისტერიული საიდუმლოს პრაქტიკული გაცხადების საწყისად გარდაქმნა.



მოთუღლეთი

გლოვის მგოსნის („...და ყოველთა ქალაქთა, უბანთა და დაბათა დასხდიან მგოსანნი გლოვისანი...“) ანუ ხმითმოტირლის იმპროვიზირებულ რეპერტუარში, მის მარაგიან მოთქმაში (სულხან-საბა: „მარაგით ზრახუა“ არს სიტყუა ესრე გვარად სთქვა, ადვილ საცნაურ არ იყოს, არამედ ვითარცა ღრუბელი რამ ემოსოს, ანუ ორ სამ რიგად გაისინჯოს“), არცთუ იშვიათად, ხმიანობს სახელწოდება (ხშირად – ტოპონიმური) სასაფლაოსი, სადაც მისი ახლობელია დაკრძალული ანდა ჯერაც „ზეპირ“, ზეზეურად მყოფი მისიანი უნდა მიჰბარდეს მიწას.

სასაფლაო „გარდაცვლილთ არე“ (ვახტანგ ორბელიანი) – თავისი დაბებკილი, ატკეჩილი, ათასფრად აფორეჯებული ქვა-ლოდებით და დაშაშრული, წაფერდებული ჯერებით, სულფონიც არის და სულწუხიც; სულფონი – შესვენებულებისთვის, ხოლო სულწუხი – ცოცხლებისთვის (ეგებ, პირუკუ!).

ცაგახსნილ მაღლობსა თუ შეუმჩნეველ შეფერდებაზე გაკიდეგანებულ მიცვალებულთა უოხჭნო „სამეფო“ ხომ შეუმღვრეველი სიმშვიდისა და მდუმარების ის უწმინდესი ტაძარია (ტერმინი „ტაძარი“ XI ს-მდე საერო დანიშნულების ნაგებობას აღნიშნავდა), სადაც ადამიანი საკუთარ სუნთქვასავით მძაფრად შეიგრძნობს „ამაოება ამაოებათა“-ს თუ „მიწა ხარ და მიწად იქცევი“-ს ულრმეს და, ამასთან, სრულიად ნათელ, უმარტივეს ფილოსოფიას...

საფლავთ გორაი მამწონს თქვენიო,

ზინზილიანი მიწევს ზალიო... როგორც ჩანს, სხვა სოფლიდან სატირალში მისული ქალის სიტყვებია, ქალისა, ვინც თავისი სასურველი რძლის მიმღები და მიმბარებელი მიწის მიმართ მოწონებით დამოკიდებულებას აბსოლუტურად სადა პოეტური „მედიტაციით“ გამოხატავს...

სამაროვნის სევდიან ნდომა-სიყვარულს იქ განსვენებული თავისიანების აწ ცალფა, ცალმხრივი მონატრება და გაუნელებელი სიყვარული აძლევს დასაბამს...

უსალბუნო ჭრილობის ენითუთქმელი სიმწვავით განიცდება მანძილი, სააქაოს დარჩენილთა და მიცვალებულთა სამყოფელს შორის რომ ძევს; მანძილი, რომლის გავლა და უკან მოტოვება, ადრე თუ გვიან, უკლებლივ ყველა მოკვდავის უცილო, აუშორებელი ხვედრია...

მიყვარხარ, სასაფლაოთ გორო,
მიყვარხარ, განა მართლა გშურობ,
აქ არის ჩემი მამის სახლი,
აქ წვანან ჩემი მამა-ძმანი...

ამ სიტყვების წარმომთქმელი ქალი თავდაპირველად „დანელებას“ გაქრობას, უვნებელქმნას – უსურვებს კაცთა მოდგმის ძვალ-ხორცით გაუმაძღარ, მუდმივ ახალი არჩივის მომლოდინე წყეულ გორას; „რძალ მივეც ბედისკვერაადაო“, ამასაც ამბობს და, უეცარი ფერისცვალების, ხედვის კუთხისა თუ რაკურსის რადიკალური



საკრამული (დუშეთის რ-ნი)



[illegible] ([illegible] რ-ნი)

შეცვლით დასაწყისში ნათქვამი სტროფის ერთგვარ ანტიავტორად გვევლინება: საწყაულიეით აღუვსებელი სამარის გორის წყევლითა და ძაგებით გულნაჯერები მომდევნო ტაეპებში მადლიერებით იხსენიებს სიკვდილს და „სასაფლაოთ გორს“, სადაც მის საამაყო, სასიქადულო მამისახლს აუჩენია სამარადისო ბინა...

არათუ ნინველობის, სიყმაწვილის და სიყრმის დაუვიწყარი სოფელი, როგორც ტერენტი გრანელი იტყოდა, „ტკბილი ოცნების ლურჯი ნამოსახლარი“, თვით ამ სოფლის სასაფლაოც კი სანუკვარი და „დასაწუხებელია“ (მთის კილოებში „დაწუხება“ მონატრების მნიშვნელობით იხმარება: ასევეა ვაჟას პოეზიაში: „დაწუხებულმა, არაგვო, რო გნახე, გავიხარეო...“) ბედის აურიდებელი განაჩენით სხვაგან, სხვა თემსა თუ ხეობაში ნებით გათხოვილი ანდა ძალით წაყვანილი (გულსუწადინოდ მოტაცებული) ქალისთვის, მითუმეტეს, თუკი მშობლიურ ყურემარეს, ეზო-ყორეს და სანახებს მისი ნამმობისა თუ ნანდაურის გაუხუნარი, საგონ-საფიქრალიდან და გულ-გონებიდან ამოუშლელი ხატებაც ადგას დაუვალ შუქად...

მთიელ მთქმელთა შესაშურ მეხსიერებას, სხვა მრავალთაგან, ეს ყოფით-კამერული ამბავიც მოუტანია ჩვენამდე: არდოტელი თარუა მურღუევი მუცოში გაუტაცებიათ. თარუას, ამ დროს, თანასოფლელი ვაჟკაცი ჰყვარებია... „ი თარუა დაჯდის სადამავ, - გვაუწყებს ნატირლის კომენტარი, — ცა-ღრუბელთ დაუწყისავ ხედვაიო-დ საუბარივ: „ბედნიერეუბოვ, ღურბელნოვ, არდოტაც მიზდითავ, თვალითაც ღნახავთავ“ (თავის სწორფერს გულისხმობდა)... დღე და ღამ ყარაულობდნენ, ქმართით ისევ არდოტში რომ არ გაპარულიყო... ბედით უკმაყოფილოს, სხვა გზა რომ აღარ ჰქონდა, თავი მოუკლავს... დაკრძალვის დღეს დედულთ ქალს, აგუნდა დაიაურს, დაუტირებია:



ნოსტე (კასპის რ-ნი)

არ მინდა შახეს შახეტეიო,  
დანიუხესამც დამაწვინაო,  
დანიუხეზე ნადენ წყალიო  
ზედამც გულ-მკერდზე მამადინაო...

„შახე“ მუცოს, თარუას უნდაურ ქმრეულთა საგვარეულო სასაფლაოა, ხოლო „დანიუხე“ - მისი მშობლიური სოფლის – არდოტისა.

განმარტებისთვის: აგუნდა დაიაური გარდაცვლილის სათქმელს ახმოვანებს, მის მაგივრად გველაპარაკება, „მესულთანეობს“ მოტირალი ხომ, ხშირ შემთხვევაში, ორი სამყაროს შუამავლად, „სამზეურთა“ და „მზედაბინდულთა“ თავისებურ მისტად თუ მედიუმად წარმოსდგება თავის „გულჳრულ“ მოთქმასა და ვაებაში...

გამზრდელი სოფლის აღმატებული ქების ხნოვანი პოეტური ტრადიცია მართლის თქმის პრინციპზე აგებულ ხმით ნატირლებში სასაფლაოებზეც ვრცელდება:

საფლავნი ჯობან ბარუქულნი,  
მემრ ღულურნი და ჭიშხურნი...

„ბარუქა“ არხოტის თემის სოფელ ახიელის სამაროვნის სახელია (თავის შედევრში „რამ დამაბერა“ ივანე წიკლაური



მაქარია (გუდამაყარი)

ორმოცდაორი წლის სწორფერის – ლელა გაბურის – გარდაცვალების გამო იტყვის: „ბარუქას დაბინავებამ, გაწირვამ არხვატისამა...") და, სავარაუდოდ, ნატირლის ავტორიც არხოტიონია. იგი ღია მიკერძოებას ამჟღავნებს და ხევსურეთის სხვა სოფლების სამარხ ადგილებზე მაღლა დღეყოველ ცრემლში მბრუნავი თვალით სამჯერ მშობლიური სოფლის სასაფლაოს აყენებს, „მჯობინობაში" მის პირველობა-უწინარესობას აღიარებს (ახიელის ეს სამაროვანი სხვა ხმით ნატირლებშიც ფიგურირებს: „საფლავს გითხრიან ბარუქასაო, ნაზარდო საახნაუროდაო"; „ნუ გამიცინებთ, მატირალნო, ცუდა მეც მიწევს ბარუქასაო...").

იშვიათია ისეთი ქართული სასაფლაო, რომელსაც სოფლის, დაბისა თუ ქალაქის შემოგარენში ყველაზე მყუდრო და მზეუხვი ადგილი არ ჰქონდეს მიკუთვნებული. „...ვინც დაჰკვირვებია, ის შეამჩნევდა, რომ, განგებ თუ შემთხვევით, სასაფლაოს ყოველგან საუკეთესო ალაგი აქვს დათმობილი" (ჭოლა ლომთათიძე).

„მუხა-იფნებით ფარულ" თუ ყაყაჩოების ცეცხლით განათებულ ხავერდოვან გორებზე მდებარე ძვალშესალაგები ხომ, ფიგურალურად რომ ვთქვათ, ის „სავიზიტო ბარათებია", რომელთა წყობა და წესრიგი არაორაზროვნად მიანიშნებს მათ მომვლელ-გულშემატკივართა შინაგან კულტურასა და ადამიანურ ღირსებაზე.

ამიტომაც სწევენ წინ თავიანთ გოდებაში მშობლიური სოფლის სამაროვნებს მწუხარების ლექსად ქცევის უბადლო ოსტატები, ანუ, როგორც მემატიანე უწოდებს, „მგოსანნი გლოვისანი"



გომბორის გზაზე

ნუგზარ იდოიძის მიერ პელოს აკლდამებში – ნასოფლარის სიახლოვეს — ნაპოვნი და ომალოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, კესელოს ციხის მესამე სართულზე, სხვა უნიკალურ ექსპონატებს შორის განთავსებული სიპი ქვა!..

საუკუნეთა ნახმევს ინახავს თავის ბზარ-ნაოჭებში მტკაველნახევარი სიგრძის მოლურჯო „ძეგლი"

მაინც რამდენის გაძლება და გადატანა შეძლებია კაცის სულ „უბრალო" ნახელავს!

ასეთი ტიპის, სტილისა და მხატვრული კომპოზიციის ნამუშევრები მსოფლიოს ძველთაძველ სამარხებსა და გამოქვაბულების კედლებზეა აღმოჩენილი.

ნადირობის პრიმიტიული სცენა თუ სიუჟეტი თვალყურს უმალ შორეული საუკუნეებისკენ, დაუწვდომელი წარსულისკენ მიგაქცევინებს...

ქვახიდისა და ლაროვნის ყინულოვანი წყლების შესაყართან, საცხვრე ბილიკებით სიბრტყივ დასერილ, დამრეც შეფერდებაზე მდებარე პელო თუშეთის ძველი ყოფის სახიერი, „დაუჩუმარი" ნაშთია.



სოფლისგან დღეს მუქწითლად ჩაყანგული, ჩაქცეული, ხავსმოკიდებული, ველურ ბალახსა და ცხენ-მხედრის დამმალავ შალან-შამბში ჩაკარგული ყორეებია დარჩენილი.

ხოლო პირამიდულად აზიდულ მთის თხემზე დარბაისლურად აღმართული საომარი ციხე-სიმაგრეები გარდასული დრო-ჟამის გმირთა „აკ მუსაიფებად" გაშეშებულან ცის სილაჟვარდეში...

მათგან ერთი „ზურაბის კოშკის" სახელით არის ცნობილი...

ეს ის ზურაბია, რომლის შვილმა, მიქელმა, ცოლ-შვილი საკუთარი ხელით დახოცა, რათა ურჯულოთა ტყვეობისგან ეხსნა ისინი...

პირიქითის ხეობის ხშირი სტუმარი იყო „გულხადარა და დიდო"

არც არასდროს ქისტეთის აულებიდან ქაჩუს თუ ქერიგოს მთით გადმოსულ მომხედურებს მიუციათ მშვიდი ძილისა და მოსვენების საშუალება მონობის უღელს უჩვევი, უშიშარი თუშებისთვის (ვახუშტი ბაგრატიონის დახასიათებით, თუშები „არიან ბრძოლასა შემმართებელნი, მჴნენი, ძლიერნი მჴედარნი წარმატებულნი..").

ღამის გზებით ქურდულად შემოპარული ბევრი ბუსურმანის ცა გაშავებულა თუშეთში.

ბევრს უწევდა ნადავლის „გაწირვა" მთათა ყელებსა და გადასასვლელებში...

ასეთი წესიც ყოფილა ძველად: თუშეთის ასაკლებად და ცხვარ-ძროხის გასარეკად დაძრულ ჩრდილოკავკასიელებს თითო ქვა აჰქონდათ ზეკარზე. ერთად დაყრილი ქვების რიცხვი ლაშქრობის მონაწილეთა ზუსტ რაოდენობას უდრიდა... თარეშიდან უკან დაბრუნებული, ცოცხლად გადარჩენილი ლეკები თუ ქისტები თავთავიანთ წილკერძ ქვებს აიღებდნენ და მთიდან დაბლა დააგორებდნენ. რამდენი ქვაც ადგილზე დარჩებოდა, იმდენი მებრძოლი აკლდა მოძალადეთა რაზმსა თუ ლაშქარს...

მწყემსები და მონადირეები ამგვარი ქვანაყრების, ანუ, თუშურად, „თუფების" არსებობას ახლაც ამოწმებენ თუშეთისა და ქისტეთ-ლეკეთის დამაშორიშორებელ სასაზღვრო ზოლში.

„ქვათა შეკრების" ასეთი წესი მურთაზს, ჩაჩან-ინგუშთა ნაიბს, შეუსრულებია მაშინ, როცა ფარსმის „ბროლის" ციხის ასაღებად ზარბაზნით თუშეთისკენ მიმავალს ლაშქრის წევრების აღრიცხვა გასჭირვებია... დამარცხებულს და „თმიანი ქალოვით" უკუქცეულს დანაკლისის გას-

არკვევად ქვების სათითაოდ აკრეფა უბრძანებია... ქაჩუს უღელტეხილზე ქვის ერთი მესამედი დარჩენილა. ამ გროვას, როგორც ეთნოგრაფები (ს. მაკალათია, გ. ბოჭორიძე) მიუთითებენ, „მურთაზის გოხს“ ანდა „ჯარის ქვანაგროებს“ ეძახიან...

თითქოსდა თვითეული ამ ქვათაგან თუშეთის მიწაზე სამუდამოდ დარჩენილ უცხოტომელთა სიმბოლური სამარის „საბურველია“!



ჰელო (თუშეთი)

ესეც კენოტაფია, ოღონდ კენოტაფის ისეთი ნაირსახე, როცა წერაატანილი მეკოპარი, მპარავი და მაოხრებელი თავისივე ნებით იმზადებს და ტოვებს ამ ტიალ ქვეყანაზე „სამარადისო“ სახსოვარს...

ჰელო.

ბუღრიძეების, ანთაიძეებისა და ბორძიკიძეების საარაკო ნასოფლარი...

გვიამბე, ელიზბარაო,
რა ამბავ მოხდა ელოსა...

ჰყებიან მთხრობლები, მელექსეები, მეანდრეზეები.

ჰყვება ვაჟაც...

ჰყვებიან სხვადასხვაგვარად, გვაუწყებენ იმას, რაც დაბეჯითებით იციან, როგორც სწამთ, რაშიც ეჭვი არ ეპარებათ.

და დარჩენილა განუმეორებელ, ძნელად წარმოსადგენ ამბად სისხლიანი თავსგადანახედი ბუღრიძეთა გვარის ერთი ღირსეული, თავმოყვარე ოჯახისა...

შესაძლოა ეს პატარა ქვაც ჰელოს ტრაგედიის რომელიმე შემსწრისა თუ მონაწილის ფიქალქვით ნაგები საფლავის „ამონარიდია“

ფიგურალური გამოსახულება კაცისა, რომელსაც ხელთ მშვილდისარი უპყრია (ისარი საბრძოლოა, ორწვერა!) და სამიზნეში უკანა ფეხებზე შემდგარი ირემი, ისეთი სახის პიქტოგრამებია, რომელთა საწყისები ადამიანის არსებობის პრეისტორიულ პერიოდშია საძებარი...

ცნობილია, რომ ირემი, როგორც სიმბოლო, მტკვარ-არაქსის კულტურაში „კოსმოგონიურ დატვირთვას ატარებდა, მეტაფიზიკურ შინაარსს ავლენდა და იდეალური სამყაროს თავისებურ სურათს აღადგენდა“ (მ. ხიდაშელი). და კიდევ: არქაულ ცნობიერებაში ისარი, ვითარცა ყოველგვარი იარაღი, საკრალური მნიშვნელობით იყო ნიშანდებული და, ამასთან, სამყაროული ღერძისა და მზის სხივის სიმბოლოს განასახიერებდა...



ისეთი განცდაც ჩნდება, თითქოს პაპირუსებზე ამოტვიფრულ იეროგლიფურ ენას დაჰყურებ და დიდია სურვილი, ნაწილობრივ მაინც ჩაწვდე და ეზიარო ამ ენიგმური ფიგურებისა თუ ორნამენტების საიდუმლოს...

სულაც არ ვცდილობთ ჰელოდან ჩამოტანილი ნახატებიანი ქვის განგებ დაძველებას, მისთვის გან-



(თუშეთი)

საკუთრებული „სტატუსისა“ და მნიშვნელობის მინიჭებას, მაგრამ ფაქტია: ამ ქვის ზედაპირზე ამოკვეთილი კომპოზიციის უცნობი ავტორი განსაცვიფრებელ შემოქმედებით სიახლოვეს ავლენს სამონადირეო ხასიათის უძველესი მოტივების შემცველი შესაბამისი სიუჟეტების ავტორებთან!

ტოტემური ცხოველის ზურგსუკან შესრულებული, ვიზუალურად სახვნიელის მსგავსი ნახატი, აღჭურვილი სოლარული სიმბოლოებით, რაღაც დამატებითი ინფორმაციის დამტევი და მატარებელი იმგვარი დეტალია, რომლის გაშიფრვა და მართებული კვალიფიკაცია ხელოვნების ისტორიკოსთა თუ მსოფლიოს უძველესი კულტურების მკვლევართა პრეროგატივაა...

და ისევ პელო, ანდამატური ძალით რომ იზიდავს „ძველპართა“ პეროიკული ყოფა-ცხოვრების პერიპეტიებში გარკვევის მსურველებს...

სოფელ-სიმაგრეს დარილიანი დიდოების რიცხვმრავალი ჯარი მიადგება.

შვიდი უძილო დღე-ღამის განმავლობაში იგერიებენ ციხე-კოშკებში გამაგრებული თუშები დაუნდობელ მტერს.

კვირისთავზე ტყვია-წამალი შემოელევათ.

ახლოვდება მწარე, საბედისწერო წუთები...

არსაით გზა და გამოსავალი.

ხსნის ყოველგვარი სასო წარკვეთილია...

მიქელი ცოლ-შვილს ხმლით თავებს „დასჭრის“, დააყრევინებს, მტერს ციხის კარზე მიეგებება, „ხმალმოღერებით“ გაუხტება, თორმეტს აჰკაფავს, ერთურთზე მიაწვენს, თვითონაც დააცვდება „კლანჭები“ და მარადიული ძილით დაიძინებს... სულეთს წაიხდენს, სამაგიეროდ, პირადადამიანური ღირსების შეუბღალავად შენარჩუნების მიზნით ისეთ უპრეცედენტო საქციელს ჩაიდენს, რომლის მაგვარი, მოგვიანებით, კერძოდ, 1838 წელს, კვლავ თუშეთში, ძველ დიკლოში მოხდება...

ხმლის და „მშვილდ-ისრობის“ დროის გმირთა საუკუნო სავანედან წამოღებული სიპი ქვის უწარწერო მოხატულობა, ბასრი იარაღის წვერით ღრმად ამოღარული სულიერნი და უსულონი, თუშეთის სიმშვიდენაკლული ისტორიული წარსულის წარუვალი წახნაგებია... ქრონოლოგიის დადგენა უკვე შეუძლებელია და, ცხადია, აღარც იმის გარკვევა მოხერხდება, ვისი სამარის ხავსიანი კოშკისა თუ ძეგლის მთავარ ძარღვს წარმოადგენდა ეს მომცრო-მოლურჯო ქვა...

დროის მდინარის მღვრიე ტალღას გადაურჩა, გამოაღწია და დღემდე მოვიდა, როგორც უტყუარი მესიტყვე და ამეტყველებული ნატეხი პელოს ოდინდელი ყოფა-ცხოვრებისა...



ომალო (თუშეთი)



ქვისმთლელთაგან ცოტა ვინმეს სახელი შემორჩა ხალხის ხსოვნას.

უმეტესი მათგანის ვინაობა ჩვენთვის უცნობია...

არადა, სასურველია, მცირედი რამ მაინც ვიცოდეთ მათი მოდგმის, გვარ-სადაურობის, სოციალური კუთვნილებისა და მდგომარეობის, განათლების, კიდევ სხვა ხელობის ფლობისა თუ პროფესიის შესახებ...

ვინ გათალა ყველაზე მეტი და კარგი, სანახავად საშური და საინტერესო ლოდი? სად და ვისი წყალობით განისწავლა ადამიანის ანატომიაში, ტან-ფეხისა და სახის პროპორციებში საკუთარი სოფლის სამანებიდან გარეთ გაუსვლელი, პა, პა, რაიონულ ცენტრსა თუ მეზობელ სოფლებში რამდენიმეჯერ ნამყოფი უსახელო ოსტატი? რა ზენა ძალა შთააგონებდა, როცა ირონიულ ღიმილსა თუ მწვავე წუხილს აქარაგმებდა მჭედაშრეტილი ვაჟის კოკობი ულვაშით დამშვენებულ პირისახეზე?..

ყოფნა-არყოფნის მუდმივი და მოუშორებელი, თავსატეხი „საკითხავისადმი" სრულიად მკაფიო, მყარად ჩამოყალიბებული მიდგომაც ცხადად იკითხება ქვითხუროთა ხელხვეწილ ნამუშევრებში და კაცის საამსოფლო მისიისა თუ დანიშნულების ფუნდამენტური პრობლემებისადმი ფილოსოფიური, ღრმად გააზრებული, მდგრადი და კარგად აწონ-დაწონილი დამოკიდებულებაც.

მერე რა!.. აი, ასეთია არაერთი სამარის ქვის სახიერი ხატწერილის ხმიერი შინაარსი.

მოღუშულობის ნაცვლად შეუმჩნევლად გახსნილი, ოდნავ შეტეხილი ტუჩის კუთხეები და მსუბუქად მოხაზული, ერთი-ორი მარჯვე მონასმით გაცოცხლებული შუბლის ღარი თუ სახის ნაოჭი...

რამდენ სათქმელს იტევს თვითეული განსვენებულის თითქოსდა უტყვი, უენო, მუნჯური სახე! რამდენი სევდა და ტკივილია ჩაქსოვილი მათ ღირსეულ, ზომიერად ამაყ და პირსწორ გამოხედვაში!

სახასიათო შტრიხების შემჩნევისა და „დაჭერის" დიდოსტატთა თაობებმა განვლეს საწუთროს ღორღიანი აღმართ-დაღმართები; წავიდნენ და მარადისობის ნისლოვან საფარველში გაუჩინარდნენ; იღვაწეს, ვალი მოიხადეს, „გარდახდეს, განვლეს სოფელი" და დანაკუწებული ცნობები ანდა მკრთალი მოგონებებიღა თუ შემოგვრჩა მათ ირგვლივ...

ესეც საკითხავია: მათ სამარეებზეც ისეთივე ნატიფი, სადა და ნაგულისგულარი ლოდები ძევს, როგორებსაც თვითონ თლიდნენ სხვებისთვის თუ მხოლოდ დაბადება-გარდაცვალების შაუწყებელი ორი თარიღის ამარაა დარჩენილი ამ უდიდეს (დიახ, უდიდეს!) ხელოვანთა განსასვენებელი ალაგის მაცნე ოთხკუთხა ქვები?!..

ჯიშობრივად ცნობდნენ, ხელის შეხებით გრძნობდნენ ჩეთი თუ ბასრი მასალის „ზნესა" და ხასიათს; სიმტკიცის მიხედვით არჩევდნენ, ანსხვავებდნენ და, ალბათ, მაშინღა იწყებდნენ თლას და კვეთას, როცა ადგილზე მიტანილი ქვის ვარგისიანობაში დარწმუნდებოდნენ.

ძველი მელექსეების დარად იუჩინარებდნენ თავს და ტოვებდნენ ანონიმურ ნიმუშებს, რომელთა მოხატულობა წრფელ აღფრთო-



[illegible]



ახალსოფელი (ალგეთის ხეობა)

ვანებას იწვევს დღევანდელ „დამთვალიერებლებში"

უკმეხი ქვის ხელოვნების ნიმუშად გარდამქმნელთა სკოლების შესახებ ძალზე მწირი ინფორმაცია მოიპოვება ქართველ ეთნოლოგთა და ისტორიკოსთა შრომებში.

ხალხური გამოყენებითი ხელოვნების ეს ავტონომიური სფერო, რატომღაც, არასდროს ყოფილა პრიორიტეტული და მკვლევართა აქტიური ინტერესების ორბიტში მოხვედრილი.

მემატიანეთა ნაწერებში წარმოდგენილია საყდრების, ბაზილიკებისა თუ ეკლესია-მონასტრების მშენებლობის პროცესის ამსახველი საკმაო ოდენობის დოკუმენტური მასალა. იხსენიებიან დამკვეთნი, კალატოზნი, ხუროთმოძღვარნი, „მუშაკნი" და სხვანი, ვისაც თუნდ სულ მცირედი წვლილი მიუძღვის სადღეთისმსახურო დანიშნულების ნაგებობათა დაწყების, „აღკაზმვისა" და დასრულების უკეთილშობილეს საქმეში... არაფერია ნათქვამი ქვისმთლელებზე, „სამარხოთა" შემამკობლებზე, მათზე, ვინც მთელ თავის ცოდნას, გემოვნებას, ენერგიას, ნიჭსა და პრაქტიკულ გამოცდილებას დებდა მიცვალებულთა სამიწისზედაპირო ძეგლების დახვეწასა და სრულქმნაში. ესაა ჩვენი ისტორიული წარსულის ხარვეზოვანი მხარე, თეთრი ლაქა და სიცარიელე, რომლის შევსება თუ გამოსწორება დღეს უკვე შეუძლებელია. ახლანდელ ინფორმატორთა მეხსიერებითი საწიერი, ბევრი-ბევრი, ერთ ასწლეულს წვდებოდეს. რა ხდებოდა ამის იქით, სახელდობრ ვის, რა გვარ-სახელის კაცს ეპყრა ხელთ „ყრუ" ქვის მჭრელი რკინის იარაღი, ძნელი სათქმელია.

საფლავის ქვათა ოსტატები, განსხვავებით არქიტექტურულ ძეგლთა ავტორებისაგან, თავისთავზე არავითარ მინიშნებას არ ტოვებდნენ...

გასული საუკუნის 30-40-იან წლებში თავისი ხელობით ცნობილი ყოფილა საფლავის ქვათა მთლელი მარტია ჯაშიაშვილი. იგი უმცროს ძმასთან იოსებთან ერთად თელავიდან ქვემო თიანეთში ჩასულა, გაუხსნია ქვების დასამზადებელი სახელოსნო და დაუწყია ინტენსიური მუშაობა.

მიცვალებულის გამოსახულების და ეპიტაფიური წარწერის „კალმით ამოღების" შემდეგ ოსტატი ნამუშევარს ზეთის საღებავით აფერადებდა. როგორც ნინო ბრაილაშვილი აღნიშნავს თავის „ეთნოგრაფიულ ჩანახატებში" (თბ., 1990), მარტია თელავის „სკოლისაგან" განსხვავებულად თვლიდა თბილისის, მცხეთისა და დუშეთის სკოლებს... და, მართლაც, საკმარისია დავაკვირდეთ საქართველოს ამერ-იმერში გადაღებულ საფლავის ქვათა ფოტოსურათებს, რომ მაშინვე შევამჩნიოთ მათი რეგიონალური თავისებურებანი. ამა თუ იმ კუთხის ეთნოგრაფიული ყოფისა და სამეურნეო საქმიანობის დომინანტი მოტივები თავს იჩენს როგორც ბარელიეფებში, ისე სიტყვაძუნწ საეპიტაფიო წარწერებში...



ჭალისოფელი (მთიულეთი)



არახვეთი (მთიულეთი)

ამ ბოლო წლებში ქვის ოსტატთა ასერიგად გაიშვიათებულ ტრადიციას მისდევს და ინახავს მთიულეთის სოფელ არახვეთის მკვიდრი ავთანდილ ბურდული. მას სახელოსნო საკუთარი სახლის ლაფაროში აქვს მოწყობილი. ქვა, როგორც ამბობს, ჯვრის უღელტეხილის საბადოდან ჩამოაქვს. ადგილზე მოჭრილი ლოდების ტრანსპორტირება დღეს დიდ სიძნელეებთან აღარაა დაკავშირებული. ტექნიკის დახმარებით ადვილად ხერხდება შავი მასალის სოფლამდე მიტანა...

ავთანდილ ბურდულის ნამუშევრები, ძირითადად, მთიულეთისა და გუდამაყრის სოფლების სასაფლაოებზეა დალაგებული... ქვათა უმრავლესობის უმთავრესი მხატვრული დეტალებია ქრისტიანული სარწმუნოების სიმბოლო - ჯვარი და ფეხმოკეცილი ჭედილა. ნაღვარევის, სეფეს, მაქართისა თუ ფასანაურის სამაროვნებზე მოხვედრილი კაცი სხვათაგან იოლად გამოარჩევს არახვეთელი ქვისმთლელის ხელწერას...

ავთანდილის მამა-პაპანიც ამ ხელობის მიმდევარნი ყოფილან. მათი მშვენიერი ნამუშევრების სიმრავლით გამოირჩევა უხმაურო ხევის პირას მდებარე არახვეთის სამაროვანი...

ავთანდილ ბურდული წუხს იმის გამო, რომ მის მონატეშარს ქვასთან „საუბრის" სურვილი აღარ აქვს და ისევე, როგორც ბევრი რამ, ძველი საქართველოს მკაფიოდ გამოკვეთილი ეთნოკულტურული ყოფის ეს ერთი სახიერად ზნეობრივი წახნაგიც თანდათან იშლება, იხაფრება და სანთლით საძებარი ხდება ქვითხურო, ვისაც ესმის ყადრი და მნიშვნელობა თავის წინამორბედთა დაუმადლებელი დანატოვარისა...

„ბექ-ბუქში" თოვლი რომ დადნება და „მიწით ამოსვლა მწვანისა" გაზაფხულის დადგომას გვამცნობს, საგოდებელიც თანდათანობით გამოვა ძილქუშიდან, შეიმშუშნება, მრუმე ფერს გადაიყრის, კალთას შეიშრობს და ნაირფერი ყვავილებით — გარდაცვლილთა პაწაწინა ბარათებით — მოირთვება.



წვიმით გაჟიებულ გაზაფხულს ალმურიანი ზაფხული შეცვლის. აბიბინდება ბალახი. აშრიალდებიან ვერხვები და მტირალა ტირიფები. იასამანს (პოეტის ჩვილი და ჩუმი ვედრება: „ო, რა სევდიანი ჩავალ სამარეში, თუ არ ჩამატანეთ იასამანები...“) ყვავილის მტვენები დასცვივა და შაოსანი ბერდედები ახლობლების სამარეებზე სიარულს მოუხშირებენ...

ნაყოფის მოსთვლის და ჭირნახულის დაჟამკრების დრო რომ მოაწევს, სოფლისპირა გზებსა თუ შარა-უბნებზე საქმიანი ნაბიჯით ამვლელ-ჩამომვლელთა რიცხვი მოიმატებს... მიმწუხრისკენ მიდრეკილ გარემოს სანთლად დაენთებიან სიყვითლემორეული ხეები და ბუჩქები. ჩაქრება ხავერდი. ირგვლივ ხაზგასმული სიწყნარე და მოწყენილობა დაისადგურებს. და ამ ხანობას ხელშესახები სიცხადით იგრძნობ ეპიტაფიათა შინაარსის სრულ შესაბამისობას სამყაროს შემოდგომისეულ სურათებთან...

დაზამთრდება. თვალსაწიერში სიცოცხლის ნიშან-წყალი წარიხოცება. ჯერ ჭირხლი მოეკიდება მდუმარე ლოდებს, მერე მსუბუქი, სიფრიფანა ფიფქი წაეფინება და ერთ მშვენიერ დილას შინიდან გარეთ გამოსულს თეთრად გადასუდრული სამაროვანი შემოგაცქერდება აქა-იქ შავად მჩინარი ძეგლებით და მატურებით. ერთმანეთს წაებმება უძილობით დაღლილი ღამეები და ბუნების მკვდრეთით აღდგომის მალული მოლოდინი დაიდებს ბინას სოფლის სიავით გაგლილი გულის სანახებში...

სხედან ზეგნებზე, ზვავუშიშ ფერდობებზე, ხეთა ჩრდილებში, ჯაგნარებში, ბუსნოსა და სამლოცველოთა კარ-მიდამოებში მოშავფროდ დალაქული, ჟანგიანი, ხეიფლმოდებული საფლავის ლოდები; სხედან და ელიან ისეთ დამნახავთა გამოჩენას, რომელთა არსებაში კვლავ გაიღვიძებს შეგნება, წყურვილი და ბუნებრივი მოთხოვნილება ეროვნული ხალხური ხელოვნების სუფთა სათავეებთან მიბრუნებისა.



წინამხარი (გუდამაყარი)



ველიკოდერჟავული რეჟიმის შეუწონარი მძლავრობისა და ზეობის უნდობარ დრო-ხანას, ბევრ სხვა დაუვიწყარ „სიკეთესთან“ ერთად, ნაციონალური კულტურული მემკვიდრეობის მიმართ ჩადენილი მოუნანიებელი ცოდვების უშელავათო სიმძიმეც აწევს და „აწუხებს“

ეკლესია-მონასტრებზე განხორციელებულ ვანდალურ ქმედებებს, როგორც ლოგიკური გაგრძელება, თან სდევდა და „აგვირგვინებდა“ მათ ყურე-მარესა და ეზო-შემოგარენში მდებარე ძველი საფლავის ქვების გასანადგურებლად გამეტება...

შარაგზის გაფართოება რომ გადაწყდებოდა, მაინცდამაინც ეს მდუმარე ლოდები უნდა აეწრიალებინათ...

როცა სულით და სხეულით ახოვან წინაპართა მიერ ხარ-მარხილის ძალით ადგილზე მიტანილ მასიურ ქვებთან ცარიელი ხელით ვერაფერს გააწყობდნენ, მიადგებოდნენ ბულდოზერით და უსარგებლო ძაძა-ძველმანივით ერთიანად ხევში, სანაგვეზე ანდა თვალსმიფარებულ გზისპირებში გადახვეტავდნენ (ამგვარი „ღონისძიების“ კლასიკურ მაგალითად გამოდგება წილკნის სასაფლაო, სადაც უძვირფასესი მასალისგან დამზადებულ პომპეზურ ძეგლებს შუა, ორ-სამ ალაგას, ათეულობით ოსტატურად მოხატული საფლავის ლოდია ერთმანეთზე მიყრილი)...

იკარგებოდა კვალი და ნასერ-ნასახი განსვენებულთა სამარეებისა.

უძეგლოდ რჩებოდნენ შთამომავლობის გულგრილობით, სულიერი სიბრმავით და საგმობი უმადურობით საფლავებში ცხრაგზის გვერდნაცვალი მიცვალებულები „ბრძენთაგან ნეტარნი და უვიცთაგან უცნაურნი, მძინარენი ხორცითა და მღვიძარენი სულითა, მკვდრად შერაცხილნი მკვდართაგან და უკუნისამდე ცხოველნი ქრისტესაგან“ (გ. მერჩულე)...

საგულდაგულოდ დაკუთხული ქვები გაჰქონდა და სიმტკიცის მისაცემად მშენებარე სახლის კედლის კუთხეში ატანდა მოსახლეობის უგბილი, ურწმუნო, უღმერთო ნაწილი.

იყენებდნენ კიბის საფეხურებადაც.

თელავში ყადორის გორას წარწერებნაცვეთი საფლავის ქვების მთელი მწკრივი მიუყვება, ხოლო ამ ქვათა კანონიერი მესაკუთრეების სამარეებს, უნდა ვიგულისხმოთ, ნარნარევი ბალახი ფარავს და საგულდაგულოდ შლის ნიშანწყალს იქ ოდესღაც ძვალშესალაგთა არსებობისას...



შილდა (ყვარლის რ-ნი)

ვინც ფრესკებს თვალებს სთხრიდა, უნატიფეს საეკლესიო მხატვრობას თეთრად ღებავდა და სამლოცველოთა გუმბათებიდან ჯვრებს ხსნიდა, თავისი „სასახელო“ საქმიანობის წარმატებულ გაგრძელებად მიითვლიდა საფლავის ქვათა ხელყოფასაც... და, შეიძლება ითქვას, არც სამისო საბაბის პოვნას ჭირდებოდა დიდი ძალისხმევა: ქვების უმეტესობას ხომ ანგელოზებისა და ქრისტიანული ჯვრის რელიეფური გამოსახულებები ამკობს და მათ წინააღმდეგ მიმართულ „კომპრომატად“, ალბათ, ესეც კმაროდა...

მწარე საწუთროს მომწყვლელი მარწუხებიდან თავდახსნილ, გზამართალზე შემდგარ „მდაბიო“ ადამიანებს არც იქ, უშფოთველ განსასვენებელში აძლევდნენ სიმშვიდეს, სულის სალბუნსა

და მოსვენებას. ავიწყდებოდათ, რომ „მშობლის საფლავის მომშლელი თავადაც ვერ ეღირსება დამარხვას, იმიტომ, რომ მშობლის საფლავი თავისებური, შეიძლება ითქვას, უცნაური განძთსაცავიცაა შთამომავლისთვის, რამდენადაც განძი, ამ შემთხვევაში სხვა არაფერია, თუ არა მიწიერი სიმშვიდე და მარადიული სასუფეველი“ (ო. ჭილაძე).

არ ესმოდათ, და, სამწუხაროდ, არც დღეს ესმით ჩვენს „გარდაგვლარძნილ“ თანამემამულეებს: ვერაფერი კაცობაა, „უსუსურს“ (ასე ჰქვია მიცვალებულს ჯვარ-ხატთა საკრალურ ენაზე) ჭირისუფალთა ბოლო საგნობრივ სახსოვარს ართმევდე, ჰპარავდე და პირადი პრაგმატული ინტერესების დაკმაყოფილებას ახმარდე მას.



ჯუთა (ყაზბეგის რ-ნი)

ერთი ძირძველი, პირწმინდად ქართული სოფლის სულფონი სასაფლაოს გორაზე მიჯრით აწყვია ტაბლისა და სკამების ფუნქციამინიჭებული რამდენიმე დიდრონი საფლავის ლოდი, რომელთა ზედაპირსა და გვერდითა მხარეებს უნაკლო ბარელიეფური ნამუშევრები და მრავლისმეტყველი ლაპიდარული წარწერები ამშვენებს.

თაკარა ზაფხულის სადაგი დღის „მოსაგერიებლად“ აქ, ნიავიან მაღლობზე, ამოსული თანამეინახენი „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი“ სამშობლოთიც უთუოდ მოიწონებენ თავს და, რაღა თქმა უნდა, არც იმ სისხლისმიერ, საამაყო, სასიქადულო წინაპართ დაივიწყებენ, რომელთა მკერდზე დადებული ქვები მუხლის მოსახრელ, პურ-ღვინის დასალაგებელ და განწყობილების ასამაღლებელ „მექანიზმად“ აქციეს.

ქსნისა და ატენის ხიბლიანი ხეობების რამდენიმე ტრადიციული სოფლის განახლებული სამაროვნებიდან ჯაგნარიან ფერდობებზე გადაყრილი, უთავბოლოდ მიმოფანტული ნახატებიანი ქვების (ქარაგოზმოკიდებული ბორჯღალი, მხარდამხარ მდგარი ქალი და კაცი) მოულოდნელი ხილვა გულს გაგიგლის და გაგრძნობინებს, რაზომ გაუცხოებულან ერთურთისათვის უწილბედო წინამორბედნი და მათი უღირსი, ახლომხედი მიმდევარნი!..



ბაქარისი (გუდამაყარი)

ძველ საქართველოში ომიდან შინმოუსვლელი, ცხრა ზღვასა და ცხრა მთას იქით დაღუპული და იქვე დარჩენილი ანდა უკვალოდ დაკარგული შვილისა თუ მშობლის სიმბოლური საფლავების მონიშვნისა და მოწყობის წესი არსებობდა. სათანადო სიგრძე-სიგანის მოზომილ ადგილს სულის ხუცესი აკურთხებდა, რის შემდეგ მიცვალებული თავის მიწაში დაკრძალულად ითვლებოდა. და ეს კეთდებოდა იმისთვის, რათა „დაწუხებული“ ჭირისუფალნი მისულიყვნენ, სანთელი დაენთოთ, ჭიქა წაექციათ და სააღდგომო კვერცხი გაეგორებინათ „ნათელსა მას მიუაჩრდილებელსა“ მყოფ თავიანთ მიცვალებულთა ტანჯული სულების გასახარად.

ერთნი ვირტუალურ სამარეს აკეთებენ, ამკობენ და ალამაზებენ, ხოლო მეორენი, დედით



ძალისი (მცხეთის რ-ნი)

და მამით ისინიც „ქრისტეანენი“, დღისით – მზისით, თავიანთსავე გარდაცვლილებს ძარცვავენ...

დაკარგული საფლავების მოძიება, მიკვლევა და მათი ზუსტი მდებარეობისა თუ გარშემოწერილობის დადგენა, რაც მეტი დრო გაივლის, მის უფრო გაუძნელდებათ განსვენებულთა ჯიშ-ჯილაგის, იერსახის, გენისა და სისხლის გამგრძელებლებს...

ქართველი ერის რჩეული ფრთა, რომელსაც ლამის სალოცავ ხატთან გაუთანაბრებია ადამიანური სახელ-სირცხვილი და სინდის-ნამუსი, დღემდე „ჯიუტად“ იცავს და ინახავს ერთ შესანიშნავ წესსა თუ ტრადიციას, რაც, მიზეზთა გამო სხვათა და სხვათა, უცხოეთში დაკრძალულ ქართველ მოღვაწეთა და ისტორიულ პიროვნებათა გადმოსვენებასა და მშობლიური მიწისთვის მიბარებაში მდგომარეობს (გავიხსენოთ ამ ბოლო წლებიდან: მიქელ თამარაშვილი, სოლომონ დოდაშვილი, ქაქუცა ჩოლოყაშვილი, ზვიად გამსახურდია...). მეტიც: თუში, ფშაველი, სვანი, ხევსური თუ მოხევე უგზოობა-უამინდობის გამო მისივე კუთხის სხვა სოფელში დროებით დარჩენილ მიცვალებულის ცხედარს ბუნებრივი პირობების გამოკეთებისთანავე ამოიღებდა მიწიდან და მამა-პაპათა საგვარეულო სასაფლაოზე დამარხავდა.

ვაჟა-ფშაველა თავისი ლაქარდიანი მესიტყვის პირით გვამცნობს: „...ჩვენი ჩვეულება ეს არის, მამა-პაპათ ესე სცოდნია და ჩვენც უნდა ვქნათ. ჩვენს მკვდარს სხვისა წყალ-ადგილში ვერ გავწირავთ, ცოდვაა, მკვდრის სული დაიტანჯება უცხო ადგილას...“

მოკლე ექსკურსი არცთუ ისე შორ წარსულში: ბუდე-ხევსურეთში მომხდარ ერთ-ერთ შუღლში ხანჯლით მძიმედ დაჭრილ დავით გაბურს ხანგრძლივმა მკურნალობამ ვერარა არგო, ამაოდ ჩაუარა და გარდაიცვალა. დაზამთრდა. მთები თოვლმა შეკრა. შარიანობითა და სიმამაცით ცნობილი არხვატელი ვაჟკაცის სულდალეული სხეული გუდანის მიწამ იმწყვდია... დადგა გაზაფხული. შვიდი ჯუთელი ახალგაზდა, მათ შორის გიგიტათ მინდია, საძელის უღელტეხილით გუდანში გადავიდა (ჯუთლები გაბურთა გვარს ახლობლად თვლიდნენ და მისთვის სახნავ-სათესი მამულიც ჰქონდათ დათმობილი, რომელსაც გაბურთ „ნამპალს“ ეძახიან)... საფლავს ქვა – სიპი ახადეს, ცხედარი ამოასვენეს, გაკვეთეს, სათანადო პროცედურა ჩაუტარეს, საბლით სახელდახელოდ შეკრულ საკაცეზე დაამაგრეს, გზას გაუდგნენ, როშკა უკან მოიტოვეს და არხოტის ხეობის სათავეებში გრძლად ჩაკიდებულ ცირცლოვანის ჯერაც თოვლის ზვავებით ჩალესილ დაღმართზე დაეშვნენ...



წილკანი (მცხეთის რ-ნი)

არხვატო, ჩემო სამშობლოვ,
ჯიჰვ-არწივების ბინაო,
ნეტაი შენს მტერს შამაკლა,
შენს მკერდზე დამაძინაო...



ასე მღეროდნენ ვერხვის ხისგან გათლილ სამსიმიან ფანდურებზე ტერღისა და ტანიეს კლდეთა ტინებში დავაჟკაცებული, ნიადაგ მტრის მომლოდინე არხვატელები...

უარხვატოდ სიცოცხლე ვერ წარმოედგინათ.

ცოცხალნიც მას ეკუთვნოდნენ და მკვდარნიც.

დავით გაბურის დაჭრილ-დანაწევრებულ ნეშტსაც, საბოლოოდ, ისევ მისი მშობლიური სოფლის მიწა ეწამლა...

ყოფითი წეს-ჩვეულების ზოგადქართულ ხასიათს გაკვრით ნათქვამსა თუ ფრაგმენტულ მონათხრობში დაფიქსირებული არაერთი სიტყვიერი მასალა ასაბუთებს.

,,...ზამთრის პირას საშოვარზე ჩამოსული კეირია სვანი, წერს ,,ჩვენთაობელთა" მემატიანე და ჭირისუფალი ნიკა აგიაშვილი, ფილტვების ანთებით გარდაიცვალა. გაზაფხულამდე დამარხული იყო სამების სასაფლაოზე. შემდეგ ნაწილ-ნაწილ დასჭრეს, ყუთებით ცხენს აჰკიდეს და მშობლიურ მთებში წაასვენეს...

და კიდევ ერთი დოკუმენტური ამბის ორიოდ მკვეთრი კონტური: გასული საუკუნის 90-იან წლებში მეცხრე ათეულში გადამდგარი, იმხანად უკვე ლოგინად ჩავარდნილი, ტკბილმოუბარი მოხევე ლადო ჩოფიკაშვილი გაიხსენებს, როგორ ამოიღო კასპიისპირეთის საზამთრო საძოვრის ცივი მიწიდან და როგორ წაასვენა სამშობლოში ღვიძლი ძმის დანაწევრებული ცხედარი თავისი დღე და მოსწრება ცხვარ-ბინას მოუშორებელმა თუშმა კურეტა რაინაულმა... ყაზბეგიდან ჯვრის თოვლიანი ზეკარით მთიულეთისკენ ქვეითად მავალმა ერთი ბნელი და ყიამეთი ღამე სახლიკაცის ძვალ-მალით სავსე ხურჯინთან ერთად გარეთ გაათია და მხოლოდღა მესამე დღეს ჩააღწია ქვემო ალევანში...

არ უშინდებოდნენ არანაირ სიძნელეს, ოღონდაც სხვათა ადგილ-მამულისთვის გამოერიდებინათ და გამზრდელი სოფლის სამაროვანზე მოეზომათ უმზეო, უსიხარულო ბინა მსხემობასა და უცხოობაში გარდაცვლილი კაი ყმებისთვის...

დიმიტრი ყიფიანიც ხომ ამას ენუკვის და ემუდარება სულმნათი აკაკის მადლიანი ენით თავის საესავ, საოცნებო, სათაყვანებელ სამშობლოს:

შენს მიწას მიმაბარეო...

მეტს არას ითხოვს, ერთადერთი ეს სურვილი ჰკლავს და აცოცხლებს...



ურმნისი (ქარელის რ-ნი)



ცხავერი (ქსნის ხეობა)

...ქვები.

მათაც თავიანთი ბედი დაჰყოლიათ.

ზოგისთვის გრძელი დღე დაუწერია დამბადებელს, ზოგისთვის – მოკლე.

ამშვენებენ განსვენებულთა უშფოთველ სავანეებს...

იბზარებიან, იმტვრევიან, მიწით იფარებიან და იკარგებიან.

არც ბუნება ინდობს და არც ადამიანი.

მათში უცნობ, რაღაცით უცნაურ ქვისმთლელთა მართალი სული ანთია, ისეთი სული, კარლო ოდიშვილის პოეტურ ხილვაში რომ განსხეულებულა: „ბიბინებს სული – შროშანა, საიქაოსააქაოსი...“

გვიხმობენ, გვეძახიან.

ხან გვესმის, ხან – არა.

ალბათ ამიტომაც გვსჯის, გვტანჯავს და გვაცოდვილებს წუთისოფელი...



ქვემო მაღარო (სიღნაღის რ-ნი)

დიდი ცოდვაა საფლავის შერყვნა და შელახვა.

საფლავი, როგორც წასულთა ხსოვნის ნივთიერი ნიშანი, ისეთი რიგის სიწმინდედ მიიჩნევა, მუდმივ მოვლას რომ მოითხოვს ჭირისუფალთა მხრიდან.

ვისაც როგორ შეუძლია და ვინც როგორ ახერხებს, ისე ასრულებს ამ ზნეობრივ მისიას...

მიწაში ჩასმული სამანივით სადა სიპის ქვა თუ ნატიფად ნათალი მასიური ლოდი, მატური თუ ქანდაკება მიცვალებულის ღირსების, პიროვნული თავისთავადობის, საამქვეყნო ღვაწლისა და დამსახურების ერთგვარ გასაგნებად აღიქმება და მისი დაზიანება, ჩამოგდება ან სხვაგან გადატანა მიუტევებელ დანაშაულად განიხილება.



ზემო ნიქოზი (გორის რ-ნი)

წინაპართა სამარის კარზე იმგვარივე რიდითა და მოწიწებით გემართებს მისვლა, როგორც სამლოცველოში.

ასე იყო და დღესაც ასეა...

საქართველოში ბევრი რამ სხვაფერობს, მაგრამ უცვლელია მიცვალებულის კულტი.

ვაჟა-ფშაველა რომ იტყვის, „გმირთა სამარეს, როგორც ხატს, სამთხვევლად დაველირებიო", როგორ ფიქრობთ, ეს ნათქვამი ოდენ სხარტი მხატვრული სახვა და სხვა არაფერი?!

გულთმისანმა მგოსანმა შესანიშნავად იცოდა ყადრი ამაგდარი მამულიშვილებისა, მათი ადგილი და ფუნქცია ქვეყნის ყოფაში; იცოდა ის, რომ ცნობილ თუ უსახელო გმირთა მაგალითზე უნდა აღზრდილიყვნენ მომავალი ბაკური და ხოშარეული, ლელა და სანათა, სუმელჯი და კვირია, გიგლია და ალუდა, ივანე და ზვიადაური...

ამიტომაც იყო მისთვის მთხვევისა და თაყვანების ღირსი სამშობლოსთვის დახარჯულ „პიროფლიანთა" სამარეები...

ეკლესია-მონასტრებში წმინდა მოწამეთა თუ დიდგვაროვანთა დაკრძალვის მრავალსაუკუნოვანი წესიც ხომ პირდაპირი ნიშანია იმისა, რომ ისინი, თავიანთი უზღავი წვლილის წყალობით, დროთა დინებაში კულტის ობიექტებად იქცევიან და მრევლი მათაც ისევე შეემუდარება შველას, როგორც უჟამო ჟამის დაუსაბამო სივრცეთა უსხეულო ბინადრებს...

არ შეიძლება ჩვეულებრივი, სხვათა ჯუფთი და ბადალი იყოს საფლავი ერეკლე მეფისა, ვის ძვლებსაც, ხალხის რწმენით, მირონი სდის.



სნო (ხევი)

წარმოუდგენელია, უფრო შორს რომ წავიდეთ, ერთ რიგით ძეალშესალაგად აღიქმებოდეს მდებარეობაუცნობი სამარე ფარნავაზ მეფისა, ვინც, მემატიანის ცნობით, სიზმრად „მზის ცვარი იცხო" და ამგვარი ქმედებით სათავე დაუდო ბაგრატიონთა საგვარეულო დინასტიის ღვთისნებითობა-ნაწილიანობის საყოველთაოდ გავრცელებულ კონცეფციას.

სიწმინდის ხარისხით, რა თქმა უნდა, სამარეებიც მეტნაკლებობენ, თუმცა ჩვენგან ყველა მათგანი მიხედვას და მოფრთხილებას საჭიროებს (სხვა კატეგორიისაა სამარხები, რომლებიც მკვლელებს, მამულის მოღალატეებს, „სიცოცხლით სიკვდილიანებს", ათასი ჯურის ქვებუდანთ და მიწრიელთ ეკუთვნით)...



ბესარიონ გაბურს ეამაყებოდა თანათემელთა სიმტკიცე და ომისკარ გამოჩენილი სიმამაცე; უჭირდა თანატოლებთან დაშორება; თავად, მძიმედ დაჭრილი და ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ კვლავ ფეხზე დამდგარი, შინ ბრუნდებოდა, ხოლო მათ, ბრძოლის ალში ბრუნვა ქორწილში ყოფნად რო უჩნდათ, უცხო ცის ქვეშ ტოვებდა... ჟამთადენაში ილეწებოდა წლები, ხოლო ხსოვნა არა და არა ხუნდებოდა... იგონებდა, შენდობას უთვლიდა და გულდიდად ავლებდა თვალს პირველ მსოფლიო ომში დახოცილი არხვატელების თუ მოსისხლეებთან ჭიდილში ნამუსიანად დაცემულ მამა-პაპათა სახელიან სამარეებს:

თქვენებს საფლავებს, ვაჟებო,
მზის შუქ სადა-რა ხუენაო,
შაგამკობსთ დილის ნიავი,
ია-ვარდთ ამადენაო...

ჩემ მამა-პაპათ ჭირიმე,
მიყვარს მე იმათ სმენაო,
სახელიანებს საფლავებს
გულდიდად გადავსცქერაო...

ადამიანის ზნესრული ცხოვრება მტკიცე წინაპირობაა საიმისოდ, რომ აღსასრულის შემდგომ მისი სხეულის საუკუნო სავანე განსაკუთრებული დამოკიდებულების მიწიერ მოღობილად აქციოს ავ-კარგის მცოდნე შთამომავლობამ.

წინა „ჟამის“ ორი არხვატელი ხევსურის – ალიათ მგელას (ჯაბუშანური) და ბერდიათ გაგას (წიკლაური) – სამარეები, იმის გამო, რომ იშვიათი პიროვნული მონაცემებით და არაორდინარულობით გამოირჩეოდნენ (პირველი ნათელხილვის ზებუნებრივი მადლით იყო მორჭ-



დიდი თონეთი
(თეთრიწყაროს რ-ნი)



მოხისი
(თეთრიწყაროს რ-ნი)



ბობნევი
(ატენის ხეობა)



ცხრა

მული, ხოლო მეორე — უებრო მეომრობით და მტერთან შეუპოვრობით), გვარ-მამიშვილობის გამგრძელებლებმა წმინდა ადგილებად შერაცხეს და წელიწადის გარკვეულ მონაკვეთში იქ მისვლის დღეები დააწესეს.

მგელა ჯაბუშანურს გარდაცვალების წინ ანდერძად დაუბარებია: მთავარანგელოზმა სასაფლაო წმინდა ადგილას — თავის ტყისძირში, „ფურთეაკიაზე" მომიზომა და იქ დამასაფლავეთო.

არხვატელთა გადმოცემით, მგელას საფლავი წმინდად იყო შენახული. მას დედაკაცები ახლოს არ ეკარებოდნენ...

წინაპართა საფლავების მხვნელი გუთნისდედა რომ ვერ გუთნისდედობდა და მას არც კაცთაში ედო წილი, კარგად იცოდნენ საქართველოში.

იეთიმ გურჯის ტკივილიანი პოეტური ფორმულა („სირცხვილი იმ გუთნისდედას..."), იმავდროულად, ის ზნეობრივი მაქსიმაა, რომლის დავიწყება, დარღვევა და გაარაფრება ადამიანს სრულ დაცემას და გათახსირებას უქადის...



ურბნისი
(ქარელის რ-ნი)



დმანისი



დიდი თონეთი
(თეთრიწყაროს რ-ნი)

საკულტო ძეგლებთან გმირთა „ცრემლით აღნაგი" განსასვენებლების მხატვრული შედარება და ფუნქციური გათანაბრება განღმრთობის გზაზე შემდგარი ლეგენდარული წინაპრების მყარი კულტის ხელმოსაჭიდი გამოხატულებაა.

ღირს „შესვენებულთა" სამარეებთან მისვლა და მუხლის მოდრეკა („მოვიდრეკ მუხლთა შენს საფლავს წინ, გმირო მხცოვანო" „თქვენს საფლავებთან მოსვლა და მუხლის მოდრეკა მომინდა..."), ქართველთა ცნობიერებაში, თითქმის ისეთივე რიტუალური აქტია, როგორიც ურიოშო კვრივთან მოყმეთა მორჩილად დაჩოქება და შემწე ღვთისშვილის მიმართ მხურვალე ლოცვისა და სავედრებლის აღვლენა.

ვისაც მარაბდაში ცხრა ძმა ხერხეულიძის, მათი დისა და დედის საფლავები უნახავს და მცირე ხნით მაინც შეყოვნებულა ერთურთის მჯობი ლოდებით მოფენილ გალავანს შიგნით, მისთვის ეს მომცრო ნეკროპოლი უცილოდ იქცეოდა წარსულზე ფიქრის, სიამაყის და სულიერი ამაღლების იმპულსად...



ქვემო ალვანი (ახმეტის რ-ნი)

და კიდევ სად არ...

და კიდევ რამდენი...

საქართველოს მიწა ხომ გამწმენდი ზემოქმედების ამგვარი სამარხებითაა „დანალმული"

მათი შელახვა და შეურაცხყოფა საკუთარი ფესვების მოთხრის ბადალია.

ბრალია მიცვალებული, ვინც სააქაოს სიავეც ჭარბად იწვნია, იგემა და ვერც მიღმა სოფლად ეღირსა სიამით და მოსვენებით ყოფნას...







ბიწმენდი (მცხეთის რ-ნი)

ღუმაცხი (გუდამაყარი)

გომარეთი (დმანისის რ-ნი)

# ფრაგმენტები, ამონარიდები...



წინამხარი (გუდამაყარი)

ავდგები, ავიღებ წკეპლას და ავუყვები ძველი სასაფლაოს აღმართს.

გზა ჯერ განიერია, ქვაღორღიანი, შემდეგ და შემდეგ წვრილდება, ბოლოს კი მთლად ქრება. ბალახებში მივაბიჯებ. ბალახები ყვავიან. ყვავის ყვითელგულა, ოთთრგვირგვინებიანი გვირილა, ლურჯად აკურწლული ვარდკაჭაჭა, ღვინისფერი სანთელა; ყვავის თავბრტყელი ფესვმანდუკი, ვერცხლის მტვერგადაფრქვეული აბზინდა; ყვავიან, ანათებენ, ღუდღუდებენ ჩახჩახა მზეში. მხოლოდ ერთია მინაბული, მიმქრალი - კესანე. თითქოს ეშინოდეს – ჩიტისთვალება წინწკალა ცისფერი ყვავილების თრთოლვით ამოგცქერის დაბლიდან. მომინდება მიფერება, ჩავიხრები:

— დილა მშვიდობისა, კეთილო კესანე!

რა თქმა უნდა, ნიავი უტოკებს ტოტებს, მაგრამ მე მაინც მეჩვენება, რომ თავს მიკრავს, სალამზე სალმით მეპასუხება. კიდევ უფრო ვიხრები და, სხვამ რომ არ გაიგონოს, ჩუმად ვეჩურჩულები:

— მე ყველა ყვავილი მიყვარს, კესანე, მაგრამ შენ მაინც ყველაზე მეტად მიყვარხარ. შენ ყველაზე, ყველაზე ლამაზი ხარ.

ის უფრო შესამჩნევად თრთის, მე ავდგები, ცოტაზე გამოვშორდები და იქიდან ვუქნევ ხელს, ვემშვიდობები. ის თითქოს მპირდება, რომ ასევე, თრთოლვით დამელოდება აქ.

ძეძვების კენწეროებზე მწყერჩიტები სხედან და ჭყრიალით გადასძახიან ერთმანეთს. ძეძვის ძირებში ხელიკები გაყუჩებულან. მზით გახურებულ პატარა ფლატეზე გამოსულა ჯოჯოც – თავისი გარეგნობით კმაყოფილი, ამაყად თავაწეული, თვალდაუხამხამებლად გიყურებს, მხოლოდ



ხულთუბანი (გორის რ-ნი)



ურბნისი (ქარელის რ-ნი)



კოჯორი (გარდაბნის რ-ნი)

მუცელს ბერავს და კუმშავს, ბერავს და კუმშავს. ზემოთ, ნალეწიანში (დალეწილია ალისტოს – მყრალა ხის ამონაყარი) ბალახობს ზურგნაიარევი გამხდარი ცხენი. იქვე წვანან შავფერი, სწორადთლილი, ხავსით ყვითლად შეფორეჯებული საფლავის ქვები. ზოგან ნატეხი წოწოლა ქვებიც არის სამანებივით ამოჩრილი. ამ სამანებივით ქვების ქვეშ დამარხულნი არიან ძველი დროის საწყლები, ღარიბები. ერთი უბრალო ლოდი ვერ გაათლევინეს მათმა პატრონებმა ოსტატს, ვერ გადაუხადეს საფასურად სამი კოდი პური, ვერ გაათლევინეს და ვერ დაადეს გულზე.

თლილი ქვებიდან ზოგი დიდია, ზოგი პატარა. პატარა ქვების ქვეშ პატარები წვანან. პატარების ქვებზე პატარა ბიჭები და გოგოები არიან ამოკვეთილი. გოგოებს ნაწნავები მკერდამდე აქვთ ჩამოშვებული. საგულდაგულოდ ამოუკვეთიათ კაბის ღილები. ბიჭებს მოკლე ახალუხები აცვიათ, თუშური ქუდები ჰხურავთ. ერთი გოგოს ქვემოთ ამოკვეთილია საჩეჩელი და თითისტარები. ბიჭს გვერდით უწყვია წალდი და ნაჯახი. ერთს – მშვილდ-ისარი. ერთ ქვაზე ამოკვეთილია წარწერა: „ღვთიშობელო დედავ, შენ დაუამე ტკივილი ჩემს პატარას" ერთ ქვაზე შემორჩენილია წარწერის ნაწილი: „მიწაა ჩემი საბანი" ზოგ ქვაზე დახრილან ყვავილები...

რევაზ ინანიშვილი



ბიისი (ატენის ხეობა)

მოვედით, ძმანო, შთავიხედნეთ საფლავთა:
სადა არს შური, საოცრება და ხდომაი?!
სადა არს ძეირის ხსენებაი და ზვაობაი?!
და ხორცთა გულის-თქმანი?! აჰა ესერა
მიწა, ნაცარ და თიხა ქმნილ არს ყოველი

ოპიზარი მგოსანი

...ფშავლის წარმოდგენით საიქიო ქვეყნის შუაგულში არის; საიქიოს ის ეძახის „შავეთს“ შავეთში მართალნი არიან მკრთალს ნათელში. ეს ნათელი ისე აქვს წარმოდგენილი ფშაველს, როგორც ჩასულის მზის ახლად გამქრალი სხივები მთის წვერებზედ; ყველამ იცის, რომ მთის წვერები ცოტადლა არიან ამ დროს წითლები. ამას ფშაველი ეძახის „მკვდართა მზეს“

ვაჟა-ფშაველა



დიდი თონეთი (თეთრიწყაროს რ-ნი)



გოხნარი (ალგეთის ხეობა)



დიდი თონეთი (თეთრიწყაროს რ-ნი)

...ბევრი მოსავი ჰყავდა მონასტერს, მრავალი მოყვარული და ხელის ამპყრობელი. დაფანჩულს მაინც პირველი ადგილი ეჭირა. ამას შემდეგ ჰმოწმობდა ამ დიდებულთა საგვარეულო აკლდამაც, რომელიც ყოველთვის ფაქიზად იყო ბერთაგან შენახული, სადაც მარად ენთო კანდელი უქრობელი. გაბრიელის განსაკუთრებით ღვაწლი თუ შესაწირავი აღნუსხული იყო ვრცელ სიგელში, რომელიც ინახებოდა მონასტრის სალაროში, ხოლო შემდეგში მოკლედ ამოჭრილ იქმნა თვით გაბრიელის საფლავის ქვაზედ...

ვასილ ბარნოვი

აჰა, ბეჭედნი საფლავისანი ჰგიან აღუტეხელად...

მიქაელ მოდრეკილი



კავთისხევი (კასპის რ-ნი)

გავიდა რამდენიმე წელიწადი. ქეთევანი დიდი ხანი იყო, რაც სამარეში იწვა. მის საფლავზე ისეთი ბალახი ამოსულიყო, რომ ვერც კი შეატყობდით, აქ ერთს დროს ადამიანი დაუმარხავთო...

ეგნატე ნინოშვილი

ჩემს დამარხვაზე თქვენ ნუ შეწუხდებით, მაქვს ცოტა რამ და ის მეყოფა, დავთარში სწერია. საფლავი მაქვს და სუდარი, ქვა აქვს მარმარილოსი ტერტერას, ისაც ჩემით იყიდეთ, დასწერეთ, როგორც მითქვამს. სალამპრის თეთრი მიმიცია, ზედ დამადგით...

იასე ბარათაშვილი

ირგვლივ სასაფლაოა. სასაფლაოს ქვები დაყუდებულია. ბევრ მათგანზე ჯვარია ამოჭრილი. ერთი სასაფლაოს ქვა წარმოადგენს შეკაზმულ ცხენს, ზედ ხმალი ჰკიდია ქართული და აქეთ-იქით ამოჭრილია ცული და წერაქვი.

ექვთიმე თაყაიშვილი



ჭართალი (მთიულეთი)

დიდხნის ნადებ თოვლსავით
ვარ ერთთავად მდუმარ,
ი'მ თეთრ საფარველსავით
წუთისოფლის სტუმარ.
სამოკლეო სოფლისაი
დღედა' მჩივარ, მგმობარ,
ყამ დალოცვილ მიწისაი
ერთ სამარით მმკობარ.

ეთერ თათარაიძე



([illegible])

ნეტავი რად მიტაცებდა სასაფლაო, რად მიყვარდა იქ ხეტიალი და ძეგლების თვალიერება...

ჭოლა ლომთათიძე

...სასაფლაო ბავშვობიდანვე საოცარი სიმშვიდითა და სილამაზით შემოვიდა ჩემს ცხოვრებაში...

ნოდარ დუმბაძე

ხანდახან რისხვა ისე ამიტაცებს,
სილბოს და სითბოს ჩემსას ლამის წაშლის!
თუმცა ქართველი ცოტაა ამ მიწაზე —
სამაგიეროდ ბევრია ამ მიწაში.

ტარიელ ჭანტურია



(დმანისის რ-ნი)

სხვა საქმეს რაად ვაკეთებ,
გორო, შენ რად არ მოგივლი?
შენს მკერდზე მყავის, ოხერო,
ოთხ-ოთხ ვაჟ შამოწყობილი,
მეხუთე დედაც იქ არი,
იმათთვი ჩამოდნობილი.

ჭრელა უძილაური

ყველა სიკვდილის შვილნი
ვართ,
სამარეს ჩავცქერთ ღიასა,
საცა შენ დაიმარხები,
ნეტა იმ ეკლესიასა!

ხალხური

საფარველია სამარე
სიგიჟისა და სიბრძნისა...

იოსებ ბაიაშვილი



წყ[illegible] (გარდაბნის რ-ნი)



ნატახტარი (მცხეთის რ-ნი)



წავკისი (გარდაბნის რ-ნი)

სასაფლაოზე ერთად მოხვდენ
მათი საფლავნი
და ერთმანეთის სიახლოვეს კი
ველარ გრძნობდენ!..

შალვა ამირეჯიბი

...ნათალი რამ ლოდი ეპოვნათ. არქეოლოგებსა... ხევწყალის სერებზედა. მოენიშნათ ნაჭდევებიც. ბინდბუნდადა. წარწერაა. პირველი ასო ნათლად იკითხება: ბ-ანი არის ნუსხურითაო. დანარჩენიც ამოიშიფრება. სულ ექვსი ნაჭდევია...

ოთარ ჩხეიძე

ამ ქვეყნიდან ვინც წასულა,
იმ ქვეყანას მისულა...

შოთა ჩანტლაძე



თბილისი, რუსთაველის გამზირი (ჩამოტანილია ჯავახეთიდან)

ფიქრს მოსწყინდება რიალ-რიალი,
სულს გაეყრება ცოდვილი ხორცი,
დავრჩები ზემოთ სიცარიელე,
ხოლო ქვემოთ კი – პატარა ბორცვი.

ვახუშტი კოტეტიშვილი

ისევ მიჯრილა ნასაყდრალთან რიგი საფლავთა,
ძველი წიწვნარიც ისევ მწვანობს იმ ძველ წიწვნარად...

ჯემალ აჯიაშვილი

ყველას ლოდი მირჩევნია, ძველებურად ნათალი,
ქვა ალგეთის, ქვეყანაზე ვერ უპოვოთ ბადალი...

ემზარ კვიტაიშვილი



ქვემო ალვანი (ახმეტის რ-ნი)



ყვიბისი (ბორჯომის რ-ნი)



ბაკურიანი (ბორჯომის რ-ნი)

ქვაჯვრები ძალზე ემსგავსებიან მანგლისის ეკლესიის ეზოში დაცულ ქვაჯვარს, რაც საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ შეიძლებოდა თავდაპირველად ისიც გამოყენებული ყოფილიყო საფლავის ქვად.

ელდარ ნადირაძე

როს ვიყავ ცოცხალ, ვითა შენა, მკითხველო,
მეცა მიყვარდა, მეც ვსტიროდი, ვილხენდი
და დაფიქრებით დავშჰერდი საფლავებსა!
მერგო რიგი და აწ ჩემს საფლავს დაჰშჰერ შენ!..

გრიგოლ ორბელიანი



შენაქო (თუშეთი)

ემაგ ეკლესიითაც
ერთ მთის გადაბრუნებით
ჩემ მამიდა ლმარხავ...
გაზაფ-გაზაფხულობით
იმის მდუმარ სამარეს
ენძელაებ ხქარგავ.

ეთერ თათარაიძე

ბებიაჩემის მამა გელათის მთავარდიაკონი იყო თურმე და გელათის ეზოშია დასაფლავებული... შეიძლება ამიტომაც მაქვს ბავშვობიდან გამოყოლილი, ქართულ ტაძრებსა და ეკლესიებში რომ მოვდივარ, ასე მგონია, უძლები შვილივით მიტოვებულ მამას ვუბრუნდები...

ზაირა არსენიშვილი

რა ლამაზია ტყეში საყდარი
და საფლავები ხავსით მოცული,
ნაძვი – სიჩუმის ბაირახტარი
და გრილი წყარო მთით ჩამოსული...

ვალერიან გაფრინდაშვილი



ფასანაური (დუშეთის რ-ნი)



ორმოცი (ატენის ხეობა)



ზიმონიკო
(თეთრიწყაროს რ-ნი)



მოხისი (წითელწყაროს რ-ნი)



დუმაცხო (გუდამაყარი)

არ ვიცი, რისთვის, მაგრამ ერთი ჩვეულება დამჩემდა:

დაღამდება თუ არა, ფეხაკრეფით სასაფლაოსკენ მიეეჩქარები და ადამიანთაგან გულნატკე-ნი საფლავებთან ვსაუბრობ. პირველად ძლიერ მეშინოდა იმ დუმილისა, რომელიც სასაფლაოზე სუფევს, მაგრამ შემდეგ ისე შევეჩვიე, რომ ახლა დუმილის ენაც ვისწავლე...

მე საფლავის ლოდი მესაუბრება...

საფლავის ლოდები არასდროს არ ტყუიან...

დაუჯერე საფლავის ლოდს – ის ცოცხალი მატიანეა ადამიანთა ცხოვრებისა, მასში ბევრი მწუხარე სტრიქონი სწერია...

ტიციან ტაბიძე

ეხლა ესენი რო წამააყენა და აალაპარაკა, მგონი, ვერა შეგვესმინონ-რა...

გიორგი ლომთათიძის ჩანაწერებიდან



მანგლისის სიონი

კარებზედ წაუწერია:
დედავ, გიკვდები შვილიო,
აღარ დამატკბობს პაერი,
რიონის სიო, ჩრდილიო.
შუქს ველარ მომფენს მზე, მთვარე,
მიწა დამფარავს გრილიო,
მშვიდობით, დედა-სამშობლოვ,
აგცილდეს გასაჭირიო.

იოსებ დავითაშვილი

სამზეოს დაკლებულები
სულეთში გროვდებიანო.

ხალხური

იმას შვილად ვერ მივიღებ,
წინაპრების აკვანს სწვავდეს,
სირცხვილი იმ გუთნისდედას,
თავის მამის საფლავს ხნავდეს...

იეთიმ გურჯი



ბაკურიანი (ბორჯომის რ-ნი)



საკრამული (დუშეთის რ-ნი)

და ახლა ვხვდები, რა მოკლე გზაა
თბილი აკვნიდან კუბოს კარამდე...

მაბურა არაბული



ჭობისხევი (ბორჯომის რ-ნი)

ცივი ლოდი ადევს შენს მოსვლას.
რჩები იქით, დაცილების აღმართებს მიღმა,
უღიმღამო გაღიმების ნაცრისფერ კვამლში...

რეზო ესაძე



[illegible]

ბალღები ერთი-ერთმანეთზედ მიყრილიყვნენ დედის გარშემო და დასძინებოდათ... ყველამ ერთი სიზმარი ნახა... ჰხედავენ ბეჩავები სასაფლაოს, სადაც იმათი მამა არის დასაფლავებული. სასაფლაო შამბით დაფარულია. ზოგის საფლავის ქვა სრულებით არა სჩანს, ზოგს საფლავს ქვა სრულებით არ აძევს. მიჩუმებულია სასაფლაო...

ვაჟა-ფშაველა

ღამდება.... ქვების ისმის ბუბუნი:
— ო, ვირა-ვირა... ო, ვირა-ვირა!..
— ჰე, აცე, აცე, მსახურო სიტყვის,
ქვის სამეფოში ამოდი ხშირად.

ამოარჩიე ის ერთი ქვა... ის ერთი ლოდი,
რომ დღეს გაგითბოს მომავალი საფლავის ბორცვი.

გენო კალანდია



წუკისი (გარდაბნის რ-ნი)





ქ[illegible] (ხალნიდის რ-ნი) წ[illegible] (გარდაბნის რ-ნი) [illegible] (თეთრიწყაროს რ-ნი)

გეთაყვა, ხალხს არ დააჯღაბნინო
სამარის ქვაზე არც ერთი სიტყვა,
ვინც ჰგავდა თოულზე გადაღვრილ ღვინოს,
ვინც გულს ჩასტირა და ჩაისეტყვა...

ნიკო სამადაშვილი

და ეს ლოდები, წინაპრებს რომ აყრიათ გულზე,
რაც ხანი გადის, უფრო გიყვარს და უფრო გიმძიმს...

იზა ორჯონიკიძე



თბილისი, მწერალთა კავშირის ბაღი

სიკვდილი, როგორც ჩანს, მოახლოებული იყო. ტელეფონში დემნა შენგელაიას ხმა ისმის: შენი მეგობარია ხომ ნოდარ ებრალიძე (კი-მეთქი), ხოდა, მაგან საფლავის ქვა ჩამოიტანა (ვიცი, მწერალთა კავშირის ბაღშია). ის ქვა მჭირდება... რისთვის, ბატონო დემნა, რისთვის გჭირდებათ ეს ნახევარტონიანი ქვა (ამწეებით ძლივს შემოიტანეს ბაღში)? რისთვის და ჩემი საფლავისათვის! მაგ საქმე უნდა მომიგვარო...

თამაზ ჩხენკელი



ვარდისუბანი (ხევი)

სამარეების თეთრი ციცკარი
და ფიქრიანი გრძელი ლოდები,
ძვირფასი მიწა, ერთი მისხალი,
გაყვითლებული არყის ფოთლებით.

თამაზ ჭილაძე

და მე არავითარი სევდა არ მიპყრობს მკვდართა შორის ხეტიალის დროს. დავალაჯებ საფლავის ქვებს შორის, ვკითხულობ წარწერებს, სასაფლაოს პოეტთა სტრიქონებს...

გიორგი ნაფეტვარიძე

დაო, ასე მგონია, ბედნიერი ვიქნები,
თუ თბილისის მახლობლად მე სამარე ვიშოვე.

ტერენტი გრანელი

და ამ საფლავთა ფერხთითა,
ცოლ-ქმრის სამარის ძირითა
უკვდავებისა წყარო დის
ძვირფასის ოქროს მილითა.
ამ ადგილს ბულბული უმღერს
საღამოთი და დილითა...

ვაჟა-ფშაველა

ვარდად ვინ გახდის ზაფრანას,
სპილოდ რა აქცევს ჭიასა,
ვინ აცდენილა, მე ავცდე
სამარის კარსა ღიასა ?!

არჩილ ჯიტოშვილი



კოჯორი (გარდაბნის რ-ნი)



წავკისი (გარდაბნის რ-ნი)

## სასაფლაოს გაზაფხული

სადმე, ახლოს, მზეი გაშლის აკაციებს
და ყვავილნი, მათ გულ-მკერდზე დაფანტულნი,
მოვლენ შენთან, იტირებენ და ქართული
და ქართული,
„უფლის ხელით დახატული“
სასაფლაო ქვის კალთაში დაგაძინებს.
და თუ მუდამ შენ მღეროდი ტკბილი ენით,
სასაფლაო? სასაფლაო დუმილს ირჩევს.
ქარი მოვა, მზეც ჩამოვა ხშირად ზენით
და „თბილ საფლავს“ თვის ოქროს ფეხს დააბიჯებს.
მე ასე მწამს, ერთი ნორჩი ნაძვის ძირას
ყაყაჩოში საუკუნოდ ჩაგეძინა,
ჩაგეძინა სიყვარულით ანაჩქროლებს...
არა, ლადო, აღარ მოვწყვეტ ყაყაჩოებს...
სიკვდილი კი არ მოსულა მგოსნის კართან,
ასეთია ქარიშხლიან სულის ბოლო...
ფიროსმანი? ფიროსმანიც მოვა, რათა
შენს სევდიან, „თბილ სამარეს“ ეამბოროს.
მუქ ლურჯ ცაზე მტრედისფერი ნისლი ცურავს,
ბრწყინვენ ცვარნი, ცრემლებივით ციმციმებენ...
სასაფლაოს ნაკადულზე ჩამოსულან
„ნამკაშურის წისქვილები“
მზე... ჩამოვა... ქვის ძეგლებზე სხივებს დაღვრის,
ქვის ძეგლებზე, ჟამთა სვლით რომ დაღარულან...
ცა ირხევა, ვით ერეკლეს ბაირაღი
და ნაძვები „ნაფიქრალით დაფარულან“
სასაფლაოს გაზაფხულიც წარმტაცია,
როს ყაყაჩო ძველ ლოდებთან ტანს აიყრის...
სადმე, ახლოს, ყვავილს გაშლის აკაცია,
ყვავილს გაშლის და გულ-მკერდზე გადაიყრის.

ანა კალანდაძე



ოყალადი (კასპის რ-ნი)

გამიხსენებენ, როგორც ნიკალას
და თბილ სამარეს დააბიჯებენ.

ლადო ასათიანი

გადაუარა ბალახმა
საფლავს — სიცოცხლის წერტილს!
ჩემთვის შენ როგორ არა ხარ?! —
მე აღარა ვარ შენთვის!

ზაურ ბოლქვაძე

საფლავი თითქოს
შვება მაინც...
საფლავი არის
რაღაც ნუგეში...

მედეა კახიძე



სნო (ხევი)

ვაი არს ჩემდა, მივხედო რაჲ საფლავსა
შენსა შემცველსა, სად ნარნარ კიპაროსი
გარდაქცეულებ რტოდაცვივნულ, დალპობილ,
იანი შენნი აღარ ჰფშვიან სუნნელთა
და კბილთა ფერი ბაგითურთ წარგხდომიეს.

ანტონ პირველი



წყვისა (გარდაბნის რ-ნი)



სხვიტორი (საჩხერის რ-ნი)



წყვისა (გარდაბნის რ-ნი)

ინავლება სიყვარულიც.

მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ბროწეულის ლორთქო ფესვები კადნიერად გაჰკვეთენ ქვიან ბალავარს და სარკოფაგის ათასწლოვან სიგრილიდან კვლავ ამოგიზგიზდება „ვით ბაზმა გაუქრობელი" — ჩვილი, უმწეო, სამარადისო ხმა:

ძევახ, სიცოცხლეო ჩემო!

გურამ ასათიანი

მიშხეფებოდა ხავსის კოწოლი
ბაგრატიონის სამარის ლოდებს...

ჯარჯი ფხოველი



კარკუჩა (ხევი)

დავცქერ წარწერას,
ძერღვებივით დახლართულ ხაზებს,
დრომ და ავდარმა ვერ წაშალა,
თუმც დიდხანს შალა,
მე რომ შემეძლოს,
ამ მძიმე ლოდს გავიდებ მხარზე
და ვივლი ასე, ქუჩა-ქუჩა და შარა-შარა...

ნოდარ შამანაძე

საიქიო სოფელი სიკვდილის უკან.

თედო სახოკია



გომარეთი (დმანისის რ-ნი)

ახლა მე ეფიქრობ
სასაფლაოზე,
მთაზე რომ მოჩანს
ირმის ჯოგივით...

ბესიკ ხარანაული

ჩვენ ყველა უსუსური ვართ,
მხოლოდ მიწაა მაგარი,
არც გათბა, ვერცვინ გაცვითა
შავის სამარის საბანი.

იოსებ ბაიაშვილი

მე იქიდან გელაპარაკებით. დამცინებთ, ვიცი, თქვენ შეგიძლიათ სიცილი და უნდა იცინოთ. ჩვენ აღარა, ვინც აქა ვართ. ეს „აქ" — საიქიოა. არც სიცილი შეგვიძლია, არც ტირილი, არც ერთმანეთთან ლაპარაკი...

ჯემალ თოფურიძე

ღმერთო, ნუ მიწყენ და იმ ბავშვის სიკვდილი, კაცმა რომ თქვას, მადლიცაა — რა ცხოვრება მოელოდა საწყალს, რომ გაზრდილიყო... იმდენ სულში, რაც იმ ოჯახშია, რა უნდა რგებოდა მას, რა შეხვდებოდა საწილოში? მადლიცაა, ცხონდა ჩემი სული, მადლიცაა, რომ ასე უმანკოდ გაშორდა ამ სოფელს — სასუფეველი მაინც არ დაეკარგება მის ანგელოზად წასულ სულს...

დავით კლდიაშვილი



სურამი (ხაშურის რ-ნი)



მთაყელეთი

ქალაქის გარეთ მეორე დიდი ქალაქია; აქ მოთავსებულია რამდენიმე თაობა. გათავებულა ყოველიფე ბრძოლა არსებობისათვის, აზრების ყოველივე შეტაკება. სამუდამო ძილს მისცემია გაუმაძღარი გული, მოუსვენარი ფიქრი. ადამიანს აქ მცენარისთვის დაუთმია სიცოცხლის ნიშანი. მცენარეები გაბაჩხულან, ამწვანებულან, ირხევიან და ბუტბუტებენ; ადამიანი კი უტყვად ძევს სამარის ქვების სიმძიმის ქვეშ. როცა ქარი დაუბერავს, ეს ადგილი სასაშიშროა: ხეები ათასგვარად იღრიკებიან და ამ საერთო სიჩუმეში მხოლოდ მცენარეთა მოძრაობა ადამიანის სიმშვიდის დროს გაგაურეულებთ. მზის მაცოცხლებელი სხივი აქ არ არის საჭირო, მისი ბრწყინვა დაცინვად მიმაჩნია. როცა ნაზი, ფერმკრთალი მთვარე გადმოხედავს ამ ადგილს, მიხარია და მსიამოვნებს. ხეები გარკვევით არ მოსჩანან, მხოლოდ ჩრდილი მიცვალებულის ლანდივით გაწოლია სამარის ქვებს და ერთმანეთს შეეფერებიან. მეც ვფიქრობ: ყველაფერს თავისი ადგილი აქვს...

ნიკო ლორთქიფანიძე



წალვერი (ბორჯომის რ-ნი)



ჭოგნარი (თერჯოლის რ-ნი)



დვირი (ბორჯომის რ-ნი)



ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი,
მისგან ყოველი გასწორდეს, სუსტი და ძალ-გულოვანი,
ბოლოს შეყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მხცოვანი,
სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი!

შოთა რუსთაველი

შენს წილად მე დამაბეროს,
შენ – მაგრე გარონინოსა.
საყვარლის საფლავს არც ვეძებ,
ღმერთმა ნურც მაპოვნინოსა.

ბაჩანა

წყალსი (გარდაბნის რ-ნი)



წვერი (თეთრიწყაროს რ-ნი)

გომარეთის ძველი სასაფლაოები რომ ნახოთ, პირდაპირ გაოცდებით: საფლავის ქვაზე პროფესიას ამოიკითხავთ: ზოგზე გუთნისდედაა ამოკვეთილი, ზოგზე მეცხვარე, კირითხურო, ხითხურო, მჭედელი, ნალბანდი, ფეიქარი, მეწისქვილე და კიდევ, ვინ იცის, ვინ არა.

ნიკო კეცხოველი



სუფევს იმ სოფელს,
რა დარჩა მშობელს?
ვაზების ჩრდილში წმიდა სამარი,
ქვა საფლავისა
უბრალო კლდისა
და ალმართული ზედ წმიდა ჯვარი!

ვახტანგ ორბელიანი

შინდისი (გორის რ-ნი)



წყლულეთი (თეთრიწყაროს რ-ნი)

...სასაფლაო მშვენიერი გამოგონებაა, ის აუცილებელია, რათა მოკვდავი ადამიანი დროგამოშვებით იმაში თავის ცხოვრებას კითხულობდეს: ბედკრულის ნუგეშისცემა, დასასრული ბედნიერებისა!

ნიკოლოზ ბარათაშვილი

დედის საფლავის მიწა განა მე არ მაყრია?!
მისი სამარის უკუნეთში ვარ გახვეული!..

ანზორ აბულაშვილი



წყლულეთი (თეთრიწყაროს რ-ნი)

დარჩათ ტყე და სიჩუმე,
ხეზე მღერის შროშანი...
ხის ქვეშ დამიწებულან
ლაშქარნი და დროშანი...

გიორგი ლეონიძე

როცა თქვენთან აღარ ვიყო, ვაჟებო,
წამოიღეთ ის ჩანგური გლეხური, —
მოდით ახლოს, ჩემი ნიშის გარშემო,
დაამღერეთ, თან ჩააბით ფერხული!

სანდრო შანშიაშვილი


გომარეთი (დმანისის რ-ნი)

ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში,
ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის,
ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა,
ნუღა დამეცეს ცრემლი მწუხარის...

ნიკოლოზ ბარათაშვილი

მოვა ხოლმე... და დაჯდება
ცივ სამარის გაშლილ ქვაზე,
დარდით არის გაყვითლილი
მისი უღვთო სილამაზე...

გალაკტიონ ტაბიძე


წყლულეთი (თეთრიწყაროს რ-ნი)

ცა ყველას ჩამოექცევა,
გადავა, ვინც კი შობილა...
ასე ისურვა განგებამ,
სიკვდილთან დაგვაძმობილა.

შოთა ქავთარაძე

წავიდა მამა... მოკლე და სწრაფი
გამოთხოვება ჰქონდა შვილებთან,
წავიდა დედა... და გაწყდა ძაფი,
მშობელ სახლთან რომ მაკავშირებდა.

მიხეილ ქვლივიძე

და წავლენ დღენი... ჩვენს საფლავებზე
ეპიტაფიებს დაფარავს ხავსი...

მირზა გელოვანი

მახსოვს, ოდესღაც ეს საფლავი იყო
შემკული,
ვიღაც უვლიდა მას ერთგულად და
მოკრძალებით...

კოლაუ ნადირაძე


პირმისაანთკარი (დუშეთის რ-ნი)



გომარეთი (დმანისის რ-ნი)

შუა ადგილს ამართულიყო მუხის ჯვარი, ხანისა და ავდრისგან გათეთრებული, მზის სხივზედ ვერცხლად კრიალებდა და კაცს სასოებას ულვიძებდა, თითქოს თვით იქ რგულს ხეებსაც კი ეგრძნოთ მისი სიწმინდე. ცოდვილ დედამიწიდგან აეგლიჯათ და თავზედ შედგმულს ედემს დიდება ეუბნებოდნენ. ჯვარის ქვეშ მოჩანდა კაცის ხელით ამაღლებული, ბელტებ შემოწყობილი მიწის გროვა და ზედ დადებული უზარმაზარი ნახეთქი დიდის კლდისა. იქ არავინ დადიოდა, არავინ ეკარებოდა ამ ადგილს, გარდა ონოფრესი და იმ ნიავისა, რომელიც ათასში ერთხელ ყვავილთ მყუდროების დასარღვევად ცელქად ჩაიჭრებოდა ხოლმე. ეს ადგილი ამოერჩია ონოფრეს მაყვალას საფლავად და აქ გადმოდიოდა ყოველ ბედნიერ დღეს მიცვალებულის მოსახსენებლად.

ალექსანდრე ყაზბეგი



დიდი თონეთი (თეთრიწყაროს რ-ნი)

მე ვხედავ კოპიტს,
ვხედავ კაკალს, -
ხშირად გაჯოხილს,
მე ველარ ვხედავ, -
ვინც უმზერდა ერთდროს ამ კოპიტს,
ვინც დღეს საფლავში წევს ჩიხტიკოპით, -
და გვერდით უწევს ახოვანი მეუღლე, - ჩოხით.
მე ვხედავ კოპიტს,
ვხედავ კაკალს,
ხშირად გაჯოხილს,
ვხედავ, - წყალგაღმა,
საფლავებზე ბალახობს ჯოგი.

მუხრან მაჭავარიანი

მე მამის სამარე არ მინახავ, იქავ გავთავდები. ისე მოვდივარ სამარეში, მამის სამარე არ მინახავ, რო დამიწყებენ, განახვებთო, ვატყუებ, ვყოფილვარო, ზოგთა. ეთერო, შენ იცოდე სიმართლე, რო მე მამის სამარე არ მინახავ, არა, ქალო, არ შემიძლავ იმის საფლავის ნახვა, არა... მე ვინც მიყვარდა, იმის საფლავს რა მანახვებს, არა ვნახავ იმის სამარესა, არა. წარმოუიდგენ, რო ძელებილაა და რანაირათ უნდა ავიტანო, იქავ გავთავდები, იქავა...

გულქან რაზიკაშვილი



ვალე (ახალციხის რ-ნი)

სადღაც შრიალებს ჭაობი ჭყვიშის,
შარასთან ორი ძველი ცაცხვია,
იქ ბევრი დარდის და ბევრი შიშის
გადამტან გულთა ფერფლი აწყვია.
ხსოვნაც არაა, გამქრალა ნიში,
რა საშიშელია, რა სისაწყლეა!

გალაკტიონ ტაბიძე

მემრე შენ, დანიუხეო,
ადგილო ღალატიანო,
რატო ატყუებ ქალ-ზალსა,
უდროოდ მიგიდიანო...

ნათელა ზვიადაური

სანდრომ თქვა: ეხლა დავბერდი, გავხდი სამოცი წლისაო,
აღარც ვიზრდები, რა ვუყო, აღარც მოვიცვლი კბილსაო,
ისე მაშინებს სიკვდილი, როგორც მიმინო ჩიტსაო,
წავალ და დავიკარგები, ჩავალ ალაზნის პირსაო,
იქ ვერ მიპოვის სიკვდილი, გადავა თავის პირსაო.

სანდრო ნიკლაური



მთის კალთაზეა სასაფლაო, ზევიდან გადმოჰყურებს სოფელს — დანჯღრეული ღობურებით, უწესრიგოდ მიმოყრილი ქვებით, მიღრეც-მოღრეცილი ჯვრებით. ის ორიოდე ხეც გამხმარა, დიდი წვალებით რომ უხარებია ხალხს.
მაინც იქით მიდიან...

რევაზ ინანიშვილი

ხაშმი (საგარეჯოს რ-ნი)



ხურხულისძეთა საფლავები მარაბდაში

მადლიერმა ქართველებმა ეს ცხრა ძმა იპოვნეს ბრძოლის ველზე მკვდართა შორის, თვითეული დიდი მოწიწებით დამარხეს ცალ-ცალკე მწკრივად და დაადეეს ცხრა დიდ-დიდი საფლავის ქვა, რომელიც დღემდის დაცულია.

იაკობ გოგებაშვილი

მოკუდა ქართლოს და დაფლეს იგი თავსა ზედა ქართლისასა, რომელსა ეწოდების არმაზი.

ქართლის ცხოვრება

ამ ქვებს რომ ხედავ, ზმებს და ანდაზებს, ბევრი ცრემლს ითხოვს, ბევრიც შენდობას,
აქ საქართველოს სძინავს გარდასულს, მის დიდ დარდებს და მის უბედობას...

გიორგი ძიგვაშვილი



გუდალეთი (კასპის რ-ნი)

— შავუა ადრე მიიცვალა, კუკიაზე დავმარხეთ. საფლავს, ზედ კუბოს თავთან, ერთი რკინის მილი დავატანეთ და ყოველ აღდგომის მეორე დღეს მოვდიოდით, ცხვარს დავკლავდით, წვადებს ავაგებდით. მწვანილი, მოთალი, შოთი პურები ბლომად იყო. თითო ყანწს ღვინით შევავსებდით და იმ მილში შავუას ჩავძახებდით: წამოდექ, ბიჭო შავუა, შენი დოსტები მოუსულვართ, ტიკ-ჭორით ღვინო მოგვიტანია, ნიკალაც მოგვიყვანია, შენი სურათი უნდა დახატოს... თან ყანწით ღვინოს მილში ჩაუსხამდით და კვლავ ჩავძახებდით: - შენც შესვი, გაამოს...

ნიკო იცრემლებოდა, მკერდში მჯიღს იბაგუნებდა და გაიძახოდა:

ჰა, ბეჩავო ჩემო თავო, რა ვიცოდი, თუ ასე მალე მოკვდებოდაო? მერე ერთი დიდი სურათი დახატა, მეიდანზე რომ ოზმანაშვილის დუქანი იყო, იქ ეკიდა. ეს კარგად მახსოვს: შავუას საფლავის ლოდს მოქეიფენი უსხედან, ლოდზე შავუა ზის, ხელში ყანწი უჭირავს და თვალებ-დაჭყეტილი, გაოცებული იყურება....

ნიკა აგიაშვილი
(უშანგი სვანის ნაამბობი)



დიდი თონეთი
(თეთრიწყაროს რ-ნი)



ცაშისკარი (ხაშურის რ-ნი)



დიდი თონეთი
(თეთრიწყაროს რ-ნი)

ვარ შენს საფლავზე შემართული, ვით ობელისკი
და ცოვად გავცქერ გაცრეცილ და საოცარ სოვრცეს.
დანაცრდა გული, ვიქმენ უტყვი, უგრძნობელიც კი,
ვარ შენს საფლავზე შემართული, ვით ობელისკი,
აღარ ელირსა შენს ცოვ ნაცარს ხვითო ფენიქსის,
ნუთუ სიცოცხლე ვერ დაცარავს სიკვდილის ცოვ ცელს?
ვარ შენს საფლავზე შემართული, ვით ობელისკი
და მკაცრად გავცქერ გადაცრეცილ და გულცოვ სოვრცეს.

გაბრიელ ჯაბუშანური



მაქართა (გუდამაყარი)

ჩქარა ზაფხულიც მოალის,
აყოვდებიან იანი,
გაიბანება წვიმითა
მთა და მინდორი მტვრიანი,
საფლავის ქვაზედ მოჯდება
ოფოფა სავარცხლიანი...

ვაჟა-ფშაველა

ქვა ქვაა,
მაგრამ ბედისწერა განაგებს ქვასაც.
ზოგი ჩუქურთმით იფარება და ზოგი ხავსით,
ზოგი იქნება ობელისკი, ზოგი ბილინგვა,
ზოგი სამსხვერპლო ქვა იქნება ან ბაზილიკა.
ზოგი ტირილით და ანდერძით დაიკაწრება...
ქვით, ქვით აშენეს დილეგებიც და ღვთის ტაძრებიც.

უმრავლესობა მხოლოდ ქვაა,
ქვაა უბრალო...
ესეც ბედია, ბედი, უფალო?

შოთა ნიშნიანიძე



ხელთუბანი (გორის რ-ნი)



შუგუდა (მთიულეთი)



...ყველამ ერთხელ მაინც მიიხედა უკან. ისეთი გრძნობა ჰქონდათ, რომ რაღაც კარგი რჩებოდათ ამ ძველისძველ სასაფლაოზე...

ნიკო კეცხოველი

გაღმით მოჩანს ლამაზი
სასაფლაოს ბორცვი...

მურმან ჯგუბურია



ორმოცი (ალგეთის ხეობა)

სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ და მისროლია ისარი,
სად მამა-პაპა მეგულვის, იმათი კუბოს ფიცარი,
სადაც სიყრმითვე ვჩვეულვარ, ჩემი სამშობლო ის არი...

რაფიელ ერისთავი

ჩემი გიორგი მარტოობის ხავსმა დაფარა,
გადაუარა ზედ ბალახმა და ეკალ-ბარდმა
და ველარ ატანს იქ მზის სხივი,
ვერც დღის სინათლე
და ვერც ქალის ჭრელი თვალები...

ბესიკ ხარანაული



დიდი თონეთი (თეთრიწყაროს რ-ნი)

...სასაფლაოზე ყრუ-მუნჯი სიჩუმეა და ეს დუმილი – მართლა სამარისებური დუმილი – ალგეთისა და მარცვედის ლოდებზე უფრო მძიმე, ცივი და ჩუმია...

მიხეილ ჯავახიშვილი

ამან განავრცო ენა ქართლისა. და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თჳნიერ ქართულისა. და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული. და მოკუდა ფარნავაზ და დაფლეს წინაშე არმაზისა კერპისა.

ქართლის ცხოვრება



(თეთრიწყაროს რ-ნი)



წავკისი (გარდაბნის რ-ნი)

ვერ ამოუკვეთავთ
ქვიშისფერ ლოდზე ვაზი,
ვერც ხელოური
ანდა ხუჭუჭა კრავი,
მკრთომიარე და
შეუდარებლად ნაზი
მამის საფლავზე
ურცის ყვავილი ყვავის.

როცა ტკივილი
ან მწუხარება დამხრის,
როცა ცახცახებს
ნერვი მოთმენის ქიმზე,
მამაჩემივით
გასაწყლებული სახით
სასაფლაოდან
ურცის ყვავილი მიმზერს.

მანანა ჩიტიშვილი



სეფე (მთიულეთი)

გოდება არს ხმა კეთილობით და ზრუნ შეწყობით გულის სატკივართა სიტყუათა მგოსნობა.

სულხან-საბა ორბელიანი



[illegible] ([illegible] რ-ნი)

მამავ, საფლავთან ჩერდება ბავშვი,
მამავ, ჭადარი შრიალებს წყნარად;
თითო ფოთლიდან წასულხარ ცაში
და თეით ქცეულხარ ყველაფრად, არად,
მზედ, წვიმად, ქარად...

მურმან ლებანიძე



პატარა გომარეთი (დმანისის რ-ნი)

პაპათა საძვალეებზე მოთქმით მიმოდის ქარიიო,
მუხა დგას განცალკევებით დაშლილი, ნამეხარიო,
მოტეხილ ტოტზე ჰკიდია ენაშემწყდარი ზარიიო,
დგას საყდრის ერთი კედელი, ბოლომდე ჩასდევს ბზარიიო.
და სასაფლაო საშინლად დაცლილი, ნაოხარიო,
უკვე რამდენი წელია, არ ჰღირსებია მკვდარიიო.

ტარიელ ხარხელაური

წინაპრის გულივით თბილია,
წინაპრის გულივით ფეთქავს
სამარის ლოდი, თარიღებწაშლილი.

ვაჟა ხორნაული

ერთადერთი ადგილი, სადაც წარმავლობის გრძნობა არ მეუფლება, სასაფლაოა. ვდგავარ გადაბრდღვიალებული ვარდების სამეფოში და ასე მგონია, ნებისმიერი საფლავის ლოდი მიცვალებულთათვის კი არ ამოუტანიათ ამ სიშორეზე, არამედ იმიტომ, რომ ადგილი მონიშნონ, არ დაიბნენ და როცა ყველაზე მეტად გაუჭირდებათ, თავიანთ გარდაცვლილებთან, როგორც ყველაზე დიდ გულშემატკივრებთან, ისე ამოვიდნენ...

მაკა ჯოხაძე



სოფ. დიდომა (მცხეთის რ-ნი)

სვანეთში გზის გაყვანისას მოუკვდა პირმშო. მეორე წყალში დაეხრჩო. მაინც იმუშავა იმ გაზაფხულს. ორივე იქვე დამარხა, გზის პირას. საფლავზე ნაძვის ჯვრები დაუდგა, თავისი ხელით დათლილი...

გურამ რჩეულიშვილი

თუმცა აქ ბევრი წმინდა ლოდია,
მაინც ორს წვდება თვალთა ისარი...

სიმონ ჩიქოვანი



მაქართა (გუდამაყარი)

ორმოცდაოთხსა წელს შემდეგ მიწა მიწამეე მჭამაო...

მნახველნო, შენდობა ბრძანეთ, გთხოვთ ამას წამისწამაო!..

რაფიელ ერისთავი

— მოვედი, ეს მე ვდგავარ შენი საფლავის ქვაზე, შენი სისხლი და ხორცი, ვდგავარ შენი საფლავის ქვაზე და არ მერიდება, რადგანაც მინდა მიგრძნო, მე ვტირი შენს საფლავზე და არ მრცხვენია, არც ლიასი და არც შენი, რადგანაც მინდა, რომ მიხვდეს ლია, რა იყავი შენ ჩემთვის და გახდეს იგი ამ საფლავის პატრონი და ჭირისუფალი, როგორც მე, რადგან იგი მე ვარ დღეიდან... ეს მე ვარ, შენი შვილი, რომელმაც იმ დიდი სიყვარულის საფასურად ჩემი ხელით გაგითხარე სამარე, ჩემი ხელით ჩაგასვენე შიგ დ ჩემი ხელით დაგადე ეს დიდი ლოდი გულზე...

ნოდარ დუმბაძე



მუგუდა (მთიულეთი)

შენს სილამაზის იქით ბნელდება,
დაიხურება ცისკრის კარედი:
შენ მოგაყარეს მიწა ბელტებად,
მკერდზე რომ ვარდსაც ძლივს იკარებდი...

გიორგი ლეონიძე

ისე ხასხასებს ამ საფლავზე
მორწყული მოლი,
ისე საყვარლად მოვლილია აქაურობა, -
ნეტა ეს მწვანე, ნორჩი ბალახი
ჩემს მკერდზე იდგეს და ბიბინებდეს...

თედო ბექიშვილი



ფლიცა (ახალციხის რ-ნი)

...მკერდზე ხელებდაკრეფილი დასცქეროდა ძეირფას საფლავებს და ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს თვითონ იწვა მიწაში და საკუთარ თავს დასტიროდა.

ჯემალ ქარჩხაძე



...გაანათლე. შეუნდე. მიუტევე. აცხონე. რამდენი სიტყვაა მოგონილი მკვდრის გულის მოსაგებად. მკვდრებს ყველაფერი ეპატიებათ. მით უფრო, თუკი თავისი ნებით გაგვეცლებიან. გაანათლე. შეუნდე. მიუტევე. აცხონე...

ოთარ ჭილაძე

მწუხარება იპყრობს გულს.
ისინი ისე უპატრონოდ და ობლად არიან აქ.
სულ მალე ჩვენ დაგვეკარგება საფლავები.
ძლივს ვარკვევთ დარაჯის დახმარებით, ვინ სად ასვენია.
უპატრონოდ მიტოვებულნი...

დემნა შენგელაია

ბიწმენდი (მცხეთის რ-ნი)



ახაცანი (დუშეთის რ-ნი)

მიგრიაულები წავიდნენ.

წავიდნენ წიკლაურები.

ჩოქურებიც წავიდნენ. ლანდებივით ჩაიარეს სოფლის ორღობეში, გრძელ ველზე გავიდნენ და დილის რძისფერ ნისლში ჩაიკარგნენ. მარტო ბაბალეძა დარჩა ბექაურების დედაბერი. ის ვერსად წავიდოდა, სოფლის სასაფლაოზე იწვა მთელი იმისი ჯალაბი.

მძიმედ აივლიდა აღმართს და სასაფლაოც გამოჩნდებოდა. თავჩაღუნული მიაბიჯებდა საფლავებს შორის, მდუმარედ დასცქეროდა მიწაში ღრმად ჩამსხდარ ლოდებს, ათვალიერებდა ზედ ამოკვეთილ ნახატებს – გულზე ხელებდაკრეფილ კაცებსა და ქალებს, ხმლებს, გუთნებს, ქაფჩებს და როცა ნაცნობ, ფერფლისფერი ხავსით დახორხლილ მატურს მიადგებოდა, კალათს ძირს დადგამდა და ლოცვებშეფაკლული, დაღლილი მოათვალიერებდა იქაურობას.

სასაფლაოზე დიდხანს რჩებოდა. დანით ჭრიდა ეკალბარდებსა და ღიჟის ღეროებს, სანთლებს ანთებდა და ლოდების მოჩუქურთმებულ წიბოებზე სათითაოდ ამაგრებდა.

პირქუში სიჟრცით გარშემორტყმულ დედაბერს ეჩვენებოდა, თითქოს მთელი ეს ამოდენა ქვეყანა უეცრად ჩამოწოლილ წყვდიადს შეესრუტა, გაექრო და მარტო ისღა დარჩენილიყო საფლავის ქვაზე ჩამომჯდარი და მიტოვებული.

ნუგზარ შატაიძე



ფასანაური (დუშეთის რ-ნი)

ჩემს მეგობარს ხშირად უყვარდა მამადავითის მთაზე ტორღიალი, ის მუდამ მოწიწებით თაყვანს სცემდა რუსეთის შესანიშნავი შემოქმედის – გრიბოედოვის სამარეს, სადაც ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულის მდუღარება საფლავის ქვაზე ილევენთებოდა და გულამოსკვნილი სწყევლიდა ირანელი ბრბოს სივერაგეს. ნინოს მწუხარება თაობებს ტანში შეაჟრჟოლებს. ეკატერინეს საყურე კი ქართველი ქალის ქანდაკებას სამარადჟამოთ შერჩება, ვით ტატოს თვალებიდან წამსკდარი ცრემლი.

ნიკო სამადაშვილი



წალკა (გარდაბნის რ-ნი)

სიჩუმე მუნჯი, ყრუ და ბრმა,
საფლავის ქვები, ხის ჯვრები,
არც მოძრაობა, არც რამ ხმა!
მკვდრები და მკვდრები... სულ მკვდრები!..

კოტე მაყაშვილი

დავბერდი, ბედს ვერ მოვესწარ,
დაემხო ჩემი სამშობლო,
გულს მიკლავს უიმედობა,
საფლავს ჩავდივარ სიმწარით.

გრიგოლ ორბელიანი



დიდი თონეთი
(თეთრიწყაროს რ-ნი)

აქ შორიახლო ელაგა კოხტათ დათლილი საფლავის ქვები და ამ ქვებქვეშ კი წინაპარნი კეთილი გვარისა, მამა-პაპანი. ყოველ საჭირო მოსვლაზე აქ, ყოველ ხულის გადასმაზე ამ საფლავის ქვებზე, აწ მგლოვიარეს გულში აუდუღდებოდა ხოლმე კერძი სიამაყისა, თვალში იმედი გაუკრთებოდა და ისე კი აღარ უცქერდა მამა-პაპათ, ვითარცა საგლოვ წინაპართ, არამედ ვითარცა სიამაყის უპირატეს მიზეზს, მაგალითს ნამდვილ ქართველურ ცხოვრების თავადიშვილისთვის...

აკა მორჩილაძე

დავდივარ ჩუმად
მამლუქების სასაფლაოზე,
თაკარა მზეში,
გადაბუგულ მკვდართა ქალაქში,
აქ ერთი ასოც არსად გდია
თქვენდა ხსენებად,
ერთი პატარა ტვიფარი ან
მოკლე წარწერა...

რეზო ამაშუკელი



სეფე (მთიულეთი)

სამარე უცდის ფარჩასაც,
ბილიკს მიჰყვება, მიდისა,
ეგ დღის სინათლეს თუ ჰკარგავს,
არც ეშინია ბინდისა...

გაბრიელ გარაშვილი



სურამი (ხაშურის რ-ნი)



წინამხარი (გუდამაყარი)

იოანე წამოვიდა სახლად თჳსსა. გზაზედ შეხუდა ტერტერა ქჳსმთლელი, რომელსა მოჰქონდა მარმარილოსა ქუაჲ გათლილი. დიაკვანმან დია მოიწონა და ტერტერამ მიიპატიჟა თჳსთან და უთხრა: გაჩუენებ ჩემსა ჴელოვნებებსა. დიაკვანი გაყვა თან. რა მივიდნენ სახლსა ტერტერასასა, უთავაზა საუზმე და მერეთ წაიყვანა საჩუენებლად თჳსისა ჴელოვნებისა. იხილა ბერმან მრავალნი კარგნი საფლავისა ქუანი, მისგან გათლილნი და გამოქანდაკებულნი სახენი მაგალითთანი და სხვადასხვა მორთნაკეთობანი, და რქუა დიაკუანმან: უფალო ტერტერავ, მიხარის, რომ გცოდნიათ ჴელოვნება ქვისმთლელობისა და გამოქანდაკებისა.

იოანე ბატონიშვილი

სხვა დროს საფლავებს შენდობაც უნდა,
პურის ნატეხი და ღვინის წვეთი,
მცირე ტაბლაზე სანთელიც უნდა,
საფლავს რა უნდა შენდობის მეტი...

გიორგი შატბერაშვილი



სოფ. ლიკანი (ბორჯომის რ-ნი)



წყლულეთი (თეთრიწყაროს რ-ნი)

თალხებს ჩაიცვამ, ლამაზო,
ისეც გშვენოდა შავი,
მოხვალ, დამხედავ, დამირგავ
კართან ღვთისმშობლის ყვავილს...

დავით წერედიანი

გაივლის ზამთარი წვიმით და ქარებით. დადგებიან გაზაფხულის დღეები. შეიფოთლება სასაფლაო. კვირა დილით, როდესაც ყველა მლოცველისათვის გაიღება ეკლესიის კარი, ჩემ საფლავთან დაფიქრებული მოვა ვინმე ქალი, მოიგონებს ჩემს დამწვარ სახეს, მოიგონებს ჩემს წამებას და შევეცოდები. ასე გაივლიან საუკუნეები. ჩემს საფლავს დაადგება მზე შორეულ რიცხვის. ჩემ მიერ უხილავი სალამოს ბინდი დაფარავს მივიწყებულ ლოდებს და ჩემი საფლავიც შეიმოსება სიბნელით. წამოვა წვიმა, ქარიშხალი და მოწყენილ საფლავზე დამაყრის ყვითელ ფოთლებს. ასე, დროთა შავი წვეთებით დახავსდება ჩემი სამარე, ზედ წამოიზრდება ბალახი. ზაფხულში, საღამო დროს, ჩემს საფლავს ჩაუვლიან თეთრად გამოწყობილი ქალები...

ტერენტი გრანელი



ფასანაური (დუშეთის რ-ნი)



წყლულეთი (თეთრიწყაროს რ-ნი)

კევრსა და გუთანს ნახავთ საფლავის ქვებზე ამოკვეთილსაც და თუ საფლავზე მიცვალებულის შენდობის ლექსიცაა ამოტვიფრული, გაიგებთ, რომ ის მიცვალებულიც ამქვეყნად პურის მომყვანი ყოფილა, მოუხნავს, დაუთესია, მოუმკია, გაულეწია და ხალხისთვის უწილადებია.

თამაზ ბიბილური

დავდივარ სასაფლაოზე, აქა-იქა, თბილ მყუდროებში, პაწაწკინტელა, ბარტყებივით პირდაბჩენილი ყაყაჩოების ბლუჯებია წითლად მიქცეული. ჩაყანგული სკივრებივით ქვები თანდათან იძირებიან, მიწის უბისაკენ მიეჩქარებათ. ზოგი თუ სანახევროდ ჩამჯდარა, ზოგიც ისე დაუტანია თავისივე სიმძიმეს, რომ, სადაც არის, ყამირი გადაუვლის.

ყველანი აქ არიან, ვინც მახსოვს და ვინც არ მახსოვს: ჭკვიანები, გიჟმაჟები, ლამაზები, ულამაზოები, ვაჟკაცები, ლაჩრები... ერთად დაასახლა ბრძენმა სიკვდილმა მოსიყვარულე ცოლ-ქმარი, კახპა და პატიოსანი, საწყალი, მენახირე ბიჭი და ხვანჯარზე მუცელჩამოზვავებული სოფლის მუქთა, აქ შეარიგა ერთმანეთის მოძულე მეზობლები...

ვანო ჩხიკვაძე



წვერი (თეთრიწყაროს რ-ნი)



გომარეთი (დმანისის რ-ნი)

მოგესალმებით, ქედებო,
მომაქვს სალამი გვიანი,
ჩემსამც სამარეს ამკობენ
თქვენი დეკა და ღვიანი...

ვაჟა-ფშაველა

აქა კი, ქვემოთ, მონადირე იმის ახლახანა საფლავთან გულგასიებული იდგა და, კიდევ კარგი, ტიროდა, რადგან ცრემლს ვაება ასე თუ ისე გამოჰქონდა. საფლავის ქვაზე ასე ეწერა: „1973-1989. 9.IV“, - რამდენისა გამოდიოდა და, ცოტასი...

გურამ დოჩანაშვილი



დიდი თონეთი (თეთრიწყაროს რ-ნი)

ვიფიქროთ სასაფლაოზე, სადაც დამშვიდებით განისვენებს ამდენი წასული, შორეული და დავიწყებული, ვიფიქროთ მათზე, რომელთაგანაც დარჩა პატარა რვეულები, ბალახი სასაფლაოზე და ქვები ვინაობის ზედწარწერით.

კურთხეულ იყოს მათი სახსენებელი. მათ საფლავებზე მწუხარე ძაძით მოსილ ქვრივივით დგანან ნაძვები...

გალაკტიონ ტაბიძე



გომარეთი (დმანისის რ-ნი)

საფლავებს მთვარე დაჰყურებს, უცხო უცხოს რომ შურითა,
ირწევა, როგორც საყურე, ივსება სიბრალულითა,
ლამაზად ბრწყინავს ლოდებზე ცრემლი, დაყრილი გულითა.

ტარიელ ხარხელაური

მომრავლდნენ მოლები, ცრუ წინასწარმეტყველნი, ინგრეოდა ტაძრები, ეკლესიის აგებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო და მაშინ დიდება, ერთ დიდ სოფელში დაბინავებული, საფლავის ლოდების კეთებას შეუდგა. ეს საქმე იმით სიამოვნებდა, რომ ლოდებს მშობლიურ ენაზე უკეთებდა წარწერებს და ჩუქურთმითაც თავის გემოზე ამკობდა...

გურამ გეგეშიძე



გომარეთი (დმანისის რ-ნი)

თაო ჩემო, ველარ გკურვებ წამალით,
დაღმართ-დაღმართ დაუყევი წა მალით,
იქ ჩაბრძანდი, სად გელიან ლოდებით,
ბარით, ნიჩბით, კუბოთი და ლოდებით,
დაივიწყე, ვინც გიყვარდა მარად ის,
საუკუნოდ განისვენე მარადის.

აკაკი წერეთელი



გომარეთი (დმანისის რ-ნი)

კაცმა თავისი ცხოვრებით უნდა დაწეროს საფლავის ქვაზე დასაწერი ეპიტაფია.

იყვნენ ბედნიერი ქვეყნის შვილები, რომელთა სახელი, მამის სახელი, გვარი, დაბადება და გარდაცვალება კმარა წაიკითხო და იცოდე, ვის საფლავს უხდი ქუდს, იყვნენ ბედნიერთა შორის ბედნიერნი – მარტო სახელი და გვარიც კი წარმოაჩენს მის ღირსება-დამსახურებას და იყვნენ უბედნიერესნი – მარტო სახელიც კი შარავანდედით ჰმოსავს მათ მარადიულ განსასვენებელს. ეს გენიოსთა სიცოცხლეში ძნელად სატარებელი, მძიმე ხვედრია, სიკვდილის შემდეგ საფლავის ლოდსაც რომ ამსუბუქებს.

ოტია იოსელიანი



მუგუდა (მთიულეთი)

აი, სოფლის ძველი სასაფლაო ველტყიანზე, ძეგლებად კლდე-ტინების ნახეთქები ძევს, განა ძეგლწერილები?.. თუმც, აქა-იქ, იშვიათად, მიწაში ჩასმული, გადაცვეთილი ბრტყელი ქვებიც მოსჩანს, გადაკორიკებული წარწერებით. ზოგან, ძეგლად ქვაში გამოკვეთილი, შეკაზმული ცხენი დგას, ზოგან – რქაჩაგრეხილი ვერძები, ზოგან – ქვაზე გამოსახული ხელადები, ყანწები, ჯამები, ჭიანურები, ჩანგურები, გუთნის ნაწილები!

ხავსი და მობიბინე ბალახი ჰფარავს გმირთა საფლავებს...

გიორგი ლეონიძე

შორს ვიღაც წუხდა, ვიღაც ქვას კოდავდა ბურში. ეკალბარდებში გამომწყვდეულ, ყვითელ წიწვგადაფენილ, უქარო და უმზეო სამარეებთან ნეტარება იდგა წამოწოლისა...

ღვიის, კუნელის, იასამნის ბუჩქებს შეფარებულ აკვანივით სამარეზე მშრალი, ოქროსფერი წიწვი იყო წაფენილი. სიმშრალეში, სიმყუდროვეში ჭიატობდა საფლავის ქვაზე დადებული ქორფა ყოჩივარდები და მეფობდა მაინც სიჩუმე...

დრო სპობს საფლავებს, დრო მოგონებებსაც ანადგურებს, დრო დროსაც მუსრავს.

რეზო ჭეიშვილი

კაცის დამარხვაშიც ერთგული იყო ხარი. თუ საფლავები სოფლიდან შორს იყო, ხარ-მარხილით მიასვენებდნენ მიცვალებულს. საფლავის სიპებიც ხარ-მარხილით მოჰქონდათ და ზემოდან დასადები ქვაც... ძველთაგანვე ულამაზესი დამოკიდებულება ჰქონდა ქართველ კაცს საფლავის ქვასთან. თუ გუთნისდედა იყო, ხარებს გამოჰკვეთავდნენ მიცვალებულის ქვაზე, თუ მწყემსი იყო, ვერძს და, ასე, რა საქმესაც ემსახურებოდა ამ სოფელში. ახლაც უამრავი ასეთი შედევრი – საფლავია შემონახული ძველ სასაფლაოებზე.

გოდერძი ჩოხელი



ორბეთი (თეთრიწყაროს რ-ნი)

დავრჩები დაუტირები, ვერავინა თქვას ზარია,
აქ არ არიან ქალები, იდინონ ცრემლის ღვარია,
რო მოუჰკვდე, ყველასათვისაც იქნება გასახარია,
არც მიწა თავის სამშობლოს, მკვდარს გულზე დასაყარია,
მარტო ყორნები მამოვლენ, ტანზე ემოსოს შავია,
სვავებიც მოფრინდებიან, მხრებმ მაიყოლოს ქარია.

მიხა ხელაშვილი

ქვას უთლიდა საფლავს, წისქვილს,
ქვის ქვეშ ისე დაიმარხა, —
ვერ შეხედა მოსულ სიკვდილს,
ვერც მზის ჩასვლა დაინახა.

ოთარ ჭელიძე



ღორეშა (ხარაგაულის რ-ნი)

აქ სატიოზე ჩამოჰქონდათ გასათლელი და წასაწერი, მტკვრის კალაპოტში შერჩეული ლოდები.
ქვასთან და ასოებთან ბრძოლაში ეიქარვებდი მარტოობის ჯავრსა და სევდას...

ახლა დავრწმუნდი, რომ ღმერთებსაც და საფლავის ქვებსაც თავისი დრო და თავგადასავალი აქვთ!..

ქვის ზოდში მუდამ ზის ქანდაკება, საჭიროა მხოლოდ მცირე სატეხი და დიდი სული – შემოქმედური!

საოცარია ადამიანის ბუნება!.. ცისმარე დღეს საფლავის ქვებს კოდავს, აწერს და მიუწვდენელ ტრფობასა და სიცოცხლეზე კი ოცნებობს...

ლევან გოთუა



მაქართა (გუდამაყარი)

# ეპიტაფია

წინამძღვრიანთკარი (ძვ. არჯაკელი, მცხეთის რ-ნი)

თამარ გოლას ასული გულბათაშვილი
1909-1928

იძინე შვილო დაუვიწყარო
უმანკოების წიაღსა შინა
ჩვენც დაგვიდგება დრო სანეტარო
კვლავ შენთან ერთად გვექნება ბინა

ქეთო ზაქარიას ასული ჯამაგიძე
მეუღლე გოლა გულბათაშვილისა

ისე მოუკვდი ვერ მოესწარ
ომში დაკარგული შვილის დაბრუნებას

თუმცა ვიცოცხლე მეოცდახუთე წელია
ფუჭი ყოფილა სიცოცხლე დაუნდობელი ჭრელია

გაუკითხაო სიკვდილო წაიყვან დაბარებულსა
აღასრულებ შენსა ნებასა ღვთისაგან დავალებულსა
არცა კითხულობ მდარესა არც ცოდვილს შეწუხებულსა
თითო შენდობას გევედრით ყველასა აქა კრებულსა.
დაუტევე ხუთი ძენი და ოთხი ასული ვარ მე
აზნაურის გვარისა

გაბრიელ ფინამძღვაროვი
შობიდან ვიყავი
53 ის წლისა გარდავი-
ცვალე 1866 სა წელსა
ოკტომბრის 6 სა დღესა

ჰე სიკვდილო შე წყეულო რაზე მომკალ მწარე ლახერით დედისერთა
კოხტა ვანო ცხრამეტის წლის ახალგაზრდა შე მაცდურო მუხანათურად
ტოლ ამხანაგ აღარ ვნახავ სალამი არ დამაცალე უდროდ ჩამფალ
შავ მიწაში ქვა და ლოდი დამაყარე დედაჩემი მწარე ცრემლით ცას
შესტირის მიწას რწყავს სიკვდილიც [....]

ბექაური შობიდგან ვარ 19 წ. ჩემმა გასროლილმა თოფის
ტყვიამ მიმსხვერპლა 1911 წ. 16 იანვარს

ბიწმენდი (მცხეთის რ-ნი)

სიკვდილმა ბრმამ  დაუნდობელმა წამიყვანა მე უბედური
ჯერ ქვეყანაზე გამოუსვლელი და ცოლშვილშიც გაუხარელი
ბუნების შავბნელ კანონმა უხეშმა ბურუსიანმა შენი სიცოცხლე
წაიღო ვერ გიხსნა ადამიანმა

პეტრე გიორგის ძე მაჟულაშვილი
გარდ. 1937 წ. იანვრის 15-ში შობ. 28 წ.
შენდობას გთხოვთ

აქ განისვენებს მელანია ზაქარიას ას მაჟულაშვილისა
დაიბ. 1885 წ. გარდ. 19 27/II 45 წ.

დიდი ხნის პატიოსანი შრომით დაღლილმა
9 წელი იავადმყოფა და სული დალია
სამამულო ომში მყოფ შვილის ნატვრაში
სამარადისო ხსოვნა და
უკანასკნელი სახსოვარი მეუღლეს
დათიკო პავლეს ძე მაჟულაშვილისაგან



არახვეთი (დუშეთის რ-ნი)



წინამხარი (გუდამაყარი)



მაქართა (გუდამაყარი)





ღუმაცხო (გუდამაყარი)



მუგუდა (მთიულეთი)

ბედშავი მწყემსი ვიყავი დაღლილმა არაგვის წყალი
დავლიე რა ჩავაყოლე არ ვიცი იმ ღამეს სული დავლიე

მამულაშვილი ნიკოლოზ ილიას ძე
დ. 1886 – 1947 წ.

ილო გიორგის ძე ბედუკაძე
გარდ. 1931 წ. დეკემბრის 31-ში

დამრჩა მოხუცი დედა და ძმა უნახავი
ბედო და გადავეგე შობ. 22 წ. წამკითხველნო და სწორებო
გთხოვთ შენდობა მაღირსოთ
შე ოხერო სიკვდილო რა უდროვოდ მიგდე მახე
წუთისოფელს მომაშორე და და დედა ვერა ვნახე
დანიშვნასაც ვაპირობდი მაგრამ სიკვდილმა მალე
მისწრაფა [...]

ევა ანდრიას ასული კეტა რაზმაძეს
მეუღლე იყო 25 წ. გარდ. 1934 წ. ღვინობისთვის 4 სა

მახსომს წუთი სოფელი დავდიოდი მთელათა
მე მეგონა სიცოცხლე მექნებოდა გრძელათა
უცბათ შემხვდა სიკვდილი წამაქცია ხელათა.

სიმონიანთხევი (თიანეთის რ-ნი)

მ- ი უსამართლო სიკვდილო რაზედ დღე გამიშავეა
თერთმეტი წლის შკოლის შაგირდსა მე დღეზედ გამათავეა
შავ მიწას მიმაბარე მე შემიშალე ბროლივით სახე
დამრჩნენ დედ მამა და სამი ძმა ღმერთო კარგა შამინახე

ჩეკურაანთგორი (თიანეთის რ-ნი)

საფლავს [...]
მამუკელ გორელაშვილი
უდროვოდ მეწივა მწარე ს
იკვდილი და მოვიცვალე ხნით
35ის წლისა 1884 წელს
მხილველნო გთხოვთ
თითო შენდობა
მიბძანეთ

ძვირფასს
შვილს და მეულს
თამარ ქუმსიაშვილი
ქროხელაშვილისას
დაბ. 23 წლ. I კვირის პატარძალი
გარდ. 3 ნოემბ. 1918 წ. იძინე!

ჟებოტა (თიანეთის რ-ნი)

ვერც და ვიღაც მან ცოლშვილიდან გამარჩია ახ სიცოცხლე წამი
ლეკა და საფლავში მიმაქცია
ნიკოლოეაზ მათეს ძე სადირიძე
გარ. 1927 წ. იანვარს 9სა გთხოვთ შენდობა მაღირსოთ

ვაჰ შენი ჯავრი სიკვდილო უდროვოდ მომიჩქარია ორმოცდა
ათი წლის კაცი მალ მიწას მიმაბარეა მძიმე საქმის მუშა ვიყავ რკი
ნისა და ხის ოსტატი შეუპოვრად მას ვებრძოდი არც ვზოგავდი თავის თავსა
სიკვდილამდის ბეჯით კაცმა ვერ ვიცანი [...]

მუხთალ სიკვდილი ნახეთ რა მიყო
მთელი სიცოცხლის ბოლო მამიღო
ვერც ცოლი ვნახე ვეღარც ანიკო

[...] სწორებსა და ჩამავართმევ ხელსა მე თუ
იქ მოვკვდები ღმერთი აიღებს ხელსა
ვეღარცა დედ მამათ ვნახავ და ვეღარც მეუღლესა



(მარნეული)



ასურეთი (თეთრიწყაროს რ-ნი)



მანგლისი (თეთრიწყაროს რ-ნი)



მუგუდა (მარნეული)





ნაღვარევი (მთიულეთი)



წინამხარი (გუდამაყარი)

ღულელები (თიანეთის რ-ნი)

ნიკო კუმარაშვილი
1850-1930

მაგრანეთით გადმოუსახლდი ღულელებში შევეფარე
აქ ვიყიდე მამულები დიდი ტანჯვა გადავყარე
უძეოდ მზეს ჩამოუშორდი ტკბილი გახდა ჩემთვის მწარე
მარტო ერთი ცოლი დამრჩა ცხარე ცრემლით დამდუღარე

ახალსოფელი (ძვ. სახასო, თიანეთის რ-ნი)

მოულოდნელმა სიკვდილმა მიგდო მახე
ჩაბანოში მიწი თხრაში დამიბნელა სიცოცხლე

ანდრია გორას ძე გიდინაშვილი

ლიშო (თიანეთის რ-ნი)

აქა მდებარე ვარ
რამაზა ზურაბის ძე ნიბლოშვილი
58 წ. გარდაიც.
1904 წ. აპრილის 18

აქა მდებარე ვარ
რამაზა ნიბლოშვილის მეუღლე თამარი
55 წ. გარდაიც. 21
ქრისტეშობის 1903 წ.

უკანასკნელი სახსოვარი შვილობილისაგან

მართა (არმინდა) თევდორეს ასული ნადირაშვილი-აბალოშვილისა
1885 – 1944 წ.
ნათელში იყავ ჩემო აღმზრდელო

შავს მიწაში დავიმარხე დავრჩი ამა
ლოდსა ქვეშა ავი კარგი ვერა ენახე
გარდაიცვალა 1905

არტანი (თიანეთის რ-ნი)

მთვარე დაბნელდა, დაბნელდა,
მზეც იმოსება შავადა,
დაშავდნენ ვარდის ყვავილნი,
იანიც გახდნენ ავადა,
რადგან სამზეო ქვეყანა
დავტოვე თავის თავადა.

თეზამი (მცხეთის რ-ნი)

გეიბრძანეთ ვინც ესე საფლავი ნახეთ ვარ [...]
ფიკლაური მივიცვალე 1894 წელსა იანვარსა
დღესა ესე ძეგლი მაღირსა ჩემმა მეუღლემ
თამარ ბურდულმა ვიყავ სწორ ამხანაგის მოყვარე...

ამ უბედურმა სიკვდილმა რა უდროვოთ მიგდო მახე
მამაშორა წუთისოფელს შავ მიწაში დავიმარხე
დავრჩი ამა ძეგლსა ქვეშე ავი კარგი ვერა ვნახე
სახლი დამრჩა ცრემლით სავსე მწუხარებით დავიმარხე...

ალავერდი

აქა განისვენებს
მეუღლე გენერალს მაიორისა
ნატალია ედიშერის ასული
კნეინა ჩოლოყაშვილისა
გარდაიც. 1892 წ.
თებერვ. 10 სა შობიდგან 80 წ.

ხვედრმან მარგუნა
- მჟარა მიწამა,
ბედმან გამწირა აღარ
- მიწამა,
ძე მესვა ერთი, ხანჯლით
- იწამა,
ტანჯული დედა მჟაროს მიწამა.



ზაიძასხევი (თეთრიწყაროს რ-ნი)



წვერი (თეთრიწყაროს რ-ნი)



წვერი (თეთრიწყაროს რ-ნი)



მუგუდა (მთიულეთი)





ფასანაური (დუშეთის რ-ნი)



(თეთრიწყაროს რ-ნი)



წყლულეთი (თეთრიწყაროს რ-ნი)

ყვავილობასა მა-წლთა სიჭაბუკისა
ჩემსთა მმუსრნა მე ულმობელმან
სიკუდილმან [...] მოვარდი ბნელსა ემას
სამარესა
ნიკოლოზ დიმიტრის ძე ჩოლოყაევ
ჩყმდჰწ სა
შენდობა მიბრძანეთ
გარდ. 1848 წ.
კნიაზი

თელავის წმ. ნინოს I კლ.
თამარა ანდრონიკაშვილი
დაიბადა 1899 I ენ – 1911 7 მარტი

მწუხარებით გაფარეფთ მძიმე ლოდს
ჩვენო მშვენიერო ლამაზო
და მასთანავე ოჯახის სიამაყევ
პატარა თამარო
მისთვის ვლერით დაუშრობ [...]
დაუვიწყარ [...]

შენი [...] მამა მამიდა
და [...] და-ძმა

*

პირველ მოღებული მიწათ მავალ მიწასა ზედა
ოცდაერთ წელ მიმაქცოვა მიწადვე ანნა
მეუღლე [...] ასული გიორგი ვაჩნაძისა
დამტევებელი მეუღლეს და მას რომელთაცა
ნიშნად სიყვარულის ცრემლით ქმნეს
მეგლოვიარე რათა იტყოდეთ განუსუენე
ქე [...] ლო მხევალსა შენისასა
მარტისა 2 დღესა 1858 წელსა.

პატარძეული (საგარეჯოს რ-ნი)

სიკო გაბროშვილი
1922-1934

უბედური დედის შვილმა უბედუ
რათ გავიარე სიცოცხლით ვიყავ

მამის ნატრული სიკვდილის დროსაც
არა მნახა არ მელირსა მამის მცრემ
ლი უკანასკნელი სახსოვარი გულდა
მწვარნი ბაბო პაპა და დედისაგან

აქა მდებარე ვარ ისაქა გაბროევის ასული ნინა
ზაქარა [...] ვიყავ დანიშნული ჩემი
დანიშნული გახდა ჩემი ბედის წერა გარდაეიცვალე 1901
წ. მაისს 1 ს შობიდგან 17 წლისა
შენდობა მალირსეთ

ლოდსა ამასა ქვეშე განისვენებს გვამი
ზენობიერ დავით მუჩაშვილისა და ასული
იოთამ ზუქაკიშვილისა ალმომკითხველნო
შენდობა მიბრძანეთ დაბადებიდგან ჩყიის
წლიდგან გარდაეიცვალე ჩყაბ სა იანვრის
15 დღესა

ალმხილველნო გევედრებით მიბრძანეთ მე ცხონება
ვარ გაბრიელ ჩილაურის ასული და
აზნაური გაბო ბილანოვ [...]
[...]

ქვემო ალვანი (ახმეტის რ-ნი)

*

ლოდსა ქვეშე მდებარე ვარ
ლევან ნიკოს ძე სოგიაიძე
შობიდგან 30 წ
გარდაეიცვალე 1915 წ გიორგობისთვის 5 სა

მომარგინა წილად სამარე
ჩემსა ცოლ-შვილში არ გამახარა
დამიხშო მარად გრძნობა და გული
შავი მიწა გულს მამაყარა







სიგუ





დუმაცხო (გუდამაყარი)

მომიხსენე უფალო ႢႰႨႢႭႪ ႨႠႩႭႴႨႱ ႻႤ ႫႤႵႳႠႡႠႳႰႨ
გარდაიცვალა 1918 წელსა ღვინობისთვის 1 სა

ႢႰႨႢႭႪ ႬႨႩႭႱ ႻႤ ႺႭႢႨႠႨႻႤ 22 წ.
გარდაიცვალა 1916 წ.
აპრილის 10 სა წამკი
თხველნო
მაღირსეთ შანდობა

ოხ მუხთალო სოფელო
რათ დამიბნელე დღენია
22 წლისა ჯეელსა
უცფათ მამხვიე ხელია
დამრჩა მტირალი მოხუცი დედა

თელავი

არავინ გადაურჩება თავის ბედისა წერასა
ვა რა უდროოთ მოუშორდი წუთისოფლისა ცქერასა
გარ ჩყუასა

მეცა მქონდა თქვენებრ ერთი დრონია
ტოლ-სწორებში ვიყავ თავმომწონია
მაგრამ სოფელს დახეთ რა ზნე ჰქონია
ასე უდროთ მიწას დავემონია
ორმოცი წლის არც კი ვიყავ სრულათ
ჯანით მთელი ყოვლით უნაკლულათ
გული მქონდა მარად მხიარულათ
ბაგე ვარდათ და ენა ბულბულათ

აქ განისვენებს ვლადიკავკავის მგელი...

*

მომავალი გამიუქმა
საუკუნო მწარე ძილმა

იყალთო
(მონასტრის ეზო)

დედმამისერთსა დამიწებ
ულსა ამ ლოდსა ქვეშე მე
მძინავს დღესა, ჰოი მხილ
ველნო გთხოვთ შენდობასა

ვინც რომა იხილეთ ეს
ლოდი ჩემი ყველამ
მიბრძანეთ ღმერთმა
მაცხონოს.

აქ ასვენია თავადი
ათანასე ომანის ძე მაყაშვილი
დაიბადა
1799 წელსა
აპრილის 28 დღესა
გარდაიცვალა
1861 წელსა
აპრილის 3 დღესა

მანავი (საგარეჯოს რ-ნი)

*

[...] ლა 1895 წ. მარტის 25 სა შობიდგან 56 წ.
უძეო ვიყავ გთხოვთ თითო შენდობასა

ნინოწმინდა (საგარეჯოს რ-ნი)

შეიწყალე უფალო პეტრე საბას ძე
კონიაშვილი გარდაიცვალა 1921 წ.
შობიდგან 25 წ.

ოხ ღმერთო შეელად სიკვდილო ნეტა მე რა
ცუდათ მცანი [...]



დიდი თონეთი
(თეთრიწყაროს რ-ნი)



ქვემო ხანდაკი (კასპის რ-ნი)



აბა (დმანისის რ-ნი)



პატარა გომარეთი (დმანისის რ-ნი)





დუშეთი



[illegible] (თეთრიწყაროს რ-ნი)

ამ წუთისოფლითგან არა მხვდა წილი
არც ქმარი მყვანდა არც თუ ყმარწვილი
ზეცათ ინდომეთ ჩემი ქორწილი
კითხვით მაღირსეთ შენდობა
ვარ ᲒᲐᲑᲠᲘᲔᲚ ᲓᲔᲕᲜᲝᲖᲨᲕᲘᲚᲘᲡ ასული
გარდავიცვალე 1884 წ.
ღვინობისთვის 15 სა შობიდგან 80 წ.

ნათელი ქრისტესი განგანათლებს ყოველსა
შეიწყალე უფალო სარწმუნოებით
სიყვარულით სი მშვიდით და
მღვდელობისა ღირსებით გარდაცვალებული
მონა მღვდელი ᲘᲝᲐᲜᲜᲔ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘᲡ ᲫᲔ ᲒᲣᲚᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ
გარდ. 14 იანვარს 1919 წ.
შობიდგან 46 წ.

შეიწყალე უფალო
ᲥᲘᲢᲔᲡᲐ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘᲡ ᲫᲔ ᲙᲝᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
გარდაიცვალა 1920
[...] შობიდგან 23 წ.

მაღაროსკარი (ფშავი)

მოიხსენე უფალო საფლავსა
ამას შინა მდებარე
ᲜᲘᲜᲝ ᲬᲘᲥᲐᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲗᲐᲜᲓᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ნაღვარევი (მთიულეთი)

აქ გ. ᲗᲔᲑᲠᲝ ᲘᲐᲙᲝᲤ ᲐᲠᲒᲐᲜᲝᲕᲘᲡ
მეუღლე გ. 1918 წ.
წლოვანობით იყო 25 წ. ემ
ლოდით დამფასა მაზლმა მიხამ

კარკუჩა (ხევი)

*

ამა ლოდსა ქვეშე განისვენებს
მონა ღთისა ხიმონ თადიას ძე
მალსაგოვი გარდაიცვალა 1914 წ.
გიორგობის თვის 17 წამკითხველნო
შენდობა მითხარით

*

გარდაიცვალა დაბადებიდამ 63 წ. 1920 წ.
ქრისტი შობისთვის 19. ვაფასებთ ძენი მისნი
მხილვენო მნახველნო შანდობა მიბძანეთ

ჯუთა (ყაზბეგის რ-ნი)

განწირე თოფ-ხმალ-აბჯარი
ხარ გუთან აღარ ხნავსაო
30 წლამდე იცოცხლე
ჯუთაში იყავ გმირია
ეხლა კი მიწას მიღბარდი
ცოლ-შვილს ედება ჭირია
ჯუთაში დაბადებულსა
სიცოცხლე მოკლე გქონია
ოხრად დასტოვე ცოლ-შვილი
დიდი სიბრალე მგონია
მთის რკინის კარო მინდიავ
ბრალია შენი სიკვდილი
მიწა გიშლიდეს პირსაო
შენისთანა ვაჟასა
დედა ვერ გაზდის შვილსაო

ამა საფლავსა შინა განისვენებს
მინდია აპარეკას ძე არაბული
დაიბადა 1892 წ.
გარდაიცვალა
1922 წე
5 თებერვა

ბოგვი (ალგეთის ხეობა)

*

აქ მდებარე ვარ დათა ამინაშვილი
მოქეიფე კაცი ვიყავ ძმაკაცების
მოყვარული ვაჟი შვილი დამრჩა ქალი
გათხოვილი დაიბადა 1888 წ.
გარდაიცვალა 1936 წ.



(თეთრიწყაროს რ-ნი)



გოდისწყარი (კასპის რ-ნი)



წვერი (თეთრიწყაროს რ-ნი)







[illegible]

მშრომელი კაცი ვიყავი მიყვარდა პურ-მარილია
უკანასკნელად პატივს მცემს სიძე და ჩემი შვილია

ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲠᲘᲒᲝᲚᲘᲡ ᲫᲔ
1875-1970
სახსოვრად სიმამრს ᲨᲝᲗᲐ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲘᲡᲐᲒᲐᲜ

აქ განისვენებს ᲛᲔᲚᲐᲜᲐ ᲒᲘᲒᲝᲚᲐ ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ
ასული და ᲙᲝᲜᲐ ᲝᲒᲐᲜᲝᲕᲘᲡ მეუღლე
დაიბადა 1871 წ. გარდაიცვალა 1948 წ.
მარტის 3 სა ერთხელ და სამუდამოთ
პატივი მცეს ᲞᲐᲢᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲐᲠᲢᲐᲨᲐᲛ და
ერთგულმა რძალმა ᲔᲙᲐᲛ ამ სახსოვრით
წამკითხველნო შანდობა მაღირსეთ

გავხდი ავადა მდებარეთა ბალნიცას ვიწევ ძნელ მწუხარესა
ბევრი ეცადნენ ვერ მიშველესა სიზმარში მითხრეს ნუ იწამლებო
უბრალოთ თავსა ნუ იწვალებ სულთამხუთავთან ვერ იმალებო
ვერ გაექცევი ვერსად გარეთა დამრჩა ქმარ-შვილებ ავატირე

დავამწარე ღმერთო იგინი ადღეგრძელე
კეთილი თა გაახარე
მამიგონებდნენ სულითა და მიკურთხონ მე
სამარე ვარ ᲛᲔᲚᲐᲜᲐ ᲔᲐᲜᲝ ᲑᲔᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ
მეუღლე გარდავიცვალე 1934 წ. აპრილის 20
ვიყავი 48 წ. 1899-1900 წ.

ფარცხისი (ალგეთის ხეობა)

სიცოცხლემ არ მამცა პირი
თავზე არ დამედგა გვირგვინი
გამამიჩნდა მე უცეფ ჭირი
სულ აქ მოვლენ ყმაწვილ გმირნი

აქ მდებარე ვარ კოტე ილიას ძე ბერიძე
დავიბადე 1906 წელსა გარდავიცვალე 1951 წელსა
სახსოვარი ჩემი ცოლი ლოზასაგან
შენდობა მაღირსეთ

ტკბილი ცხორება ჩემთეის გამწარდა მეხი ზეიდან
თავზე დამასკდა იმ წამს გამაქრო ერთი
სიტყვის თქმა აღარ დამცალდა

აქ განისვენებს
ილო ბეგიაშვილი
გარდაიც. 1921 წ.
დაბადებიდან ვიცოცხლე 21 წ.
წამკითხველნო გთხოვთ ერთი
შენდობა გვიბოძოთ

ახალსოფელი (ძვ. ლაკვისი, ალგეთის ხეობა)

ვასო სიმონის ძე ჭიკლაური
1898-1948
მახეშია ვირბინე და დავიღალე დავჯექი
და დამეწია წამიყვანა
ახალგაზრდა მიმიყვანა შავეთშია

ქვის მთლელი ა. გ. ხუზუნიდი

ვიყავი ახალგაზრდა
და ვერ გავიხარე სწორებში
მომიხდა უდროუოდ თოფით სიკვდილი
არ დამაცალა
სოვდილმა კარგიც არ
მაგემებინა მომწყვიტა
წუთგზის – სოფელსა
მიწაში მომცა მებინა



შილდა (ყვარლის რ-ნი)



დიდი თონეთი
(თეთრიწყაროს რ-ნი)



დიდი თონეთი
(თეთრიწყაროს რ-ნი)



ძისისი (თეთრიწყაროს რ-ნი)





(მცხეთა)



ბაცარა გომარეთი (დმანისის რ-ნი)

მანგლისი (თეთრიწყაროს რ-ნი)

შენდობა მიბრძანეთ
საფლავსა მდებარე მონა ხთისა
მაკა თევდორეს ასული ხე ჩანგოვი
გარდავიცვალე 1879 სა წელსა
3 სა მაისისა

მარტყოფი (გარდაბნის რ-ნი)

აქა მდებარე ვარ აბრამა სინჯიკაშვილის ასული და იოსებ
[...] ის მეუღლე ზენო [...] იყო 21 წ. გარდავიცვალე 1892 წ.
შენდობა მაღირსეთ

აქა განისვენებს გვამი იოსება გიორგის ძე დარჩიაშვილისა
დამრჩა პატარა ცოლ-შვილი ღმერთო კარგათ შამინახე ცოლ-
საც ამას ვევედრები ჩემი ხათრი შეინახე ყოველ სუფრას
დღეობაში შენდობა [...] ამას გთხოვთ წამკითხველნო

კოტე ანდრიას ძე ხახიაშვილი
ვარ კბილისაგან მკვდარია
ოცდარვა წლისა რო გავხდი ცუდი დამიდგა დარია
გიორგობას გავთავდი სიმწარემ გამიპო გვამია
მამავ დედავ რას იზამთ ჩემზე გეჭირათ თვალია
19... წელსა ამრიგად გადავიხადე ვალია

ამ უბედურმა სიკვდილმა რა უდროოდ მიგდო მახე
მამაშორა წუთისოფელს შავს მიწაში დავიმარხე
დამრჩა მშობლები ღმერთო კარგად შემინახე
წაველ გაუხარელი ჩემს ტოლებზე დამრჩა თვალი.

სიყმით ვიყავ უბედური აქ კარგი ვერა ვნახე
[...] გაუხარელი შავ მიწაში დავიმარხე

### მარაბდა (თეთრიწყაროს რ-ნი)

ცის მაგიერ მფარავს მიწ ა
ვმადლობ მასა ვინც მამიწ ა
წარმკითხველნო გთხოვთ ვედრები თ
ღირს მყოთ თქვენგან მოხსენები თ
იცით რომელ ვიყავ თქვენებ რ
ერთ ჟამს თქვენც იქნებით ჩემებ რ

კნეინა ႤႩႠႲႤႰႨႬႤ ႦႠႠႪ ႡႠႰႠႧႭႥႨႱႠ ႧႠႰႾႠႬႭႥႨႱ
ასული ვიყავ ოცდახუთის წლის ა
მოუშორდი გაუხარელ წუთის სოფლისა ცქერას ა

ჩყნდ წელსა აგვისტოს ოცსა დღესა

უსამართლო სიკვდილო რაღა ჩემთვის მოიცალე
მამაშორე ჩემს ცოლ-შვილსა ძალით რისხვით გამაცალე
მსურდა მათთან ტრფობა ლხენა მაგრამ აღარ დამაცალე
გამაქრევი ვითა ლანდი გულის აზრი შემიცვალე
სიცოცხლისა მონატრულსა შავ მიწის ქვეშ მამეც ბინა.

მე ვარ ႥႠႱႨႪ ႱႭႪႭႫႠႬႨႱ ႻႤ ႴႤႨႵႰႨႸႥႨႪႨ

რვა თვის ტანჯვის შემდეგ საუკუნოთ დამაძინა
ოთხი საყვარელი შვილი მომტირალი დამრჩა შინა
შენდობას ნუ დაიშურებთ აქავ ამავ ლოდის წინა
წისქვილში შევიძინე მე ჩემი ცოლ-შვილის საზრდო
ჩემი შრომით მაგრამ ვერ გავიხარე

გარდავიცვალე 1918 წელსა

თიბათვის 5 სა
შობიდგან ვიყავი
40 წლისა





[illegible]



ტაშისკარი (ხაშურის რ-ნი)





მუგუდა (მთიულეთი)



მტრის შემოსევისას დაღუპული სამი დის საფლავი. სამღერეთი (თეთრიწყაროს რ-ნი)

ამ საფლავსა განისვენებს თალალა ტუხას ასული მენთეშაშვილი
შობიდგან ვიყავი[...]

აქ განისვენებს მარო სოსოს ასული ხიზანიშვილი
დაბადებული 1895 წ. გარდაიცვალა 1962 წ
57 წლისა ვიყავი როცა ავად ყოფნამ დამრია
ხელი არ დამინდო მუხთალმა სიკვდილმა და
გამამასალმა წუთი სოფელს
დამრჩა ორი ვაჟიშვილი ორიც ქალი

ვარდი ვიყავ ნორჩი აკოკრილია
დედმამის საყვარელი ტკბილია
შემხვდა წითელა მომცა საუკუნო ძილია
ვარ კონა ვანოს ძე ხიზანიშვილი
გარდაიცვალა 1915 წელსა ღვინობისთვის 20
შობიდგან 2 წლისა

ყოველ სიცოცხლის წუთში მქონდა შვილების
ლოდინი ავად გავხდი და დავიგე სამუ
დამო ლოგინი ძვირფასი პატივი მცა ჩემმა
რძალმა მანიამ საფლავზედ ქვა დამადო
სახსოვარი რამია
ანანა ხიზანიშვილი

კორინთა (ქსნის ხეობა)

ამ საფლავსა [...]
ნიკა თინიკაშვილი

აქ განისვენებს გვამი
ტირინე გიორგის ძე [...]
მეუღლე გიორგი

ცხავატი (ქსნის ხეობა)

გარდაეიცეალე ივნისის 6 დღეს
მაია მოსე ბუნტურის მეუღლე
ვიყავი 60 წ. დიდი მშრომელი

დედა ე ქვა დამადეს ჩემა ქალებმა
ორივე გ. 190... წელსა ქეთო და ბაბო

ლარგვისი (ქსნის ხეობა)

*

აქ განისვენებს ნატო ტატეს მეუღლე
გარ. 1949 წ. თებერვლის 25 70 წლისა

*

აქ განისვენებს ტატე იოსების ძე ზარიძე
გარ. 196[...]
105 წლისა დამფასა ჩემა ამაგმა
დავწვი 96 საკირე
ერთი არ გამიცინია
წამკითხველნო შანდობა მითხარით

იკოთი (ქსნის ხეობა)

*

მზის ცქერითა ვერა გავძეხ წამკითხველნო შემიბრალეთ
ტასო ლეინაძე გიგოს ასული გონიაშვილის სონას
მეუღლე წამკითხველნო შენდობას გთხოვთ
გარდაეიცვალე 1885 წელსა მარიანობის

საფლავს შინა მდებარე უძეო გარდაეიცვალე
მე უბედური სიკვდილს ვერცით ვერ დავემალე
მობძანდა მიქელი გაბრიელ დამიბნელა
მზე და მთვარე მიჯნური ოხრით
გაუშვი შავს მიწას ამუეფარე

ქსოვრისი (მცხეთის რ-ნი)

*

რაც შენ დაგკარგეთ მიჯნურო დავკარგეთ თვალის ჩინი
გასათხოვარი დასტოვე უნცროსი ქალიშვილი
მშვიდობით ჩვენო ილო ჩვენთვის იყავი გმირი
შრომა გიყვარდა საწყალო ღამე არ გქონდა ძილი



[illegible]



[illegible]



[illegible]



[illegible]



[illegible]



ფასანაური (დუშეთის რ-ნი)

1934 წ. თებერვლის 4 სა გარდავიცვალე
მე ვასო შაქროს ძე ჯაფარიძე
შობიდან ვიყავი 8 წლისა გშორდებით

აქ განისვენებს გვამი სოსე ჯარმელაშვილი გიგოს ძე
იყო 50 წ. გარდაიცვალა 1933 წ. 10 გიორგობისთვესა

მე ვიყავი მშრომელი მუშა გლეხი გავაშენე
ვენახი უცეფ შამხვდა სიკვდილი შამაქცია ხელათა
ეხლა საფლავში ვწევარ ცივ სამარეს ბნელათა

მუხრანი (მცხეთის რ-ნი)

შვენიერებანი პირთანი დალპეს და სიჭაბუკის
ყვავილი დააჭნო სიკვდილმან ჭეშმარიტად ამაო
არს ყოველივე კაცობრივი არამედ ნათელსა
პირსა შენისასა განუსუენე ქრისტე სულსა

ორბეთი (თეთრიწყაროს რ-ნი)

რაც უნდა დახატოს გიეი ჩოხელის ქვაზე
პირველად უნდა დახატოს ბოთლიანი სურათი
გუთანი და ხარები ერთი ჩარექით თავის სტაქნით
და ჩიბუხი ცეცხლს ადებდეს

უნდა დაწეროს ზედ მე [...] გიეი ჩოხელი შიოს ძე
დავიბადე 1877 წელს გარდავიცვალე 1937 წ. პირველს
სექტემბერს ცოცხალი დავტოვე ცოლი და ვაჟი

შაქრო მიხეილის ძე გიგაური
1911-1934

ბედია თვითონ ბუნება
ვისგან კაცს ნიჭნი ხვდებიან
ზოგი იფურჩქვნის ზოგნი კი
კოკორშიავე ჭკნებიან

## ზიმონიკი
## (ნასოფლარი ორბეთსა და დიდ თონეთს შორის)

ამ უბედურმა სიკვდილმა რა უდროოდ მიგდო მახე
წუთისოფელს მამაშორა ავი კარგი ვერა ვნახე
დამრჩა ქვრივი ერთი ქალი ერთი მამა სამნი ძმანი

... არე სიმონი ნინიას ძე ჭიკლაური მტრის ხელით ვარ მე
მკვდარი ვიყავი 25 წლისა გარდავიცვალე 1929 წელს
განგებას ვერავინ შაიცვლის მოვა მალე არ ამცდების
ძმანო დანო და ნათესავნო თითო პირი შანდობა
მაღირსეთ

საფლავსა ამასა შინა მდებარე ვარ
ააკი ჭიკლაური გარდავიცვალე
1894 წ. ღვინობის თვის გასულსა

ამ უდებურმა სიკვდილმა რა უდროოდ მიგდო მახე
ორი წლის ნაქორწილევი შავ მიწაში დავიმარხე
ეფენია ნარიმანიძისა მათეს მეუღლე
გარდავიცვალე 1898 წ. ქრისტეშობას
მხილველნო თითო შენდობა მაღირსეთ

მე სიმონა თამაზას ძე მაგულაძე დავიბადე
სოფელ ნაოსარში 1878 წელსა უბედურმა
სიკვდილმა უდროვოთ მომისპო სიცოცხლე და
გამომასალმა ცოლშვილს

## შილდა (ყვარლის რ-ნი)

დანიშნული ვიყავი, ვერ შევესწარ ქორწილსა
ვარ მე მიხა ალექსანდრეს ძე კეელოშვილი
გარ. 1916 წ. მაისის 17 სა
შობიდგან 24 წ.



სხვიტორი (საჩხერის რ-ნი)



ჭორვილა (საჩხერის რ-ნი)



დიდი თონეთი (თეთრიწყაროს რ-ნი)





ახალსოფელი (ალგეთის ხეობა)



შილდა (ყვარლის რ-ნი)

[...] ბისთვეს ტყვე გავხდი შავი მიწისა

მომიხსენე მე უფალო რომ მოვშორდი ოჯახს ტკბილსა
ქმარსა შვილებს შვილი შვილებს ვარდისავით გადაშლილსა
თავი დადეს ერთ გულადა ვერ უშველეს ჩემსა ჭირსა

საფლავსა შინა მდებარე ვარ ალექსი
ჟურულაშვილის ძე სოლომან [...]
რომელიც ვიყავ ლეკის მთაშია ცხვარშია

მაღირსეთ [...]
გარდავიცვალე თიბათვისა
ჩყოზ სა წელსა

საფლავსა შინა მდებარე რა უდროვოთ გარდვიცვალე
ცოლ შვილი ოხრათ გაუშვი შავ მიწას ამოვეფარე
მობძანდა მიქელ გაბრიელ ვერსათ ვერ დავემალე
მე ლაზარე ჩახტაურსა დამიბნელდა მზე და მთვარე
მხილველნო მას გევედრებით თითო შენდობა მიბძანე

ჩყნგ წელსა თიბა-
თვის ეს დღესა

ალმატი (ყვარლის რ-ნი)

მოიხსენე უფალო გიგა ნიკას ძე
ტურაშვილი [...] შობი 5 წ.

*

უდროვოთ განველ ამ სოფლით საფლავს ვიკეთებ სახლა — თა
დედას ძმას უგდებ სანაცვლოთ ღმერთს უძლევენ სული ახლა — თა
გარს არა მხოლოდ მე ვარ ყოველთ ეს გვიძევ სამზღვრა — თა
და მე ვანო ჯორჯაძე სიკვდილმან ესრეთ დამხლა — თა

ვინცა იცის ამ სოფელსა რათ ენდობა რათ ეტკბო - ბა
რათგან არის სულ ამაო სიმდიდრე და თვით მეფო - ბა
ორსა ადლსა შავს მიწას გვაქვს საუკუნო მეუფო - ბა
და მე ესრეთ უბედურსა ძმანო მიბძანეთ შენდო - ბა

სოფ. დიღომი (მცხეთის რ-ნი)

ჰე უწყალო სიკვდილო სიცოცხლე დამამწარ ე
მშობელი დამიღონე წუთისოფელ გამყარ ე
სიხარული მამაშორე შავ მიწას მიმაბარ ე

მუხთალი რამა ყოფილა წუთი სოფელი ცბიერი
მომაკლდა დიდი ოჯახი ნათესავები ძლიერი
სამი ვაჟი შეილი დამრჩა და მასთან ქმარი ჯიელი
ბარბარე მიხეილ ჩარხიძის ასული დათიკო
ხოსიტაშვილის მეუღლე გარდაეიცვალე 1914 წ.

აქა მდებარე ვარ გოგლა გამყრელიძე
სახადით უმურაზოთ გარდაეიც. 1899 წ.

ამა ლოდსა ქვეშა
ვარ მდებარე
მიგრო გაგანას ძე
ძოზულაშვილი
დაიბადა 20 კათათ-
ვის 1907 წელს
გარდაიცვალა 6
მაისს 1930 წელს

მე ვარ მიგრუა მეცხვარე
კაი სახელის ჩობანი
ვინც ჩემ საფლავთან მოვიდეს
გულმა დაუწყოს ხმობანი
შემიბრალებდეს ჯეელსა
წითელ არმიელს ეულსა
უდროვოდ გარდაცვალებულს
სამარის კართან ქცეულსა
სიკვდილმა აღარ მაცალა
თვის ტომის ნახვა ბედ-შავსა
და უკანასკნელ წუთებში
[........]







მარაბდა (თეთრიწყაროს რ-ნი)



ბიისი (ალგეთის ხეობა)







თამისჯარი (ხაშურის რ-ნი)

დედ მამის ალერსს ვიყავ ჩვეული
სიკვდილი შემხვდა ანაზდეული
ნეტა რა ნახა ჩემში ურიგო
ვაი სიკვდილო იყავ წყეული
მწარეთატირდა ჩემი მშობელი
ჩემი სიცოცხლის კეთილ მყოფელი

უცეფ დამიგეს მე ცეცხლის მახე
სულთამხუთავი აშკარათ ვნახე
სწრაფ შემიშალა ბროლივით სახე

ბედმან გამწირა მიმუხთლა ფრთები არ გამაშლევინა
მომწყვეიტა მზიან ქვეყანას ძირმწარე დამალევინა
ქმარსა და დედა-მამას ცრემლები დააფრქვევინა

მიმცეს შავს მიწას საჭმელათ ვარ ბარბარე სოლომონ
[...] ნაშვილის ასული და მეუღლე გოლა კიკუაშვილისა
ვიყავ 17 წლისა ახალ პატარძალი მომწამლეს მე
გარდაიც. 10 მაისს 1913 წ.

ამ უკუღმართმა სიკვდილმა მე ბოლო მომიღო მალე
მოვიდა სულთამხუთავი იმას ვერ დავემალე უეცროვ
უავანტყოფოდ ჩემს ქმარ შვილს გავეყარე დამრჩა
ქმარი და სამი ვაჟი და სამი ქალი მე იმათ ვენაცვალე

აქ განისვენებს გვამი ბარბარე გიორგი
თეთრაშვილის ასული გლახა კოჭოჭაშვილის
მეუღლე გარდაცვალებული 1914 წ. აპრილის 11
დაბადებიდგან 47 წ.

ვაი რა ძნელი ყოფილა წუთის სოფლის ცხოვრება
მომიტაცა უდროვოთ აღარ მომცა დროება
როცა კაცს აჯალი მოდის აღარ შველის ქონება
წამკითხველო გვედრებით შემომითვალოთ ცხონება

დათიკო არჯევანის ძე ქუცნიაშვილი
დაბადებიდან 37 წლისა
გარდაიცვალა 26 თიბათვეს 1914 წელსა

ვაი ბედკრული სწევხარ საფლავს ვით პატიმარი
როს გვაგონდები თვალებითგან ცრემლი გვდის მწარი
ნეტავ ვიცოდეთ რამ შეგიცვალა შენ ჩვენზედ გული
მსწრაფლად მოგვშორდი და დაგვყარე დაობლებული

ივანე მიქელაშვილის ასულო სალომევ გულითა ნაზო
ძვირფასო სანატრელო რათ გვიღალატე მეტათ ლამაზო

შობიდან იყავ ოცდარვა წლისა უღალატევი
შენსა მშობლებს და სიტკბოება გაუმწარევი
გრიგოლ მელაშვილს შენს მეუღლეს

შინდისი (გარდაბნის რ-ნი)

სოფლისა გლეხი ვიყავი ცოლშვილი სახლი კარათა
მე ჩემი შრომით ვცხოვრობდი ჩემ სოფლით გასახარათა
[..............]

ოცდა ხუთი წლისა გავხდი ავათა
მამიჩემისთვინ დასაწვავათა
ვერარა მარგო უკუღმან ბედმან
ნორჩი დღე ჩემი გახდა შავათა

აქ განისვენებს ბაღდო გლახას ძე გასაარანთი
გარდაიც. 5 გიორგობას 1911 წ. შობიდგან 21 წლისა
ჯანმრთელი უტკივარი მხიარული მოცინარი
ჯანში რაღაც ჩამივარდა ჩემი ცეცხლის მამდებარი

ჩამოსვლის დროსა ცხენზედა შეჯდომა დავაპირია
შევჯექი და გადმოვარდი გონებით გავიწირია
წამიღეს სახლში უძრავათ ცოლშვილის დასატირია
ორ თვეზე მესწრო სიკვდილი ბოლოს მომღები ჭირია
მავშორდი მშობლებს მეუღლეს გაუხდათ გასაჭირია
ქალ ვაჟი დამრჩა უჩემოთ შესაბრალები წვრილია





ტანძია (ბოლნისის რ-ნი)



მუცო (ხევსურეთი)







წინარეხი (წალკის რ-ნი)

შენ მიწისშვილი სიკვდილსა ვერსად ვერ დაემალები
ერთხელ მიწითა აგევსეის ხილულ მნათობი თვალები
მოხუცი იყო თუ ნორჩი მაინც არ შაებრალები
ყველა ვიქ [...] იხადოთ ვალები

ქმარ შვილით ქვეყნათ ვხარობდი სოფელი ჩემთვის შვენოდა
რას ვიფიქრებდი უდროვოთ დღე ჩემი დაბნელდებოდა
ჩემი ძვირფასი მეუღლე უდროვოთ დაქვრივდებოდა
და წერილი ჩემი შვილები უდედოთ ობლათ რჩებოდა

აქ განისვენებს ვანო
არტემას ძე ჯიჯიაშვილი
შობიდგან ვიყავ 38 წ.

ზოგი სოფელს ემდურის
ზოგი შუბლის წერასა
სამუდამოდ ვინ შერჩება
მზის და მთვარის ცქერასა

ყველა მცნობდა სოფლათა
ძმაკაცურათ ტკბილათა
ჩემგნით ნაწყენი კაცი
იქნებოდა ძნელათა

1924 წ. კათ 25 სა
დამრჩა ცოლი და ორი ქალი

ტაბახმელა (გარდაბნის რ-ნი)

გიგო ფარსადანოვის ასული და შაქარ თათულოვის
მეუღლე შუშანა ექესი თვის
ჯვარდაწერილი უცეფ გავხდი ავათა წა
მიყვანეს კოჯორზე მოსარჩენათა კოჯრიდან

რო დავბრუნდი მისწრა ჩემ ბედის წერამა
გამიტანა ავტომობილმა ბოლო მამილო სიყ-
ვარულით ვერ გავძეხით მოვშორდი წუთისოფელსა
დავჭკნდი ვარდოვითა დავალონე ჩემი პატრონი

16 წლისა გარდ
ავიც 1909 წ.
მარიამობის 1 სა

ვაი სოფელო უპირო არა გაქვს ეპტიბარ – ია
შენ მოცემულ კეთილში ბევრი წილი მწარ – ია
მაგრამ რა ვქნა უდროვოთ შვილებს გავეყარ – ია
ქალი მყვანდა დასანიშნი ველოდი მის გვირგვინობასა
[..........]

აქ განისვენებს
შირმაზანაშვილი
ნინო მიხეილის –
ასული იაკოფის
მეუღლე
დავიბადე 1853
წელს გარდავიცვალე 102 წლი
სა კიდევ მინდოდა სიცოცხლე

აქ განისვენებს ვანო იაგორის-ძე კოდელაშვილი
დაიბადა 1898 წ. გარდაიცვალა 1967 წ. 9 იანვარს

მადლობელი ვარ ყველასაგან ვინც რომ ცრემლები
დაღვარა

ღმერთო მიცოცხლე მეუღლე შვილები
შვილის შვილები. წამკითხველნო გთხოვთ
შენდობას

აქ განისვენებს ნინა გიორგის ასული კოდელაშვილი
დაბად. 1989 წ. 5 მარტს გარდ. 1970 წ. აპრილს
სიცოცხლე მინდოდა მაგრამ
გულით ავადმყოფობამ ბოლო მომიღო ღმერთო
მიდღეგრძელე ჩემი პატივისმცემელი შვილები
წამკითხველო გთხოვთ შენდობას

ზაქარია გიორგის ძე
ხიზამბარელი
ღმერთო მიცოცხლე შვილები დათა კარგათ შამინახე
მან გამაპატიოსნა და ეს ლოდიც მან მაღირსა
გთხოვთ მხილველნო თითო პირი შენდობა მაღირსოთ
[.......] ჯანს ღონეს ძმასთან ძმა იყო

სულ ამაო ყოფილა წუთისოფლის ცხოვრება
მამიტაცა წერამა აღარ მამცა დროება



ძეგლი (სართიჭალის)



ჯვრის (ხარაგაულის რ-ნი)







ორბეთი (თეთრიწყაროს რ-ნი)

კოჯორი (გარდაბნის რ-ნი)

ვაი სულთამხუთავი რა სასტიკათ მომექ – ცა
რისხვით შემომიტია ვსთქვი ცა თავზე დამე – ცა
ეშხის მერანზე ვიჯექ მიბორძიკა წამექ – ცა
და სიცოცხლის ფრინველი გამიფრინდა გამექ – ცა

დამრჩა მწუხარე მშობლები მეუღლე და ერთი შვილი
მე ვარ ალექსი ბესარიონის ძე გოგოლაძე

აქ განისვენებს გვამი დაუღალავი ვარ კოდელი
სათენიკ არტემას ასული მჭედლოშვილი და
კოჯრელი რძალი მეუღლე ნერსეს ილგატოეისა
შობიდგან ვიყავ 24 წ. დავიბადე 1908 წ. 17 თებერვალს
გარდავიცვალე 1932 წ. 1 იანვარს დედას ვყავდი მარტო
ერთი ქალათა კოჯორში

გამათხოვა რძალათა ლოგინობას ავად გავხდი მომხვდა შიშის ქარათა
ბალნიცაში წამიყვანეს ქალაქა ექიმებმა ვერ მიშველეს ქმარი დამრჩა
ცალათა შვილები თავს დამტიროდენ დედა მოგვიკვდა ქალაქა
დამრჩა სამი ვაჟიშვილი და მეუღლე ტკბილი
წამკითხველნო შენდობა მიბოძეთ

ღვინის სმა ძლიერ მიყვარდა კიდეც გავხდი იმის
წერა დავითვერი ავიღე თოფი ხელში და წავედი
უძოსკენა იქ თოფი მოვირტყი ისე გავქრი ვით სანთელი
დავაღონე დავამწარე მშობელი და ჩემი დები

ახალგაზრდა შაქრო იაკოფის ძე გვარათ ბეჟიაშვილია
ვის მივმართო ვის ვაბრალო გარდა ჩემი თავისა მამა
მომიკვდა პატარა დავრჩი ტანჯვით დედამ ობლობით
მზარდა ხელობაც კარგი მასწავლა მე კი არ დავაფასე
გარდაიც. 1938 წ.

ნავკისი (გარდაბნის რ-ნი)

*

ვლესე და ვლესე ლოგინი ვერ გავიკურნე სენია
წამლები ბევრი დავლიე მაგრამ არ იყო მშველია
ვატირე ჩემი მეუღლე ის ჩემი საყვარელია

მისთვის ვენდური სიკვდილსა არა აქვს სამართალია
თუკი რომ მოკლე დღის ვიყავ რაღათ მარგუნა ქმარია
ვერ გავძეხ მის სიყვარულით და მასზე დამრჩა თვალია
აწ ნუღარ სტირით მშობლებო ბევრი გყავთ ამხანაგია
შენც გმადლობ ჩემო მეუღლევ რომ ეს ქვა დამაფარია

საფლავის შინა მდებარე ვარ
მარიამი [...] მეუღლე [...]
გარდაიცვალე ჩყპი წელსა
მხილველნო თითო პირი შენდობა მაღირსეთ

ამ უბედურმა სიკვდილმა
რა უდროოდ მიგდო მახე
თერთმეტი წლის ნორჩი ქალი
შავ მიწაში დავიმარხე

მახსომს წუთისოფელი
დავდიოდი მთელათა
მე მეგონა სიცოცხლე
მექნებოდა გრძელათა
უცბათ შემხვდა სიკვდილი
წამაქცია ხელათა

ოხ მუხთალო სოფელო
რათ დამიბნელე დღენია
22 წლისა ჯეილსა
უცფათ მამხვიე ხელია

უფალო შეიწყალე ჩემი ქორფა სული
ნინა ფეიქრიშვილი მიხას ას
1906-1908-ში თიბათვის 15-ში



ახალსოფელი (ალგეთის ხეობა)



ხოძანაური (თეთრიწყაროს რ-ნი)



გომარეთი (დმანისის რ-ნი)



ახალსოფელი (ალგეთის ხეობა)





ჭობისხევი (ბორჯომის რ-ნი)



ხეცე (მოლეწვეთი)



წალკა

*

მე ალექსა ქერიეთშვილი
ვარ სიმონას ძე
თუ ეს ბედი დამყვებოდა
რათ დავიბადე
მე რო დედას გავუჩნდი
რათ გავიზარდე
მონასტერში გამიტყვილა
ხაზეინმა მე
გულში ღალატი სდებია
რა ვიცოდი მე...

სამთავისი (კასპის რ-ნი)

*

არ დაჰზოგა სიყრმე ჩემი გაუკითხავმან
სიკუდილმან ჟამსა ახალ ყვავილოვანსა
ასაკისასა რომელმანცა ვითარცა მახვილმან
მომკვეთა სიცოცხლისაგან და განმაშორა მე
ასული ამილახვარის იოსებ ყორღანოვისა კნეინა
ქეთევან თავადის იასე ამილახვრისა საყვარელსა
[...] ორბელსა ძმათა და ტომთაგან რომელთაც
დაუტოვე ორნი ობოლნი იოანე და კონსტანტინე
და გაველ ნატრული ამათი ამა სოფლისაგან
მხილველნო ვთხოვ სულსა ჩემსა შენდობა უბრძანოთ

ჩყკჱს მარტს 3 სა

სურამი
(დედათა მონასტრის ეზო)

მომიხსენე მე უფალო ოდეს მოხვიდე სუფევითა
შენითა ლოდსა ამასა ქვეშე მდებარე მხილველნო
შენდობას ვითხოვ

მ იდუმალო სიკვდილო კაცისა უკან მდევარო

კარალეთი (გორის რ-ნი)

*

მოუწყდი წუთი სოფელსა
ვითარცა ახალნერგი ზეთისხილისა
გარემოს ტკბილისა მამიჩემისა
მეორე სკოლაში მყოფი რაჟდენ
სოლომანის ძე ოქროპირიძე
ჩყჲდ

ერგნეთი (გორის რ-ნი)

*

საფლავსა ამასა შინა მდებარე
ვარ სოსია გოგიას ძე
დოინჯაშვილი ვიყავ ასის წლისა
წამკითხველნო შენდობა ბრძანეთ
ჩყო-სა

ზემო ნიქოზი (გორის რ-ნი)

მომიხსენე მე უფალო
ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა
მე მხევალი შენი კნეინა
ელენე ქაიხოსროს ასული ფაელენიშვილისა
1809 წ. - 1899 წ. იანვრის 25

ფხვენისი (გორის რ-ნი)

მომიხსენე უფალო ამა ლოდსა ქვეშე
მდებარე სტეფანე ეარძელაშვილი
წამკითხველნო შენდობა მიბრძანეთ
ჩყოდ...

შინდისი (გორის რ-ნი)

სიკვდილმა განმაშორა მეცხედრესა ჩემსა
აზნაური დიმიტრი გარსეეანიშვილის მეუღლე
სოფიო აჰა მიწა შემირთამს მიწას ხოლო
სული ჩემი წარემართა მუნ სადაცა არა რაის
მეცნიერ ვარ ამის სიძემან ამან ლეეან ნაბიჭვრიშვილმან
მიღვაწა და დამდვა ლოდი ესე
საუკუნოდ სახსოვრად ჩემდა ჩყჲდ წელსა

ვარიანი (გორის რ-ნი)

მე საწყალობელი განჩინებისა
ღვთისათა ვიქეც მიწა მიწადვე
და დავუტევე მგლოვარედ
საყვარელნი პატარანი
შვილნი ჩემნი.



ახალსოფელი (ალგეთის ხეობა)



გომარეთი (დმანისის რ-ნი)



გლდანი (მცხეთის რ-ნი)





ფარცხისი (ალგეთის ხეობა)



უბისი (ხარაგაულის რ-ნი)

1896 წელსა მარიამობის
15 გარდაეიცვალე
აქა მდებარე ვარ ნონა
მიხა ჯირკველიშვილის
მეუღლე 24 წლისა

სული კაცისა მსგავსია წყალთა
ციდან ჩამოდის, ცაში ბრუნდება

ეს ქვა დამადო თავისს ძვირფასს
დედას შვილმა იაკობმა
მოიხსენიე უფალო სასუფეველსა შენსა
ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა სოფლის
ყოვლად წმინდის ღუთის მშობლის
ეკლესიის მღუდლის სვიმონ
გოგებაშვილის მეუღლე მაგდან
გარდაცვალებული ჩყოგ-სა წლის
ნოემბრის ე-სა დღესა შობითგან
ჲა-სა წლისა აღმომკითხველნო
შენდობა უბრძანეთ

კონჭკათი (ლანჩხუთის რ-ნი)

ვიყავი თქვენსავით
იქნებით ჩემსავით

ხონი

[...] შინა განისვენებს ხევა
[...] იმ ხუთისა
ელისაბედ ცაგას ასული
მეუღლე ალექსანდრე [...] უჭიანი ძისა

*

ფეოდოსია ბესარიონის ასული
მაჭარაძე – სანაძისა
1883-1964
ოცდაერთი წლის დავქვრივდი
სიცოცხლე შავში ვატარე
ორი ობოლი გავზარდეთ
და მტრები არ გავახარე
წავედი გული არ დაგწყდეთ
არ დამივიწყოთ მშობელი
ვიქნები თქვენთვის შვილებო
შავ სამარეშიც მლოცველი

შვილებისაგან

ჭოგნარი (თერჯოლის რ-ნი)

*

ლოდსა ამასა შინა
განისვენებს ელიკო
ნიკოლოზის ძე კობრახიძე
გარდაიცვალა 1911 წ [...]

ქვემო ხანდაკი (კასპის რ-ნი)

*

აქა განისვენებს მზელი მღ
ვთისა [...]
ყამალაციძის
და მეუღლე მიხა
მამულაშვილისა შობიდან
19 წლისა გარდაიცვალა
თებერვლის 15 სა
წამკითხველო შენდობა
მიბძანეთ
შენ უფალო ოდეს მოხვიდე
სასუფეველსა შინა შენსა
მარიამი ესტატეს ასული
მომიხსენე

საყვარელი შვილი ვიყავ ჩემის
დედ მამისათვის სიკვდილმა არ
მომცა დროება მოვწყდი წუთის [...]



თეთრიწყაროს



წეყრა თეთრიწყაროს



წავკისი (გარდაბნის რ-ნი)



მცხეთა



წავკისი (გარდაბნის რ-ნი)







გუდალეთი (ჯავის რ-ნი)



წყერი (თეთრიწყაროს რ-ნი)

ႢႨႭႰႢႨ ႠႪႤႵႱႨႱ ႻႤ ႪႠႸႵႠႰႠႸႥႨႪႨ
დაიბადა 1910 წ.
გარდაიცვალა 1928 წ.
9 იანვარს
გამოვესალმე წუთისოფელსა
ჯიელ ახალგაზრდა სიცოცხლით
გამომასალმა [...]
ტოლ ამხანაგსა
ტურფა ქვეყანას
დიდი სურვილი მქონდა სწავლისა
აღარ დამცალდა მე უბედურსა
ჩემი წიგნები და
მომავალი მიმაქვს მე თანა
ბნელ სამარესა
ლოდით ამსილსა ქვეშა
მდებარე არს გვამი ახალგაზრდა
დაბადებიდან 18 წ.

თვალადი (კასპის რ-ნი)

*

აქა განისვენებს ႥႠႬႭ
ႱႭႪႭႫႭႬႨႱ ႻႤ ႸႠႷႳႪႠႸႥႨႪႨ
ვიყავ ხუთი ვაჟისა და
ერთი ქალის [...]

გუდალეთი (კასპის რ-ნი)

*

[...] ႤႩႭႪႠ ვარ გლეხიშვილი
ႫႭႣႰႤႩႨႪႠႻႤႭ
გუდალეთში მცხოვრებელი
იქ გავიზარდეო
ყველა ხელობა ვისწავლე
როცა შევიძლეო
18 წ. რო გავხდი
ცოლი შევირთეო
მასთან სიცოცხლე მწადა
ერთად სიბერეო
კარქი სახლები დავმართე
კარქაც მოვეწყეო
35 სა გავხდი
ზნე შევიცვალეო
ტყვილი ცილი მომდეს
ვერ მოვითმინეო
გ. 1931 წ.

ამ ოხერმა სიკვდილმა
რა უდროვოთ მიგდო მახე
მამაშორა წუთისოფელს
შავს მიწაში დავიმარხე

ႤႪႨႽႩႠ ႠႬႃႰႭ ႦႠႵႠႰႨႠ
႘ႥႨႪႨႱ მეუღლე ႫႭႃႰႤႩႨႪႠႻႤ
ႥႠႬႭႱ ႠႱႳႪႨ
გ. 1931 წ.
იანვრის 15

ნოსტე (კასპის რ-ნი)

*

ამ ქვას
ქვეშ
განისვე
ნებს გიგო
საბიაშვილი
33 წლისა
[...] 1922 წ.
ენკენისთვესა

ამა საფლავსა ქვეშე მდებარე
გვამი ႨႱႠႩ ႤႱႲႠႲႤႱ ႻႤ ႩႳႰႱႠႻႤ
გარდაიცვალა 1917 წ.
აპრილის 20 სა
დღესა შობიდგან
38 წლისა
იყო მშრომელი
ოჯახის ერთგული
გუთნისდედა
საქონის მოყვარული
წამკითხველნო
შენდობა გეიბრძანეთ

1937 წ
გამოვესალმე
მზიან ქვეყანას მე
დავიბადე 1918 წ. ႥႠႱႭ
ႃႠႧႠႱ ႻႤ ႱႨႃႠႫႭႬႨႻႤ
[...]



წყურაანთკარი (თიანეთის რ-ნი)



ბოგვი (თეთრიწყაროს რ-ნი)



ბიწმენდი (მცხეთის რ-ნი)







ურბნისი (ქარელის რ-ნი)

წამოველი ნამქერმა მომსპო
მე მარტში ხელობით ვიყავი
პარეკმახტერი
არც ვიყავი ხალხნო მე
ცუდი ზნის
უდროთ მიწამ
დამიწყო ჭამაო
როცა შევსრულდი
მე 20 წლ
წამკითხველნო შემიწყალეთ

ნინარეხი (კასპის რ-ნი)

ალექსი ბერბიჭაშვილი გაბრიელის ძე
სიცოცხლით გაუხარელმა
სიზმარი ენახეო
მოვიდა ჩემი არჯალი
უნდა წამამყვეო
ათი დღე ვიყავ ავათა
სული დავლიეო
ჩემო გვირგვინის ანიკო
ბევრს ნუ მიგლო [...]
ჩემი ობლები ნუგეშათ
დაბადებიდგან 35 წლის
გარდაიცვალა 1913 წ.

ლოდსა ამას ქვეშე შთაიბნა მტვერი
გიორგი ივანეს ძის უჭუჭიშვილისა
შობიდგან ჲ ის წლისა
აღმომკითხველნო შენდობას
გვევედრებით ჩყო სა წელსა
მარტის იბ დღესა

ქვემო ბოდბე (სიღნაღის რ-ნი)

ამ უბედურმა სიკვდილმა უდროვოთ მტაცა ხელია
შავი მიწის შამოცქერა ვაი როგორ ძნელია
პატარა წვრილი ცოლ შვილზედ ამაღებინა ხელია
12 წლის ჯვარნაწერი დამრჩა იმაზე თვალია

ორი ვაჟი ორი ქალი დავტოვე ეს რა ძნელია
მეუღლეს ვთხოვ დამიზარდოს არ გაახაროს მტერია
ალექსი გეგენას ძე მაჭარაშვილი
გარდაიცვალე 1919 წ.
იანვრის 1 სა
შობიდგან 38 წლისა

წამკითხველნო შემიბრალეთ 10 წსა ჯვარნაწერი
ვემალები ჭირსა სამი ძმა ვართ ბოდბეში სა
ნატრელი სხვისა ვასილი სტეფანეს ძე ჩუთლა [...]
მოყვარული ცხვრისა [...] სა გვევე
მშვიდე 2 ძმასა და 2 პატარა შვილსა
შეუდექი მთის გზასა [...]
ჩუთლაშვილი გიო სოსოს ძე
დაიბ. 1892 წ. - გარდ. 1944 წ.
გულმხნე მეცხვარე ვიყავი
მიყვარდა ლხინი და გარჯა
მაგრამ სიკვდილმა მძლია
და დამიდუმა მაჯა
მეუღლევ ჩემო ჯავრი
აქაც მსუდრავს და მტანჯავს
რადგან ძმისწულის ქმარის
ამბავი ჯერაც არ ჩანს
ოჰ არ მიყვარდა ცრემლი
და ნურც მიტირებთ ხშირად
დაე შინ ვისაც ელით
ის დაგიბრუნდეთ გმირად
და ვინც კი ცოდვით უმზერ
საფლავს გახსოვდეს ერთი
დიდება არ მსურს მეტი
ჩემს ხსენებასთან პურზე
დაეცეს ღვინის წვეთი

სახსოვრად მეუღლე მარიამისგან

ქვემო მაღარო (სიღნაღის რ-ნი)

*

გენაცვალე ძმაო რომ არ გატეხე შენი ფიცი
წახველ და ქვა მამიტანე ჩემი გული გაახარე
ვენაცვალე მახალოსა რომ გულზე ცრემლი
დამაყარა მე დიდი მადლობელი ვარ
აგაშენოს შენ მანდ ღმერთმა
[...] 1900 წ. შობიდან [...]
გიორგა უსენაშვილი ტიტიკოს ძე



ქვემო ალვანი (ახმეტის რ-ნი)



მანავი (საგარეჯოს რ-ნი)



წყლულეთი (თეთრიწყაროს რ-ნი)







[illegible]

*

ძმებნიც ამ დროს გამეყარენ ყველას უბედობას დახე
48 ა წლის ჭაბუკმა სიკვდილისა გემო ენახე
და გთხოვთ ნუღარ მიგლოვთ თითო შენდობა მიბძანეთ
ნიკოლოზ აბრამის ძე უსენაშვილი

ნუკრიანი (სიღნაღის რ-ნი)

*

თორმეტი წლისა გავხდი ავათა
დედ მამის გულის დასაწვავათა
მეორე კლასის მოსწავლეს ერგო
[.............]
პრაჩეტნიკ სტეფანე მესტიაშვილის ძე
გარდავიცვალე 1888 წ. სეკტემბერსა

*

ამ უბედურმა სიკვდილმა რა უდროვოთ მიგდო მახე
წუთის სოფელს მომაშორა შავს მიწაში დავიმარხე
დედაჩემი ათი შვილის დედა იყო მე ვიყავი დედის
ერთა ცრემლს ჩემიდან მოელოდა მანამ მე ვეყოლებოდი
დედას მოუკვდა ხუთი კვირის პატარძალი ქალი
წლის თავზედ მე ვეყოლე იჯდა დედა შავის გულით
რადგანაც ძუძუს მაჭმევდა თან ცხარე ცრემლს მაყრიდა
იმ დამწვარის გულით გამზარდა რვის წლისა რომ გამხადა
მიმიყვანა შკოლაში თოთხმეტი წლის რომ შევსრულდი
მივებარე შავს მიწასა ზედ მაყრიდენ ცხარე ცრემლსა
ვარ მე ბასიკოს ასული
ბაბალე ყანდაშვილი
დავიბადე 1895 წ. გიორგობის 1 სა
გარდავიცვალე 1909 წ. თებერვლის 21 სა

*

არც მე დამინდო განგებამ
ულმობელ წუთის სოფელმა
ადრე და მალე მომწყვიტა
სიკვდილმა ყველგან მყოფელმა
ვერ გაიხარეს ჩემზედა
ქმარმა შვილებმა მშობელმა
გამომასალმა უდროვოთ
უფალმა ყველგან მყოფელმა

ნატალია მეუღლე შალვა მჭედლიშვილისა
გარდაიცვალა 1899 წელსა
ენკენისთვის 27 სა შობიდგან
ვიყავ 28 წლისა

ქვემო ქედი (დედოფლისწყაროს რ-ნი)

... არვის ასცდება სიკვდილი...

არხილოსკალო (დედოფლისწყაროს რ-ნი)

ივანე მამუკას ძე ჭიკლაური
1918-1981

ხახონ ორ კიბალაური,
ჭალარაშამამავალი,
ვიცი, იქით ორ წამსვლელი,
წაოლ აღარ როს მავალი,
ბევრი ვთქვი ჩემი სათქმელი,
უთქმელიც მრჩება მრავალი.

მაქართა (გუდამაყარი)

*

[...] სიკვდილო რა ჩემზე მაიცალია
უწილო შაუწყინარი
სამშობლოს გამაშორია
ცოლი ტიალად დავაგდე
უწილოთ დავიკარგეო

ამ საფლავს შინა განისვენებს თადია
თადიას ძე ჭიკლაური გარდაიცვალა 1919 წ.
თებერვლის 5-ში 60 წლისა მერებიანთი
დამფასა მეუღლემ ქალთამზემა
მნახველნო შენდობა მიბძანეთ

ამ საფლავსა შინა განისვენებს
დავით ბერის ძე ჭიკლაური გარდაიცვალა 1918 წ.
გიორგობის 5 ში 18 წლისა დამფასა
მშობლებმა და ძმებმა გიორგიმ და სტეფანემ
მნახველნო შენდობა მიბძანეთ



ურბნისი (ქარელის რ-ნი)



ურბნისი (ქარელის რ-ნი)



ორმოცი (ატენის ხეობა)







[illegible]

წინამხარი (გუდამაყარი)

*

აქ განისვენებს გიორგი იოსების ძე
აფციაური გარდაიც. 1931 წ. იანვრის 25 დ.
25 წლისა დამფასეს მშობლებმა
წამკითხველნო შანდობა მითხარით
უდროდ მკვდარი ვარ დედისერთაი

აქ განისვენებს მიხა ნინიას ძე
აფციაური გ. 1929 წ.
შობიდგან იყო 16 წ.
ამ ლოდით დავფასე დედამ ეფენიამ
მხილველნო გთხოვთ მოიხსენიოთ საბრალო
ზვავისგან დალუპვილი

აქ განისვენებს ნიკო მახარობლის ძე აფციაური
გ. 1929 წ. შობიდგან იყო 16 წ.
ემ ლოდით დავფასეთ ძმამ და მშობლებმა
მხილველნო გთხოვთ მოიხსენოთ

თორლა გივის ძე აფციაური წლისა
ვარ 65 ს ვინც ეს ლოდი წაიკითხოთ
შენდობა ბრძანოს გარდავიცვალე
[...] ამა 1881 ს ენკენის 13 დღეს

აქ განისვენებს ადამი თორლაის ძე აფციაური
გარდაიცვალა 1933 წ. 1 მარტს წლოვანი იყო
120 წ. ემ ქვით დამფასეს შვილიშვილებმა
და წამკითხველნო შენდობა მაღირსოთ

ქალისოფელი (მთიულეთი)

*

აქ განისვენებს ლუკა ნინიას ძე მამულაშვილი
გარდაიცვალა 1915 წ. 25 წლისა დამფასა
ძმამ ალექსიმ
წამკითხველნო შანდობა მითხარით

ქვემო ლისი (მცხეთის რ-ნი)

მოუშორდი ქმარსა და ცხრა შვილსა
დანდობა არ ქონია ოხერ სიკვდილსა
ლხინი არასდროს მაღირსა შამყარა ჭირსა
გამამასალმა წუთისოფელმა ქმარსა და
შვილსა ვერ შევესწარ დიდი შვილის
ბედნიერებას მე აქ არ [...] ღმერთმან
წაველი [...] ქეთევან მარინიაშვილი
შობიდ. 40 წ.

ცოტა ხანი შედექ ძმაო
ჩემ ქვიდამა გქონდეს სმენა
მიწის პირზე მეც ვლიდოდი
მეგობრებთან მქონდა ლხენა
სუფრა მქონდა გამართული
არვის ახსოვს ჩემი წყენა
უცებ სიკვდილმა მიპოვა
მზე ჩამიქრო ვწევარ ბნელა
ვინც ცხონებით მამიგონოთ
თქვენ გიცოცხლოთ პირი ენა

ბოდბე (სიღნაღის რ-ნი)

პირველისა დედისა ჩემისა ევას
ძლია განსაზღერებულმან უწყალოსა
სიკვდილისა მანგალმან მომკვეთა
მეცა და შემამწყვდია ამას ლოდსა ქვეშე
საუკუნოთა პყრობილებითა რომელ ვიყავ
თანამეცხედრე თავადის იმერთა მეფის
სოლომონის სარდლის და როსიის
პოლკოვნიკის და კავალერის ქაიხოსრო
წერეთლისა კნეინა ქეთევან
რომელმან მივიღე აღსასრული სოფელსა
შინა მელაანს სახლსა სიძისა ჩემისა
პოლკოვნიკის თავადის იესე ანდრონიკოვისა
მეუღლემან მისმან და ასულმან ჩემმან
სალომემ შემვედრა წმიდასა ამას ტაძარსა
დამტევებელი საწუთსა ამის სოფლისა
7 თებერვალს 1864 წ. შობიდგან 77 წლისა



ტაბახმელა (გარდაბნის რ-ნი)



წყერი (თეთრიწყაროს რ-ნი)



ქვემო ხანდაკი (კასპის რ-ნი)









.ბა (დმანისის რ-ნი)



ხლოუბანი (ვანის რ-ნი)

წვერი (თეთრიწყაროს რ-ნი)

მე დრეველი ქალი ვიყავ წვერეთელი პატარძალი
რომ უდროვოთ დავაღონე ის ჯეილი ჩემი ქმარი
მეც გვირგვინი გამიშავდა სიკვდილისა იყო ბრალი
[...] ავასრულე ჩემი ვალი
[...] ასული მიხა ჭიკლაურის მეუღლე

მომიხსენე მე უფალო ოდეს
მოხვიდე სუფევითა შენითა
ვარ ნინე ადამ ჭიკლაურის ასული
2 წ. გარდავიცვალე 1913 წ.
შენდობა მაღირსეთ

1912 წ. თებერვლის 25 ს გარდავიცვალე
ივანე მელიქაშვილი დავითის ძე
მოთავე ვარ გიორგი მელიქაშვილი
ქვას ვადებ

მე წილკნელი ქალი ვიყავ წვერელი პატარძალი
რომ უდროვოთ დავაღონე ის ჯეელი ჩემი ქმარი
მეც გვირგვინი გამიშავდა სიკვდილისა იყო ბრალი

აქ განისვენებს მავსიმ სოლომონას ძე
გარგუზაშვილი გარდაიცვალა 1919 წელსა
მაისის თვის 25 სა ვიყავი 38 წლისა

პანტიანი (თეთრიწყაროს რ-ნი)

მე თეგეთაშვილი შალვა არ ვყოფილვარ
დიდი დღისა მეცხრე კლასს რომ ვამ-
თავრებდი ვიყავი 16 წლისა
მუხთალმა წუთისოფელმა ეს რაღა
მე მომარგინა ამ ქვეყნად არ გამახარა
შავს მიწაში მომცა ბინა
1922-1938 წ.

ზემო მლეთა (მთიულეთი)

1861
ამა საფლავსა ნამდებარე
...ნაზღაიძის ასული ნინო ვიყავ
ი...წლის...

სეფე (მთიულეთი)

*

დამფასა მშობლებმა და ძმებმა
წამკითხველნო შენდობა მითხარით
უდროოდ მკვდარი ვარ...

*

აქ განისვენებს... გიორგის ძე
ბუჩუკური გ. 1912 წ. აპრილის 25-სა
ეს ლოდი მიქმნა ჩემმა მეუღლემ
მარიამმა. ვიყავ 55 წ. მხილველნო
გთ. მომიხსენიოთ.

მედიკო გიორგის ას ებრალიძე
1948-1973
შენს ტირილში მე არ მოვალ,
არ დაგხედავ კუბოს მძინარს,
ჩამქრალ თვალებს არ ვიხილავ,
არც ბაგეებს გაუღიმარს.
სანამ მკერდში გული მიცემს
და შენს სურათს ვუცქერ ვიდრე,
არ მოგავლებ შავ არშიას,
მკვდრად არასდროს წარმოგიდგენ.

დამფასეს მეუღლემ
და მშობლებმა

არახვეთი (მთიულეთი)

ბურდული ნენე ნიკოს მეუღლე
1976 წ 86 წლისა
დამფასა ჩემმა შვილმა ალექსანდრემ









([illegible])









ბობნევი (ატენის ხეობა)

დაიბადა 1913 წ. გარდაიცვალა 1950 წ. 6 ივნისს
1941 გაწვეული იყო სამამულო ომში
შესწირა
სახსოვრათ ძვირფასი ცოლისგან
ამ საფლავსა შინა მდებარე სარდიონ
გიორგის ძე ქერდიყოშვილი

ორმოცი (ატენის ხეობა)

მომიხსენე უფალო საფლავსა აქა მდებარე
კოტუშმელაზძე მაყოშვილი
ვითხოვ შენდობასა
1905 წ. კათათვის
7 დ.

ბერბუკი (გორის რ-ნი)

პელა ნიკოლოზის ას გიგაური
1901-1952
სერგა გიგაურის მეუღლე
უკანასკნელი სახსოვარი
ქმარ-შვილისაგან
ტანჯულო ბედო მე შენ გენდური
რომ არ მაცალე ქმარ-შვილის ცქერა

ხელთუბანი (გორის რ-ნი)

...ქობლიაშვილი
დღეს მიწისა ვარ მტვერია...
მომიხსენე მე უფალო
სასუფეველსა შენსა
...მონასა საფლავსა აქა მდებარე ვარ
არტემ გიგიას ძე ქობლიაშვილი
გ. 1913 წ. ღვინობისთვისა 25 წლისა

რა ხარ შენ შავო სიკვდილო
რისთვინ მამწყვიტე წელია...

*

დაიბადა 1921 წ. გარდაიცვალა
1937 წ. ქრისტიშობისთვის 18
თამარა ქეელიძე მიტრას ასული
ვაიმე დამიბნელდა მზე ჩემი ჩემო

*

აქა მდებარე ზორბა ფალელაშვილი
დაიბადა 1867 წ. გარდაიცვალა 1931 წ.

*

მიხა ვიყავი ყანისა მტერია დავა
დექ ყანასა ადრე ავიღე ხელია

## გლდანი (მცხეთის რ-ნი)

მომიხსენე შენ უფალო
ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა
ლოდსა ამასა ქვეშე განისვენებს გვამი
ამა ეკლესიის მღვდელი ანტონ
ჩიქოვანისა

შობიდგან ვიყავ 66 წ-სა
გარდაიცვალა 1844 წე. ივნისის
28 დღე-სა
წამკითხველნო გთხოვთ
შენდობა მალირსოთ

*

ვაი სოფელო შეჩვენდეს შენი საქცევალ – ია
ჩემებრ ნორჩის სიკვდილი შენთვის რა სახელია
ხელის მუწუკმა დამადნო სრული ერთი კვირის წამია

*

დედავ მშობელო ეს მუდარე ბა
გთხოვ ამისრულო ჩემი ვედრე ბა
როგორც მოუელი ჩემსა შვილებსა

თედო ქარშაულის მეუღლე ნინო
გარდაიც. 1890 წ ენკენის თვის 10 სა









პეტრე-პავლეს სასაფლაო, თბილისი



ძაჟრისი (გუდამაყარი)



გომარეთი (დმანისის რ-ნი)

მეტეხი (კასპის რ-ნი)

12 კაცის სარჩალი ამ ქვას
ადებს ლუკა თავის შვილი
იოსებ ოდოშაშვილი...
76 წლის გარ 1924 წ. მეცხვარე

მეუღლურათა ღმერთმაც უსრულა ნატერაი არ
იტანჯა დიდი ხანიო ათი დღე ავათ ამყოფა მეტი
არ გაამწარაო მეუღლე ობლათ დავტოვე თავს ვაი
დამაყარაო მეც ანდერძი შეუსრულე ჩემსა ერთგულ
მეუღლესა ლოცვა-ვედრებას არ ვაკლებ სანამ შევყურებდე
მზესა ვმადლობ უფალო რათ შეიშურე სიცოცხლე
უწყალო სიკვდილო მტერო და უკან მდევარო
მაცნობე საით მპატიჟობ უდროვოთ მაწვევარო უდროვოთ
მეცა ლახვარი ცრუ სოფელს მამაშორა ცხოვნებით
გახარებული სიხარულს მამაშორა სახლი ნივთით
სამსე დამრჩა ჩემს გვირგვინს მოახმარეს ჩვენ
ვირჯებოდით ძმურათა ერთგულათ

დღე ჩემი არგოს ძმურადა
ცხოვრება ჩემი მარიამი ვერელი
სოსიკოს მეუღლე ვმადლობ
უფალსა მიიბარა სული
ჩემი...
1912 წ
გთხოვთ შენდობას

*

...წაველ უმანკოთ...

დუშეთი

*

იძინე დიდებულო მოხუცო წიაღთა შინა
ჩვენც დაგვიდგება დრო სანეტარო და
შენთან ერთად გვექნება ბინა ლოდსა ქვეშე
განისვენებს...

*

კარგუნახავი ვიყავი მე ამ წუთისოფელშია

*

ვინც მე შენდობას მალირსებს იმათ იარონ
მხიანი გარდა 1917 წ მკათათვის 26 სა

*

ჰოი ზენარო მამა უფალო ახლათ ავყევავდი მე ჩემ
ქმარშეილში დახე ჩემ ბედსა უდროვოთ დავჭკნდი
სახლი დამრჩა ცრემლით სამსე ვარქვი სიცოცხლეს
უბრალო ჩალა კლიტე დაუდე საყვარელ გვირგვინს

### პირმისაანთკარი (დუშეთის რ-ნი)

*

მომიხსენე მე უფალო გორა იასეს ძე
პირმისაშვილი ვიყავ 35 წლისა
ყვავილმა მომიღო ბოლო დამრჩა ობლები
მეუღლე ღმერთო კარგად შემინახე

### ახალდაბა (ბორჯომის რ-ნი)

...ძე ბლიაძეს – იყო 5 თვისა
იცვალა 1884 წ სა

მიხაკო იყო 9 წლისა
გარდაიცვალა 1891 წ
გიორგობისთვის

მიმაქცია მიწა მიწად
სწუხრან ჩემთვის დედ მამა
ჰყრიან ცრემლსა
გვედრებით შენდობა...

### ჭობისხევი (ბორჯომის რ-ნი)

მომიხსენე მე უფალო ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა
ამ ლოდ ქვეშე მდებარე სარდო გოგოლაძე
შობიდგან ვიყავ = კთ წლისა გარდავიცვალე
ჩყპმ წელსა თიბათვის ც





დუშეთი



ტიმოთესუბანი (ბორჯომის რ-ნი)



დიდი თონეთი (თეთრიწყაროს რ-ნი)







პანკისხეველები (ჯოყოლოს)

*

ჵ უბედურმა სიკვდილმა
რა უდროვოთ მიგო მახე
მამაშორა წუთისოფელს ავი
კარგი ვერა ვნახე

ბარიშნა ყმარწვილი ქალი
მამწყვიტა ვარდის შტოსავით და
ამ ლოდს ქვეშ დავიმარხე
ᲝᲚᲦᲐ ᲞᲔᲢᲠᲔ ᲚᲝᲛᲡᲐᲫᲔᲡ ᲐᲡ
გარდაუიცვალე 1896 წ. ენკენისთვის 7 დღესა
20 წლის გთხოვთ წამკითხველნო
შენდობა მიბრძანოთ

*

აღარც მალირსა უბედურს
მოყვანა მიჯნურისაო
და ჯვარის წერა კურთხევა
წითელი გვირგვინისაო.
აღსრულდა ღვთისა განგება
შვილი ვარ ამ ლოდისაო
ოეიწყეთ თქვენი არჩილა
მუხთალი ამა სოფლისა

დაიბადა 1889 წ. გარდ. 1909 წ.
ᲐᲠᲩᲘᲚᲐ ᲘᲝᲡᲔᲑᲘᲡ ᲫᲔ ᲚᲝᲛᲡᲐᲫᲔ
მკითხველო შენდობა მითხარ
უბედო არჩილასაო
უგვირგვინოთა წასულსა
პატარა დახლიდარსაო
სიკედილმა გამომასალმა
ჯეელი ოცი წლისაო
ალარ მალირსა ტირილი
მოხუცი დედ მამისაო

დვირი (ბორჯომის რ-ნი)

*

ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲡᲐᲐᲠᲢᲐᲙ ᲜᲘᲙᲐᲚᲐᲡ ᲫᲔ
1936-1964
გავიკეთე ოპერაცია წელის არეში
თითქოს გადავრჩი გადავიტანე
მაგრამ ჩემმა ბედისწერამ
მაინც მომძებნა თან წამიყვანა
დავტოვე მშობლები, გამწარებული
ცოლ-შვილი, ქვრივად
ამას გთხოვთ ძმებო და დებო
არ აგრძნობინოთ უჩემობა

მზეთამზე (ბორჯომის რ-ნი)

აქ განისვენებს ელენე ბაგრატის ასული
გოგოლაძისა
დაიბადა 1913 წელს
გარდაიც. 1935 წ.

ვარდსა დამაშორა
ცხელი გული გამიყინა
ჯოჯოხეთზე შემიცვალა
მე სამოთხის მზგავსი ბინა
მომაშორა მე მზე მთვარეს
შავ სამარეს ჩამაწვინა
ვერც ექიმა ვერც წამლებმა
ვერც მიჯნურმა მომარჩინა
ელენა გოგოლაძისას
აქ მარგუნა მარად ბინა
წამკითხველნო მომიგონეთ
ეს ძეგლი დგას ხსოვნისთვინა

სოფ. ვალე
(კათოლიკეების სასაფლაო)

სიმონ მანველიშვილი
1936-1987
მიყვარდა კითხვა, ქეიფი, თქმაცა
ცოდნამ, ბრძნულ სიტყვამ დამავაჟკაცა
გულმა მიმტყუნა, დამიბნელა ცა,
გვერდს ნუ ამუვლით, გამეცით ხმაცა.

აქ მიიცვალა ოვანე გრიგოლის ძე
გოჩალოვი არის... გლოცავთ მისი კეთილი სული
დაიბადა წ. 1841 გარდაიცვალა 1967 გამსვენებ
საუკუნო...

(მართლმადიდებლების სასაფლაო)

უფალო შენ გესავ და შენ მაცხონე
მე მხევალი შენი... ივანე კოააძის მეუღლე



ნაღვარევი ([illegible])



მარაბდა (თეთრიწყაროს რ-ნი)



მაქართა (გუდამაყარი)



გომარეთი (დმანისის რ-ნი)



წინამხარი (გუდამაყარი)



იფარისწყაროს



ფარცხისი (ალგეთის ხეობა)

*

ამირან ევსტაფიევი 1927-1960

რა ვიცოდი რომ ეს წუთისოფელი
სხვის უწყინარს ასე გამიწყრებოდა
და ცხოვრების ხიდი ძნელ გასავალი
შუა გზაში უცებ ჩამიტყდებოდა

ასპინძა

*

მალხაზ გიორგის ძე მელიქიძე 20 წლის

ტრაგიკულად დაიღუპა საქართველოს
ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის
ბრძოლაში
1972-1992
ბევრგან დამახალეს ტყვია
ვიდრე საწუთროდან წაველ
მაინც საქართველო მტკივა
ყველა ნატყვიარზე მწარედ

ნაღვერი (ბორჯომის რ-ნი)

*

ამ ლოდსა ქვეშე განისვენებს სიობლეში
აღზრდილი ჯერ კიდევ ჭაბუკი გიორგი
ქოქიშვილი რომელსაც მსურდა დავმტკბარიყავ
ტურფა სამშობლოს თვალწარმტაცი ბუნების
ცქერით განუკურნავმა ჭლექმა უდროვოდ
დამიჭკნო ახალგაზრდული სიცოცხლე
გთხოვთ რომ არ დამივიწყოთ
დაიბადა 1898 წ 8/X
გარდაიცვალა 1923 წ 8/I

ტაშისკარი (ხაშურის რ-ნი)

*

ოთარ ლომსაძე 1926-1946

წამოდექი დედის ერთავ
არა გშვენის ვაჟკაცს ძილი
დაინახე უშენობით
გადაყვითლდა ბაღში ხილი

ლერი ლომსაძე 1940-1964
როგორ მწყუროდა სიცოცხლე
ქვეყანა ღრმად რომ მეხილა
ჩემს ტოლთა შორის მგზნებარედ
მეშრომა კიდეც მელხინა
გახსოვდეთ ნუ დამივიწყებთ
სიცოცხლის ნატრულ ლერისა
რომლის ჭაბუკურ ოცნებას
გაფურჩქვნა აღარ ელირსა
ხანდახან შუბლს რომ შემითბობს
ვიცი დედიკოს ცრემლია
ალბათ უჩემოდ ქვეყანა
ისევ დიდი და ვრცელია

ნაბახტევი (ხაშურის რ-ნი)

საფლავსა შინა მდებარე ვარ ავნანაკის
ხელით შეცდომით კვდარი გრიგოლ ივანეს ძე
მჭედლიძე იყო 27 წ. გარდაიცვალა
1918 წ. მაისის 24
იყო უცოლო

ივლიტა (ახალციხის რ-ნი)

ანტონ ვიყავ ხუთის წლისა
მე დაგუნდათ პეტრესთვისა
მიზეზით სვრისა სენისა
ვხილე პირი ზეცას ღვთისა

უფლისა მხევალი მარიამ პარუნონას ასული
მეფისათ ანტონასთვის მეცხედრეთ სოფლად მოსული
ნორჩი ჰასაკით მოცვლილი ორმოცდა ათ წელს ასული
ლოცვეით უფალს შემავედრეთ ღვთის სამართალს წინ მისული
1819 მარტ. 20



ჯანძა (ბოლნისის რ-ნი)



ჩხიკვთა (თეთრიწყაროს რ-ნი)



სამშვილდე (თეთრიწყაროს რ-ნი)







საძვალე [illegible]

ახალციხე (რაბათი)

დაიბადა 18 25/VII-58
ეს საფლავი დიაცისა შეიდი თვის უძლურისა
დამირჩა ტკბილი ქმარშვილი მე განწირული უფლისა
სახელით მარიამი ვარ ნატრული წუთი სოფლისა
განშორებული მეუღლე გრიგოლ გოკიელოვისა
გარდაიცვალა 18 23/VII 92
წამკითხველო შენდობა სთქვით ღირსი ვიქნე სუფევისა

ალი (ხაშურის რ-ნი)

*

განჩინებისამებრ შემოქმედისა
მიწა მიწადვე მოვიქეც
გორის მოქალაქე დავით
ჯანუკოვის მეუღლე მართა
აღმომკითხველთაგან
შენდობას ვითხოვ

*

ვსტირით და ვსტირით
სულ იმას ვტირით
რომ უცოლშვილოდ
ძმა დაგვეღუპა
დები ნურა ნასტია

ურბნისი (ქარელის რ-ნი)

ამ ძეგლს ქვეშე განისვენებს გვამი
რაჟდენი ახალ გაზდაული აღფრთოვანებით
შევხვდი რევოლუციას მეც სხვებთან ერთად
ვიბრძოდი მუშათა იდეალებისათვის მრავალ
ბრძოლაში მივიღე მონაწილეობა და
საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების
ორი დღის წინ აწყვერში ბრძოლის ველზედ
დავეცი ოსმალებთან ბრძოლაში მაგრამ აი
სამარეში მაინც ნეტარებას განვიცდი
რომ ჩემი ნორჩი ძვლებიც საძირკვლად
ჩაეყარა იმ შენობას რომელსაც ჰქვიან
თავისუფალი საქართველო გაუმარჯოს
თავისუფალ მუშათა ხალხს დამოუკიდებელ
საქართველოში გაუმარჯოს შრომის სამეფოს
სოციალიზმს

ბოლნისის სიონი

*

აქა მდებარე გვამი სახელმწიფო ყმის
გიორგი ივანოვისა რომელიც გარდაიცვალა
ამიერ სოფლით ჩყმთ წელსა მარტის მ დღესა
მხილველნო შანდობა ბძანეთ

ნალენჯიხა

*

ხო მოვხუცდი მერე რა
ხო ვიცხოვრე სამყოფი
აწი კიდე მივდივარ
სადაც არ ვარ ნამყოფი

ნოჯიხევი (ხობის რ-ნი)

სიმონ დავითის ძე
ბოლქვაძე
1814-1896 წ.
ქობულეთიდამ მომგვარა
სამეგრელოს და მიმირქვა წმი-
დის ემბაზიდამ მთავარმან
ლევან გრიგოლის ძე
დადიანმა 1829 წელს მას
ვახლდი მთელი მისი სიცოც-
ხლე ვითარცა პირველი მისი
მონადირე და მან აღმავსო
ყოვლისა პატივითა და ქონებ-
ითა მყო რა პატრონი აზნაურ-
ის გიორგი საჯაიას მამულისა
სოფ. ჯაღრას. ამიერ სოფლიდამ
განველ სოფ. ნოჯიხევს საყვ-
არელის ჩემის ასულის
სალომე ჟორჟიკიას სახლ-
ში. ღმერთო დაიცევ ოჯახი
ჩემი და ბედნიერ ჰყავ შთამო
მავლობა ჩემი.

მატანი (ახმეტის რ-ნი)

ამ უბედურმა სიკვდილმა რა უდროოთ მიგო მახე
მომაშორა წუთისოფელს შავ მიწაში დავიმარხე
ორი ქრმის ხელში ვიყავ ვერც ერთთან ვერ გავიხარე



(ლენტეხის



ხადა (მთიულეთი)



მარაბდა (თეთრიწყაროს რ-ნი)





საგურამო (მცხეთის რ-ნი)



ახა (დმანისის რ-ნი)

დუმაცხო (გუდამაყარი)

*

ამ საფლავსა შინა განისვენებს ბუთულა ბეჟიას ძე ჭიკლაური
გარდაიცვალა 1921 წ. ქრისტი შობის 5 დ 22 წლისა დამფასა
მეუღლემ ნინომ დედამა და ძმებმა წამკითხველნო შანდობა
მიბძანეთ

*

აქ განისვენებს აფციაური ვანო საბრალოს ძე
1909-1955 წ. დამფასა ძმისწულმა სოფიომ

*

აფციაური ალექსი კირჭყილას ძე
გარდ. 1955 წელს 67 წლისა
დამფასა ჩემმა შვილებმა

*

ამ საფლავსა შინა განისვენებს მართა ჩაქარას ასული
აფციაური გარდაიცვალა 1924 წ.
გიორგობისთვის 28 დ. 18 წლისა
დანიშნული ვიყავ სიკვდილმა არ დამაცალა
უდროოდ სული ამამაცალა

მუგუდა (მთიულეთი)

*

ამ საფლავსა შინა განისვენებს
ვასილ ნინიას ძე კოტორაშვილი
გარდაიცვალა 1924 წ. თებერვლის...

წამოვე გაუხარები გამოვესალმე ყველასა
დედისერთაი ვიყავი ნაქორწილარი ახლადა
გთხოვთ ძმანო მუდამ თქვენ ლხინზე
მეც მომიგონოთ თითო შანდობა
ყველამ მაღირსეთ

აქ გან. ნიკო სვიმონის ძე კოტორაშვილი
გარდაიცვ. 1922 წ. ამ ლოდით დამფასეს
დედ-მამა და ჩემმა მეუღლემ მარომ
ტიალმა ადიდებულმა წყალმა მამკლა
30 წლის ჯიელი

*

ებსკოფია გიგაურის ძე გიგაური
გარდაიცვალა თებერვლის 5 დღ. 11 წლისა
დამფასა მშობლებმა
წამკითხველნო შენდობა მიბძანეთ

*

იძინე დაუვიწყარო შვილო გიორგი
უკვდავებისა წიაღსა შინა
ჩვენც დაგვიდგება დრო სანეტარო
და შენთან გვექნება ბინა

*

სტეფანე გაგას ძე კოტორაშვილი... 1871 წ.
ყოველთვე მხედავთ ლოდის ქვეშ უხმოდ და...
მდებარეს ტიროდეთ ჩემთვის ძმანო და მეგობარნო
უწინარეს თქვენი ვიყავ და მოიწია მიწადვე
მიქცევა რომ მტვერისგან დავიბადე
ევედრენით ღმერთსა რათა განმისვენოს მართალთა შინა

საკრამული (დუშეთის რ-ნი)

*

აქა მდებარე არს იოსებ ილიკოს ძე აბრამიშვილი
გ. 1916 წ.
მე მიყვარდა მეხრეობა, გუთანი
და მეურმეობა მაგრამ ღმერთმა
არ მაცოცხლა...

ნორიო (გარდაბნის რ-ნი)

*

ესე არს სავანე ჩემი და... ამას შინა...
შენი ვარ მაცხოვარო... მაცხოვნე მე
რამეთუ ლოდსა ამას ქვეშე გა
ნისვენებს გვამი პატიოსანი მღვდლის
იოანე ... ძიძიკას ...
შობიდგან 63 წ. გარდაიც. 1889 წ.

*

ოქტომბრის 15 ს განთიადზე ხარებს დავძახე მე ურმულია
მხილველნო მტარვალს ჩემი ხმისთვის ეგდო ყურია
ჩასაფრებულმა გზათ მიმავალმა 12 ტყვიით იმხო გულია
მე შაქარა ვარ ნიკოლაშვილი სამშობლოსთვის თავდებულია.



სატივე (ხაშურის რ-ნი)



ბიწმენდი (მცხეთის რ-ნი)



ქვემო ალვანი (ახმეტის რ-ნი)



[illegible] (მცხეთის რ-ნი)



ნუკრიანი (ს



ტანძია (ბოლნისის რ-ნი)

*

ცხვრის სამსახურს ბედკრულმა თავი
შევწირე მენაო
ველარ მეღირსა გვირგ
ვინი ველარც ამ სოფლის ლხენაო

ვარ სანდრო აღდგომელას ძე კურატიშვილი
გარდაიც. 1906 წ. გიორგობის
21-ს შობიდგან ვიყავ 21 წლისა

შემიწყალე უფალო ლონგინოზ ქარუმიძის
ასული ანნა ობლათ გაზრდილი
5 წლისა ცეცხლით გარდაცვალებული
1910 წელსა ენკენისთვის 30 სა რიცხვსა
ვიყავი დედისერთა და მამის ერთგული

*

მინდვრიდან შინისკენ მოვდიოდი
რა ვიცოდი წყალში დავიხრჩობოდი...

ამტუმა ვანუას ძე ძიძიკაშვილი
დაიბადა 1913 წ. აპრილი 17სა
გარდაიცვალა 1926 წ

*

ამ ლოდსა ქვეშა ვარ ვანო ლევანის ძე მამადაშვილი
რომელიც დაიღუპა ამ ქვეყნათ გაუხარელი დიდი შლეგიანი
ნიაღვრით და დასტოვა ძალზე დამწუხრებული დედმამა
...დაბადებიდან 26 წლის გარდაიც. კათათვეს 1931 წ.
გთხოვთ შენდობა შემომითვალოთ

*

სამკურნალოდ წამოველ ამ არესა
მეგონა თუ ვძლევდი სიმწუხარესა
ყველა ცდამა ფუჭად ჩამიარესა
საუკუნედ ვესტუმრე სამარესა
შენდობას გთხოვთ მიწის დანატყვევეია
გიორგი მარგიევია
დავიტანჯე წელიწადნახევარია
წამლებიც დავლიე საკმარია
ვერ ვიკურნე ჩემი სატკივარია
ჯეჰელ ცოლშეილს მოვწყდი გავეყარია
შობიდგან 35 წ. გარდაეიც. 1892 წ. მკათათვის 7 დღესა

მცხეთა

*

ნინო წყალობას ასული
ხერუმოვი გიგოლას მეუღლე
დ. 1872 – გ. 1964 წ. იანვრის 27 სა
სახსოვრათ დედას ვანოსაგან

დიდუბის პანთეონი

*

მარიამ რატიშვილისა
სოლომონ ელიოზიშვილის
ასული 1870-1930 წ.
აგვისტოს 27 სა

სიბერეში მწარედ იგრძნო
შენმა ქმარმა
დაობლება სულისა
ოხერა არის შვება უბედურისა

წილკანი (მცხეთის რ-ნი)

აქა დაფლულ პროპორშჩიკ თავადი ირაკლი ნიკოლოზის ძე ბაგრატიონი, მიწევნილ-იქმნა რა თვით ყვავილოვანსა მას 22სა წელსა შინა. მაშინ საშინელი ჴმა იგი სალმრთოჲსა მსჯავრისა ქვას ცთომისა გამო განსაზღვრებულ ეკვეთა მას და მიქცეულ-ჰყო მიწაჲ მიწადვე 12 ნოემბერს 1855 წელსა და დაუტევა მშობელნი თვისნი მგლოვარებით განმწარებულ, რომელიც აწ ცრემლით დასდებენ ლოდსა ამასა სატრფოსა ძესა თვისსა და გთხოვენ თქვენ ყოველნი მოყვასნო და თანა წარმავალნო! ჰხედავთ რა ამას ჭაბუკსა თქვენ თანა ყოფისაგან უჟამოდ გამოკლებულსა შენდობასა ჰყოფდეთ მისთვის.

*

უეცრივ გამაკანკალა
სული დავლიეო
დავწვი მშობელი უცეცხლოთ
მდუღრით ვატირეო

ძალისი (მცხეთის რ-ნი)

*

ბალსა ვსხლამდი
გამაცია მაკრატელმა
გავხთი ავათ



დვირი (ბორჯომის რ-ნი)



ქვემო ალვანი (ახმეტის რ-ნი)



ნატახტარი (მცხეთის რ-ნი)



ახალდაბა (ბორჯომის რ-ნი)





[illegible]



[illegible] გომარეთი (დმანისის რ-ნი)

*

არ შემიბრალა სიკვდილმა მაგრა მომკიდა
ხელია შავხვეწე ჩემსა ძმაკაცსა და გადა
უგდე ყელია ეცადნენ ველარ მიშველეს
ჩემზე აიღეს ხელია მე ჩამასვენეს სამარეს
ვაი აქ ყოფნა ძნელია თვითონაც დარჩნენ
მათი ტირილი ძნელია მე ლუკა გიორგის ძე
ეძგვერაძე 1892 წ. თებერვალს...

ასკანა (ოზურგეთის რ-ნი)

*

ამ ლოდსა ქვეშე მდებარე
წუთი სოფლისგან გასრული
ლისა მეწოდა სახელათ
თაყაშვილის ასული
მცირე წლოვანი დასვეტოვე
საწყალი ძე და ასული
თითო შენდობა მიბრძანეთ
და მით ვიქმნე ზეცას ასული

შემოქმედი (ოზურგეთის რ-ნი)

*

გულმგზნებარე ახალგაზრდას
ქვესკნელში მაქვს ეხლა ბინა
ია – ვარდის ნაცვლად გულზე
ეს ლოდი ქვა მომეფინა
ცივ-ბნელ ვიწრო სამარეში
არვინ ჩამყვა მომელხინა
მარტოდ – მარტოს ამ უფსკრულში
საუკუნოდ ჩამეძინა

ომალო (თუშეთი)

*

სოფრო ლევანის ძე
გულუხაიძე
1913 – 1941-1945
მე დედის ერთა აქ დავიბადე
მთებო მე თქვენთვის მიძგერდა გული
მამულისათვის თავი გავწირე
დედამ ლოდინში დალია სული

კუკია, თბილისი

*

დედისა და ძმისა ცქერით
ვაი რომ ვერ გავიხარე
მზისა ცქერით ვერ გავძეხი
ამ ლოდსა ამოვეფარე

*

მოუშორდი წუთისოფელსა სიცოცხლით დაუტკბობელი
ვერც რამ მე ვისიამტკბილე ვერც გავახარე მშობელი
დავსტოვე ობლად ძმები და ყველა კეთილის მყოფელი
აწ ბინად ამოვირჩიე მიწა ბნელი და სამყოფელი
აბრამ იგივე მალაქია ილიას ძე
თოხაშვილი გარდაიცვალა... 1919 წ
შობიდგან 27 წ
წამკითხველნო გთხოვთ შენდობას

*

საყვარელმა როცა მნახოს
გულზე ვარდი დამაყაროს

პეტრე-პავლეს სასაფლაო, თბილისი

*

კვირა ცხოვლობისა ოთხშაფათ ღამე ბნელს
მზე ჩემი მამაშორა დედ მამას
უცებ გაქრა დღე ჩემი
გარდაიცვალა 1900 წელსა

*

მოუშორდი ძვირფას მეუღლეს და პაწაწინა შვილებსა
ბაბლის თამარას ძვირფას ძმებს შვილივით გამოზრდილებსა
მშვიდობით ჩემნო ძვირფასნო მივალ და მივეშურები
იქ მიმელიან წამის წამ ჩემი პატარა შვილები
გარდაიცვალა 1900 წელსა
შობიდგან ვიყავ 26 წლისა
მარუსა ანა უსაყვარლესი მეუღლე
თომა ჯანყარაშვილისა და ასული თეიმურაზ...

*

ხელოსან ვიყავ სოფლადა
გავმართე საქმე დიდია
მაგრამ უგუნურს შეპშურდა
გააქრო კეთილ-ქმნილია
სიცოცხლე ძალით წამართვა
დაობლდა ცოლი შვილია
ღმერთო შენ მიეც პასუხი
ასეც მწარე არ ტკბილია
გევედრი ლოდ-ქვეშ მდებარე
თომა ჯანყარაშვილია



ქვისვერძი (ახალქალაქის





(ასპინძის რ-ნი)





ხელთუბანი (გორის რ-ნი)



მოხისი (თეთრიწყაროს რ-ნი)

# მოლოთქმა

ძველი ქართული სამაროვნის მოხილვა, უწინარეს ყოვლისა, ღია ცის ქვეშ განთავსებული და ჟამთადენაში გაქვავებული მუზეუმის ასოციაციას აღძრავს, მუზეუმისა, სადაც იმიერ სოფლად გარდასულთა სევდიანი სახეები, ამაოების მიმქრალ-მინელებული ფერი და მარადიული მდუმარება დავანებულა.

გაცდები ორღობეს, გაიმანძილებ, აივლი იოლ აღმართს და ძველთაძველი საყდრისა თუ „უმზეოდ ჩამოგვალული" უგუმბათო ეკლესიის ნესტიანი, ნეშომპალათი მოფენილი მიდამოს გრილი სუნთქვა კაი ხნის შინაურივით შემოგეგებება.

აბალახებული სასაფლაო უნაპირო, უკიდეგანო, კურუმი ნისლივით მკვრივ სიმყუდროვეში დანთქმულა. ხავსს, ხაოს და ხვიარას დაუფარავს სწორკუთხად ნათალი, ერთ დროს ოსტატის დაკოჟრილი ხელისგულებით ნაფერები მრავალგვარი ქვა: ზოგი უჯიათი, ცივი და კემუტი, დღეთა სივერაგეს რომ ერკინება და უძლებს, ზოგიც რბილი და დამყოლი, ქარ-წვიმებისგან და მზისგან დაბზარული, ამოკენკილი...

აქ ნაჯაფი მეცხვარე განისვენებს, მთა-ბარ მოვლილი, თავისი დღე და მოსწრება სახლეულს მოწყვეტილი და მოშორებული, ცოლ-შვილისა და ახლობლების მონატრული, დარ-ავდრებში ნაჩქვეფი, ნაწრთობი და მაინც ამაყი, უტეხი, იმედიანი. ამაზე მეტყველებს მისი პირსწორი გამოხედვა, პიტალო ქარაფივით შემართული ღონიერი მხარ-ბეჭი და ოდნავ მაღლა აწეული მათრახიანი მარჯვენა.

ეს კიდევ ხელგამომავალი, საზრიანი, ლაღი ფანტაზიისა და უზადო მხატვრული გემოვნების მქონე ქალის განსასვენებელია: აფორეჯებულ, მზეკაბანივით ფერებმონაცვლე ქვაზე მკაფიოდ ჩანს წელამდე დაშვებული თმის ორი მსხვილი ღოლი, ძველი ქართველი ქალებისთვის ესოდენ ნიშანდობლივი თალხი თავსაბური, ბროლის ყელზე მიბნეული ჯვარი, სიგრძივ დაზოლილი, უცნაურად დაჭრეხილი კაბის კალთა, ჩამქრალ გულ-მკერდზე უღონოდ დაკრეფილი გალეული ხელები. და იქვე, ფერხთით: საქსოვ-საქარგი იარაღები და პრიმიტიული დანადგარი, რომელთა წყალობით გამოყენებითი ხალხური ხელოვნების ნამდვილი შედევრები იქმნებოდა სუსხიანი ზამთრის ერთფეროვან, გზასავით გრძელ, მარტოხელა მგლის ყმუილით დაფლეთილ მთვარიან ღამეებში...

ხოლო აი, იქ, ტირიფის ჩრდილში, ჩამომხვლეულ ბექობთან, უსუსურ, ბაგეზე რძეშეუმშრალ, უწლოვან ყმაწვილს ჩასძინებია.



ზიმონიკი (თეთრიწყაროს რ-ნი)

ღმერთო, ნუ მოჰკლავ პატარას,
ნუ აუტირებ მშობელსა,
ნუ მიაბარებ შავს მიწას,
ამ სოფლის გაუცნობელსა, — გაკრთება მეხსიერებაში ვაჟა-ფშაველას ლექსის შიშეელი ნერვივით მფეთქავი სტრიქონები და იმ უსალბუნო სევდით ივსები და იმოსები, სიცოცხლის სიმოკლის მძაფრი განცდა რომ ბადებს პირმეტყველთა სასრულ არსებაში...

უცაბედად მიკვლეულ კიდევ ერთ უნიკალურ ქვასთან ჩამუხლულს გეჩვენება, რომ მშრალი ნაშრევით, მტვრით და ტალახით ნაწილობრივ წაშლილი „ხელხვეწილი ქართული ასოებიდან" (ლევან გოთუა) ცხრათვალა მზემ ამოანათა, იმდენად სახიერი და ჭეშმარიტი პოეზიის ზენაური მადლით გაჯერებულია ირიბად წასული, წაქცეული, უსასვენნიშნებო წარწერა:

ვინცა იცის ამ სოფელსა
რათ ენდობა რათ ეტკბობა
რათგან არის სულ ამაო
სიმდიდრე და თვით მეფობა
ორსა ადლსა შავს მიწას გვაქვს
საუკუნო მეუფობა
და მე ესრეთ უბედურსა
ძმანო მიბრძანეთ შენდობა

სერაფიტას ქვასვეტის გამოკვეთიდან მოკიდებული ვიდრე დღემდე უთვალავი ქვა გათლილა საქართველოში — როგორც ზეპურთა, წარჩინებულთა და დიდგვაროვანთა, ასევე უბირთა, უპოვართა, ბეჩავთა და უშვილძიროდ გადაგებულთა.

ხოლო სიკვდილს, ადამის მოდგმის ამ უკანასკნელ მტერს, ყველა გაუთანაბრებია და ერთურთისთვის გაუტოლებია, ანუ, „დაუსახლებია" იქ, სადაც, ქრისტიანული თვალთახედვით, „არა არს რჩევაი მამაკაცისა და დედაკაცისაი..."

ტანჯვისთვის გაჩენილ ადამიანს, რა ხნისაც უნდა მოიყაროს, მაინც სიცოცხლე ეძვირფასება; ვერმისანდო წუთისოფლის კალთა, რაგინდ ბევრი ავაგლახოს, გვემოს და აწამოს კაცი, შეუდარებლად თბილი და ალერსიანია.

„საწყაულის აღუვსებლობა" დასაბამიდან აწუხებს საწუთროს სტუმრებს. მიწად ყოფნის და კვლავ მიწად მიქცევის ეკლესიასტესეულ შეგონებას ალტერნატივა არ აქვს. რაც უფრო მკაცრი, მედინი და დაუნდობელია სააქაო, მით მეტია მისი მრავალჟამიერობის ნატვრა და სურვილი.

ამიტომაც გვესიტყვებიან ასეთი დანანებით შორეულ სიერცეთა ნაგრილისნაირი ბინადარნი:

...სიკვდილს არა ვფიქრობდი...
...კიდევ მეწადა სიცოცხლე...

რევაზ ინანიშვილის მინიატურაში „კალატოზი" პატარა, „გალეული ბერიკაცი" იტყვის: მე, ხარაზმა კოლამ, მეყვავილე გიგუამ და ყასაბმა დრიგამ „ხუთ-ხუთი თუმანი ჩამოვყარეთ და ჩვენი დის, ჩვენი სახელოვანი დის, ანაბაჯის, საფლავზე ქვა დავდეთ, ძველებური ქვა, ჩუქურთმებით, შენდობით... ეს მურდალი წუთისოფელი რომ თავს მოგვაბეზრებს, იქ მოვდივართ და ავყრევართ..."

თუკი ერთხელ მაინც განგიცდიათ სამაროვანზე განმარტოების, ხავსიანი ქვებისთვის თვალის შევლების, ატკეჩილი სიტყვების ამოკითხვის, ფრთოსანთა სადილაო გალობისთვის ყურის დაგდების და იასამნის სურნელით თრობის ნაღველნარევი სიამოვნება, ველარ იტყვით, რომ სიკვდილი გასაოხრებია და, რაღა თქმა უნდა, ვერც იმას, რომ ქვეყნად ყოფნა არ ღირს... მეტადრე მაშინ, როცა დაჭრეთილი ქვის გადაცრეცილ ზედაპირზე ამგვარი ეპიტაფია ამოიმარცვლება:

შენი ვარ... მაცხოვნე...

# შთაბეჭდილებათა წიგნიდან

(2002 წლის დეკემბერში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოწყობილი ფოტოგამოფენა)

ღმერთო, ახლაღა მოვხვდი, სად იწყებოდა ფიროსმანის ხელოვნების უკვდავება. მის ღვთაებრივ სულს, გონებასა და თვალს ასეთი ეროვნული გენიალურობა (მაპატიოს ნიკალამ ეს „ხმამაღალი სიტყვა") არ გამორჩებოდა.

გივი შაჰნაზარი

ერთხელ, ერთმა ახალგაზრდამ, იცით, რა ინატრა? - ერთი ხუთ-ხუთი წლით მაინც დამაბრუნა, ჩემი ქვეყნის ისტორიას რომ შეადგენს, იმ საუკუნეებშიო. მაშინ მის აზრს ვერ ჩავწვდი, მაგრამ ახლა... თქვენ ჩემი ქვეყნის წარსული გამახსენეთ, ის წარსული, მე რომ მტკივა და, ამასთან, მეამაყება. დიდი მადლობა. მე დღეს ნამდვილად ვიამაყებ...

თამთა გედენიძე

დიდი საქმეა გაკეთებული. იმედი მაქვს, ყველაფერი გამოქვეყნდება ალბომების სახით. მადლობის მეტი რა მეთქმის. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

სოსო კვიციანი

მარტო ნასიამოვნები კი არა, აღფრთოვანებული ვარ, რომ შევძელი ხილვა ყოველივე ამისა. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, თუ რა გრანდიოზული, დიდი, ღვთიური კულტურის ხალხი ვართ ქართველნი, რანი ვიყავით, რანი ვართ და რანი ვიქნებით. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ქართველობა და ქრისტიანობა განუყოფელია ერთმანეთისაგან...

ანა ლლონტი

დიდად საგულისხმო და საამაყოა, რომ ქართველები ასე აფასებენ მიცვალებულს და აქ წარმოდგენილი სურათების მიხედვით უკვდავყოფენ მათ სახელს – საფლავის ქვაზე ამოტვიფრული წარწერებით. ალბათ შესრულდა მათი დიდი თხოვნა თუ სურვილი – შენდობით მომიხსენიეთ – თქვენ მართლა შენდობით გიხსენიებენ და არ გივიწყებენ, ახსოვდით და ახსოვხართ. ეს მართლაც დიდი სულიერი განვითარება-ამაღლების მაჩვენებელია, რაც ყოველთვის ახასიათებდა და რისკენაც ყოველთვის მიილტვოდა ქართველი ერი.

ლაშა გასვიანი

გაოცება და აღტაცება, პირველ რიგში, შემდეგ საოცარი სიამაყე და პასუხისმგებლობის გრძნობა გეუფლება ამ გამოფენისთვის თუნდაც თვალის ერთი შევლებით. საოცარი უბრალოება, სინატიფე, ჟღერადობა გადმოდის ამ ქმნილებებიდან.

მადლობა ქალბატონ ეთერს, ბატონ ამირანს, ბატონ თენგიზს უაღრესად დიდი შრომისათვის, იმისათვის, რომ ასე ლამაზად და უანგაროდ გვაზიარეთ ჩვენი ხალხის გენს, ნიჭს, ფესვებს. ამ აჟღერებულ ქვებს რომ ვუყურებ, გასაგები ხდება ქართული ფოლკლორის სიმდიდრე და უნიკალობა. მინდა მრავალი დამთვალიერებლის ხმას შევუერთო ჩემი ხმა, რათა რაც შეიძლება სწრაფად შეიკრას მოპოვებული მასალა ერთ ალბომად, გამოიცეს დიდი ტირაჟით, რომ ცოტა უკეთესი გავხდეთ. „სიყვარული და პატივისცემა ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის წარსულის, აწმყოს და მომავლისა ჩვენი ვალია", - გვახსენებს ეს არაჩვეულებრივად საოცარი და მაღალ დონეზე შესრულებული გამოფენა.

გულიკო კარიაული

მივიწყებული საფლავების გადარჩენისა და გაცოცხლებისათვის ულრმესი მადლობა!

დამანა მელიქიშვილი

„ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო". ეს გვესმოდა. დღეს ვნახეთ, რომ მართლაც ასე ყოფილა.

მარინა ბოკუჩავა

ვფიქრობ, ეს გამოფენა სათავეს დაუდებს ამ სინკრეტული ხელოვნების (საფლავის ქვა და ეპიტაფია) ახლებურ შესწავლას.

თინათინ ბოლქვაძე

ქართველი კაცი აღსასრულშიც ნიჭიერია.
ანანურთან სასაფლაო დაიფარა ჟინვალჰესის ტბორით.
იქ ასეთი ლოდი ვნახე, საფლავი ვინმე ასინეთ შავერდაშვილისა იყო - „მე სამშობლოს 18 შვილი გავუზარდე, შენ?"

ზურღან გემაზაშვილი

ხელოვნების არცერთი ნიმუში არ გამოიწვევს ასეთ მძაფრ ემოციას ადამიანში. საფლავის ქვებზე არის ადამიანად ყოფნის და არყოფნის სევდა, სიცოცხლის და სიკვდილის თანაარსებობა. გმადლობთ.

თ. ქამუშაძე

სტუდენტობის პერიოდიდან ვიყავი მოხიბლული შენი პიროვნული ღირსებებით, სისადავით და საოცარი ტაქტით (რაც ზომიერებაში უფრო გამოიხატება და რაც ასე გვაკლია, ზოგადად, ქართველებს). შენი შემოქმედებაც, ვფიქრობ, აქედან მოდის, პიროვნული ესთეტიკიდან.

არა მგონია, მსოფლიოს რომელიმე სხვა ქვეყანაში ამგვარ გამოფენას ანალოგი ჰქონდეს. თითოეულმა ქართველმა უნდა გაითავისოს მისი მნიშვნელობა, განსაკუთრებით — ახალგაზრდობამ.

ძალიან ბევრი რამის თქმა მინდა, იმდენად შთამბეჭდავია ეს ფოტოები (მე, ცხადია, ფოტოგრაფიულ ოსტატობასაც ვგულისხმობ).

მაკედონელის ქვაზე ასეთი წარწერაა თურმე: „ეს საფლავი საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, ვისაც მთელი სამყარო ეპატარავებოდა“

ქართულ საფლავის ქვებზე კი წარწერები ბევრად უფრო დიდ და ფილოსოფიურ აზრებს წამოატივტივებს ადამიანის ცნობიერებაში. ამის თქმის საშუალება თქვენმა საოცარმა ჩანაფიქრმა მომცა...

თამარ იაშვილი

ეს საფლავის ქვათა წარწერების გამოფენა არის ჩვენი წარსულის გაცოცხლება და მომავალზე დიდი ფიქრის მარადიული საგანი. მადლობა ეთქმის მის ავტორებს: ე. თათარაიძეს, ა. არაბულს, თ. მირზაშვილს.

კოტე ჭრელაშვილი

კიდევ ერთი ტკივილიანი სიხარული განმაცდევინეთ.
ამაყი ვარ და სამერმისოდაც განმაწყვეთ.

თამარ ჭყონია

საოცრება, რომელიც სიტყვით არ გამოითქმის. ეს არის მითოსი ქვაში. უფლისმიერია ის აზრი, რომ ეს საუნჯე უნდა შეკრებილიყო. უღრმესი მადლობა ამ საქმის მესვეურთ.

თინათინ ჩხაიძე



დიდი თონეთი (თეთრიწყაროს რ-ნი)

# საფლავთა პოეზია

პერსი ბიში შელი არასოდეს ყოფილა გატაცებული ლიტერატურულ-ფილოსოფიური სენტენციების შექმნით, თუმც ზოგიერთი მხატვრული ფორმულა მაინც გამორეულა მის ესეისტურ-ესთეტიკურ პროზასა თუ ეპისტოლეებში და, მათ შორის, ესეც: თუ დიდი პოეტი არა ხარ, დიდი მეცნიერიც ვერ იქნებიო.

შეუძლებელია შელი რაიმეში ცდებოდეს, როდესაც პოეზიას ახსენებს – იგი სულაც პოეტისა და პოეზიის სიმბოლოდ შემორჩებოდა კაცობრიობის ხსოვნას, მოქანდაკეს შესაძლოა სწორედაც მისგან გადაეღო პოეზიის განზოგადებული სახება და ეს ლიტერატურული სენტენცია ამიტომაცაა ასეთი სარწმუნო.

თუ დიდი პოეტი არა ხარ, დიდი მეცნიერიც ვერ იქნებიო...

და თუ პოეტი არა ხარ, მეცნიერი საერთოდაც ვერ იქნები.

შელის შეგონება გულისხმობს იმავეს, რასაც მოგვიანებით გიორგი ლეონიძე პოეტური სულით გასხივოსნებას უწოდებდა და მიიჩნევდა, რომ პოეტები მხოლოდ ქაღალდზე რითმით მოლაპარაკენი კი არ იყვნენ, არამედ ამ სულით ანთებული სხვაც ბევრი დაიარებოდა ქვეყანაზე.

და ეს საწყისი პკრავდა და პკრავს სამყაროს, რათა უამრავ ფრაგმენტად არ განიბნეს უსაზღვროებაში.

ეს საწყისია შთამაგონებელი იმ ბედნიერად ნაპოვნი იდეებისა, ასე რომ ამრავალფეროვნებს და ამშვენიერებს წუთისოფელს და ერთი გამოსხივების მოწმენი დღესაც გვყხდით – რაღაც დიდი და ახალი სამყარო აღმოვაჩინეთ, ჩვენს თვალწინ არსებული, მაგრამ ჯერაც მიუკვლეველი.

მიუკვლეველი თავისი ათასფერადობითა და შინაგანი სიერცით, თორემ ჟამიდან ჟამად ჩვენთვისაც მოუტაცია თვალი საფლავის ქვებს, დიდრონსა თუ მომცროს – ზოგჯერ წარწერას, ზოგჯერ გამოსახულებას... მოუტაცია და სადღაც კუნჭულშიც მტკიცედ ჩაბეჭდილა ჩვენი სულისა, მაგრამ სამყაროდ ვერ მთლიანდებოდა და ვერც წარმოვიდგენდით მის სამყაროობას.

მხოლოდ მაშინ ვიგრძნობდით საფლავთა ფოტოანაბეჭდების თავმოყრის განსაკუთრებულობასა და აუცილებლობას, როდესაც პირველად ვიხილავდით ამ ორიგინალური იდეის გამჟღავნებას – ამირან არაბულის ფოტოხელოვნების ამ კიდევ ერთ რკალს, თურმე ერთგვარ ჭაშნიკს, კარის ოდნავ შეღებას უსაზღვროების ამ ხილულ მხარესთან, ორ სამყაროს – სააქაოსა და საიქიოს – რომ ბლანდავს ერთიერთმანეთზე.

ჯერ ის ჭაშნიკიც როგორ მოგვეხიბლავდა. შეძერით რომ შეგვძრავდა, ეს თავისთავად, მარადისობასა და წარმავალობაზე რომ შეგვეიჯარავდა ფიქრს, ამასაც რა მიხვედრა უნდა... ის გვიკვირდა მხოლოდ – ეს რამხელა სილამაზე შემალულიყო ხშირად ბალახ და შამბგადაელილ ლოდებქვეშაც, მიმობნეულიყო, დაშორიშორებოდა ერთმანეთს და ელოდა, ელოდა იმ მადლიან ხელს, რომელიც ბალახსაც და შამბსაც გამოგლეჯდა, ყველაფერს მოასუფთავებდა ირგვლივ და ფოტოობიექტივზეც აღბეჭდავდა იმ გამორჩეულ ხიბლს, რაც გამქრალ ქვის ოსტატთა ხელოვნებად გამთლიანდებოდა.

მადლიანსა და... პოეტურ ხელს.

ამირან არაბული პოეტი გახლავთ მეცნიერებაშიც, პოეტი გახლავთ პუბლიცისტიკაშიც, პოეტი გახლავთ პირად ურთიერთობებშიც – რომანტიკული ეპოქის შვილს რომ მოგვაგონებთ და საქართველოს მთა-ბარში თავგამეტებული ხეტიალის დროსაც ამ საწყისსა თუ პიროვნულ ნერვს შეინარჩუნებს.

ის საჭაშნიკო გამოფენა უკვე ასხოვებდა ამ პოეტურ შუქს, რაც კიდევ უფრო უნდა აბრდღვიალებულიყო, გაცილებით რომ შეიუსებოდა. და, ცხადია, ესეც ერთ მცირე ნაწილად უნდა ვიგულისხმოთ იმ ვეება პანორამისა, რომელიც თანდათან ყველა ლოდს უნდა გადაწვდეს, სადაც ქართველთა სამარე გაჭრილა.

ჯერ მარტო საფლავის ლოდების ოსტატებს რამხელა კულტურისათვის მიუღწევიათ.

ეს სწორედაც თავისთავადი და არაჩვეულებრივი კულტურაა, ხელშესახები დასტური ვაჟაფშაველას პოეტური ფორმულისა: შენი ჭირიმე, სიკვდილო, სიცოცხლე შვენობს შენითაო; და აღარც უოლტ უიტმენის სიკვდილის საგალობელი გაკრთობს და გეუცხოება, რაკიღა ის შინაურული გარემო და იდუმალი ინტიმი ამ ფოტოციკლშიც ასეთი ხელშესახებია. და უიტმენის იმ დიდი რეკვიემის – „როცა ეზოში, გაზაფხულზე" – ის ფრაგმენტი თითქოს ეპიტაფიაცაა და ამ საფლავის ლოდთაგან ერთი-ერთზეც ამოტვიფრულაო:

შენ, მოალერსე და ტკბილო სიკვდილო,
ქვეყნის გარემოვლით შემოქცეულო,
შენ, სხივოსანო, მოდიხარ, მოდიხარ,
დღისითა და ღამით, ყველგან და ყველასთან,
ადრე თუ გვიან – სათნო სიკვდილო.

ეს ერთ-ერთზე ამოტვიფრული, ედგარ ლი მასტერსის „სფუნ რივერის ანთოლოგია" კი მთლიანი პანორამით ენაცვლება ქართველი შემოქმედის – პოეტისა და ფოტოხელოვანის – აღმოჩენილ სამყაროს და მისი თვითეული ეპიტაფია თავით ბოლომდე ჩამოურიგდება ქართული სამარის ლოდებს. თუ ჩაუკვირდებოდი, რამხელა ტრაგედიები და კომედიები ამოდიოდა „სფუნ რივერის ანთოლოგიიდან", რა სასოწარკვეთა და ვნებათაღელვა, რამხელა დრამატიზმი და სიუჟეტური მრავალფეროვნება. ყველას, ყველას ეძინა გორაკზე და აღარც აპირებდნენ წუთისოფელში მობრუნებას, პოეტის თავგამოდება რომ არა, ვინც მათთან ერთად შედგებოდა სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე და მხოლოდ ასე შეიცნობდა საფლავთა იდუმალებასა და მომნუსხველობას.

გარეგნულად ყოფითია მასტერსის ეპიტაფიების საფანელი და ცალკეული რეალიები, ზედმეტად ყოფითი და დაწვრილმანებულიც კი, მაგრამ ერთ-ერთი მიზანიც ეს გახლდათ ამერიკელი კლასიკოსისა – ათვალწუნებით არ შეეხედა ცხოვრებისეული წვრილმანებისათვის ვითომდა მარადისობის გადმოსახედიდან და დაეფასებინა მათი სიდიადეც და მშვენიერებაც.

ყოფითი სურათები თუ ფრაგმენტები არიალდებოდნენ თვალწინ და ვერც გაიგებდი, თუ როგორი ძალდაუტანებლობით მიაღწევდნენ ღრმა სიმბოლურ განზოგადებას.

ეს ყოფითობა შემოგვყურებს ამირან არაბულის ფოტოსურათებიდანაც, ლოდების მხატვრობის ავსება ყოფითი დეტალებითა და წვრილმანებით ძალდაუტანებლად გადავიდოდა ქაღალდზეც.

რა უცნაურად შერევია ერთმანეთს – ეს კაციო, ეს ქალიო, ეს ბავშვიო, ეს ცხვარიო, ეს ცხენიო, ეს თოფიო, ეს ხანჯალიო, ეს ვაზნებიო, ეს ყვავილიო, ეს ანგელოსებიო, ეს ჯვარიო, ეს თეფშიო, ეს მტრედიო, ეს მაგიდაო, ეს სკამიო, ეს დოქიო, ეს ბოთლიო, ეს ჭიქებიო, ეს ვაზიო, ეს ყურძნის მტევანიო, ეს სახლის სვეტებიო, ეს თაღიო, ეს გუთანიო, ეს საკერავი მანქანაო, ეს მაკრატელიო, ეს უროო, ეს ჩაქუჩიო, ეს ხარებიო, ეს ჯიხვიო, ეს ურემიო, ეს გარმონიო, ეს ბორჯღალიო....

უცნაურად თუ იმ იდუმალი კანონზომიერებით, რომელსაც ჩაწვდომით თუ ვერ ჩავწვდებით, ვიგულისხმოთ მაინც მისი არსებობა და ჭეშმარიტებასთან ერთად ფარული მშვენიერება.

საფლავის ლოდებმა მაინც შეგვახვედროს.

და ეპიტაფიებიც სულ სხვაგვარად დავაფასოთ, მწერალთა შექმნილი ის ნაკადიც და უცნობ მელექსეთა მახვილგონივრული თუ გულუბრყვილო სტრიქონები, მიწის სიღრმიდან რომ შემოგველალადებენ. მწერალთა ეპიტაფიებისა ცალკე ანთოლოგიაა შესადგენი, ხალხური ეპიტაფიებიც ცალკე უნდა გამოიცეს, ვიდრე რჩეული ნიმუშები გვერდიგვერდაც მოიყრიან თავს.

ამირან არაბულის და ეთერ თათარაიძის მიერ შეგროვებული ეპიტაფიები ძვირფას მასალად

ჩაერთვის იმ კრებულს, თუ სულაც მან არ შექმნა მთავარი ძარღვიც და ქარგაც.

იძინე დიდებულო მოხუცო წიაღთა შინა
ჩვენც დაგვიდგება დრო სანეტარო და
შენთან ერთად გვექნება ბინა

ასე დუშელები დაამშვიდებდნენ ნეშტს, ნინოწმინდელები კი გულისტკივილს გაუხარელი ცხოვრებით თვითონ მიცვალებულს დაატირებინებდნენ:

ამ წუთისოფლითგან არა მხვდა წილი
არც ქმარი მყვანდა არც თუ ყმაწვილი
ზეცათ ინდომეთ ჩემი ქორწილი

ბოგველი მშრომელი და მოქეიფე არც საფლავში დაიშლიდა ხალიჩსა და სუფრის ჟინს:

მშრომელი კაცი ვიყავი
მიყვარდა პურ-მარილია
უკანასკნელად პატივს მცემს
სიძე და ჩემი შვილია

გუდალეთელი სიკვდილს ყვედრიდა უდროოდ გამოცხადებას:

ამ ოხერმა სიკვდილმა
რა უდროოდ მიგდო მახე
მომაშორა წუთისოფელს
შავ მიწაში დავიმარხე

და ორბეთელიც მის სატკივარს გააგრძელებდა, იმ სამარიდან შემოეხმიანებოდა:

ბედია თვითონ ბუნება
ვისგან კაცს ნიჭნი ხვდებიან
ზოგი იფურჩქენის ზოგნი კი
კოკორშიავე ჭკნებიან

გივი შადური მუშტრის თვალით გაზომავდა და შეაფასებდა ყველა ამ ეპიტაფიას. მიხეილ ჯავახიშვილს სასაფლაოს ბინადრად ექცია თავისი გმირი სიცოცხლეშივე, აკლდამაში მიეჩინა ბინა გარიყულისა და უთვისტომოსათვის და ეპიტაფიების შეთხზვაც გაეხადა იმის ხელობად — თავის სარჩენი სხვა არც არაფერი მოეპოვებოდა. ამ ჟანრს არარაობის კვილად და მარადიულობის წყურვილად იხსენიებს გივი შადური და თავისი ქვის წარწერად ეს ეგულება: ავარა და არაფერიო. ხოლო ვიდრე ამ ახალ საქმეს მოჰკიდებდეს ხელს, სასაფლაოს დაძლის და წარწერების კილოსა და ხერხს შეისწავლის. მალე გაიგებს, მუშტარს რა საქონელი უნდა და, სამ დღეში ოთხ დიდ სასაფლაოს რომ მოირბენს და ერთ რვეულს ყოველნაირი წარწერით აავსებს, ხან მკვდარს რომ მიმართავენ, ხან მკვდარი მიმართავს საკუთარ თავს, ხან ცოცხალთ, ხან გამვლელს, ჭირისუფლებთან იოლად პოულობს საერთო ენას, ყველას თავთავის შესაფერისს ურჩევს:

— მე ჩავედი, შენც მოდიხარ.

ან:

— მე უკვე შინა ვარ, შენ კი ჯერ სტუმრად ბრძანდები და მალე შენც დაბრუნდები.

ანდა:

— მოვედი, ვიცხოვრე, ვიგემე, ვნახე, გავიგე და წავედი.

საფლავთა პოეტიკა საგამოფენო დარბაზის კედლებზე გადმონაცვლებულა და ყოფითი დეტალები და წვრილმანებიც შეუნარჩუნებია.

ისევე, როგორც ეთერ თათარაიძის ლირიკული ხილვებიც, ერთი შეხედვით, საკმაოდ გადატვირთულა ყოფითი დეტალებით, იმ წვრილმანებით, რაც თითქოს არც უნდა იყოს პოეზიის თემა; და მხატვრულ ენადაც თუშურ კილოკავს გამოიყენებდა და არა ზოგადენობრივ კოინეს, იდუმალი ხმა უკარნახებდა, საშინაო-სალაპარაკო ენა თავის დიდ გამომსახველობას ინახავს და ვიღაცამ უნდა გაუხსნას კარი მწერლობაში შემოსასვლელადო. და ეს ენობრივი გარსი აამეტყველებდა ყოფით საგნებს, და ვერც გაიგებდი, ისეთი ძალდაუტანებლობით მიაღწევდნენ ღრმა სიმბოლურ განზოგადებას.

ეს სულიერი საერთოც, მხატვრული აზროვნების თავისებურებაც არის ნიშანდობლივი ამ ორი შემოქმედისათვის და ეთერ თათარაიძის პოეტური კრებულები თითქოს წინდაწინვე მიგანიშნებს, რომ ამირან არაბულის ეს ფოტოციკლიც ყოფითი წვრილმანებიდან სიმბოლურ განზოგადებამდე უნდა ამაღლდეს.

მხოლოდ მასალად რომ შეეგროვებინათ, მაშინაც ძვირფასი მონაპოვარი იქნებოდა იმ ესთეტის ხელში, ვინც ამ მასალას სულს შთაბერავდა მოხდენილი კომპოზიციური განლაგებით, მაგრამ პოეტური შეგნება პოეტური ხელოვნებითვე დაგვირგვინდებოდა და ისე დალაგდებოდა სამარის ლოდთა იდუმალი ბიოგრაფიები, ისეთ ვრცელ სიუჟეტურ ქარგაში მოექცეოდა, რომ პოემასავით წასაკითხი და შესაცნობი გახდებოდა, თავისთავადობაც არ მოაკლდებოდა და თუნდ მასტერსის ეპოსის კანთიელ ფონადაც წარმოისახებოდა.

გადადინდებოდნენ, ჩაიბნეოდნენ ერთიერთმანეთში ამერიკული ეპოსი და ქართული ფოტოპოემა, იდუმალად განმსჭვალავდნენ ერთიმეორეს და ეს კი ვეღარ გაგეგო, საიდან იჭრებოდა მასტერსის მელოდიებში ის ხმაც, ამერიკელი პოეტისა რომ არა ყოფილა და ალბათ ჩვენს თანამედროვე ინტერპოლატორს ჩაემატებინა, თანაც არა თავისი, არამედ სხვისაგან ნასესხები სტრიქონები: მიწავ, შენ გებარებოდეს ეს ჩემი ტურფა იაო, შენ უპატრონე, ემშობლე, როგორაც შენი ზნეაო.

როსტომ ჩხეიძე



# შინაარსი


წინათქმა

„ვინ იყო ქვათა ამათა მკვეთი" .17

ფრაგმენტები, ამონარიდები... .41

ეპიტაფია. 80

ბოლოთქმა 196

შთაბეჭდილებათა წიგნიდან .198

საფლავთა პოეტიკა. 201




ამირან არაბული   ეთერ თათარაიძე

# შენდობით მომიხსენიეთ

(პირველი გამოცემა)

გამომცემლობის რედაქტორი   რუსუდან მოსიძე
მხატვრული რედაქტორი   ბონდო მაცაბერიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა   მახათაძის



გამომცემლობა-ბაკმი
საქართველო, თბილისი 2007 წ.
E-mail bakmipublishing@posta.ge
www.bakmi.ge